# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 9 მარტი 2001 №41 (1314) | ფასი 50 თეთრი


7

## რაულს ხელობა დაუწუნეს



„რეალის“ რაულის „ლიდსთან“ ნახელავს უეფა გაარჩევს

7

## კაცი, რომელიც არ იცინის




სტენ კოლიმორი „ოვიედოში“ ვეღარ იპოვეს

9

## მოღვაწე

ერის გუშაგი გიორგი ნიკოლაძე

11

## ბასკო შვედეთში

NEBL

საქართველოს ჩემპიონი „ჩელენჯ კაპის“ მეორე ეტაპის წინ რუსი ფორვარდით გაძლიერდება

15

## ლისაბონის ჭერქვეშ

2001 Lisbon

დღეს პორტუგალიის დედაქალაქში მძლეოსნობის მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება

# ფეხბურთი და სიკვდილი

UEFA CUP

## ყველას თავისი აქვს ანგარიში



REUTERS

„ლივერპულის“ კაპიტანმა რობი ფაულერმა ტრაგედიის მსხვერპლთა პატივი მიაგო

სამი დღის წინ პორტუს სიახლოვეს ხიდი ჩაინგრა, სამი ავტობუსი გადაიჩეხა და სამოცდაათამდე ადამიანი დაიღუპა. კოკისპირული წვიმა საძიებო-სამაშველო სამუშაოებს დღემდე აფერხებს.

ავდრის გამო „პორტუ“ — „ლივერპულიც“ ისეთი ვერ გამოდგა, როგორსაც ელოდნენ — მცდელობა დიდი იყო, სახიფათო მომენტები ცოტა. „ბარსელონამ“ ერთბურთიანი სხვაობით მოუგო კაცნაკლულ „სელტას“, რითაც ვიგოელებს ნახევარფინალში გაღწევის შანსი დაუტოვა. „რაით ვალეკანო“ კი საპასუხო მატჩისგან ბევრს არაფერს უნდა ელოდეს. ევროპაში პირველად გაჭრილი ბასკური „ალავესი“ სამი უპასუხო გოლით ცალი ფეხით ნახევარფინალშია. გუშინ პირველ ევრომატჩში ითამაშა „კაიზერსლაუტერნის“ სათადარიგო მეკარემ რომან ვეიდენფელერმა, რომლის დიდებულმა თამაშმა და ჰარი კოხის პენალტმა გერმანელებს „პსვ ეინდჰოვენი“ დაამარცხებინა.

პორტუს მახლობლად ჩატეხილი ხიდი კი 116 წლისა იყო.

იხილეთ მეორე გვერდი



ბარსელონელმა პატრიკ კლუივერტმა ორი გაიტანა



AP

ცოტა უხერხული სიტუაცია: ლაუტერნელი მარიან ხრისტოვი (მარჯვნივ) და ვილფრედ ბოუმა



პორტუ — ლივერპული: ლივერპულელი მაიკლ ოუენი და პორტუელი შაინიუ (მარჯვნივ) უგოლოდ გაიყარნენ

REUTERS პორტუგალიან



პორტუ — ლივერპული 0:0: მარკუს ბაბელი და სეკრეტარიუ (წინ)

## უეფას თასი. მეოთხედფინალი

პირველი მატჩები. 8 მარტი

UEFA CUP

### ალავესი (ესპანეთი) 3:0 რაიო ვალეკანო (ესპანეთი)

1:0 ასკორიტა (30), 2:0 ეგენი (79), 3:0 ვუკო (80)

ალავესი: ერერა, კონტრა (კარმონა 85), ეგენი, ტელესი, გელი, ასკორიტა (ალონსო 60), ბეგონა, პაბლო, ტომიჩი, კრუიფი, ხავი მორენო (ვუკო 76)

რაიო ვალეკანო: ლოპეტეგი, ალკასარი, კინტანია, ბალესტეროსი, მინგო (სეტვალსი 63), პელდერი, პოშნერი, კვედო (გლაუსიო 43), მიჩელი, სემბრანოსი (ბოლიჩი 57), ბოლო

მსაჯი: ი. ვეგერეეფი (ჰოლანდია); 17 500 მაყურებელი

### ბარსელონა (ესპანეთი) 2:1 სელტა (ესპანეთი)

1:0, 2:0 კლუივერტი (13, 56), 2:1 კოირა (69)

ბარსელონა: რეინა, გაბრი (ალფონსო 46), რაიციგერი, ფ. დე ბური, სერხი, გვარდიოლა (ხავი 46), კოკუ, ზენდენი, ხერარდი (პეტი 86), ოვერმარსი, კლუივერტი

სელტა: პინტო, იაგო, კასერესი, ბერისო, ხუანფრანი (კოირა 46), ვაგნერი, ხაიო, კარპინი, მოსტოვოი, გუსტავო ლოპესი (ჯოვანელა 72), მაკარტი (ედუ 62)

გაძევება: ვაგნერი (23)

მსაჯი: გ. ბარბერი (ინგლისი); 33 000 მაყურებელი

### პორტუ (პორტუგალია) 0:0 ლივერპული (ინგლისი)

პორტუ: ოვჩინიკოვი, სეკრეტარიუ, ანდრადე, ჟორჟე კოშტა (ალოიზიო 57), ნელსონი, შაინიუ, პერედესი, დეკო სოუსა, ნუნო კაპუშო, პენა, დრულოვიჩი (კანდიდო კოშტა 73)

ლივერპული: ვესტერველდი, ენჩოსი, ციგე, ბაბელი, კარაგერი, ჰიიპია, ჰამანი, ოუენი (ბარმბი 79), ჯერარდი, ფაულერი, შმიცერი

მსაჯი: პ. კოლინა (იტალია); 22 000 მაყურებელი

### კაიზერსლაუტერნი (გერმანია) 1:0 პსვ (ჰოლანდია)

1:0 კოხი (31მ)

კაიზერსლაუტერნი: ვეიდენფელერი, რამზი, ხრისტოვი, ლოკვენცი, მარშალი (გრამოზისი 46), ბრატინიო, სტრასერი, ბუკი, კოხი, კლოსი, ბასლერი

პსვ: ვატერეუსი, ოიერი (ფაბერი 46), ჰეინცე, კელმანი, ფოგელი, დე იონგი, ლუსიუსი (ბრუგნიკი 46), რომედალი, ნიკიფოროვი, ბოუმა (კოლკა 46), ჰოფლანდი

მსაჯი: გ. პოლი (ინგლისი); 23 850 მაყურებელი



პორტუს მახლობლად ჩატეხილი ხიდი, რომელმაც მთელი პორტუგალია დაამწუხრა

EL DIARIO



კაიზერსლაუტერნი — პსვ ერთადერთი გოლი ჰარალდ კოხმა ოლაფ მარშალის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით გაიტანა



ბარსელონა — სელტა: ფილიპ კოკუ (მარცხნივ) ვალერი კარპინს ბურთს ეცილება

# რაცა ვარ, აქა ვარ

## გელა შეყილაძე: ბელგიაში ვეღარ გავიზრდები



გელა შეყილაძე

**კარგა ხანია**, საქართველოს ნაკრების ყოფილ და ამჟამად ბელგიის „ლიერსში“ სტაბილურად მოთამაშე მცველ გელა შეყილაძეზე ბევრი არაფერი გვსმენოდა. შარშანდელთან შედარებით ჩვენებური წლეულს უკვე დამკვიდრდა „ლიერსის“ ძირითად შემადგენლობაში და თუ ბელგიის ჩემპიონატში გაშვებული ბურთებით ერთ-ერთი საუკეთესოა, ამაში, რა თქმა უნდა, გელა შეყილაძის წვლილიცაა.

გასაკვირი კი ერთია. შარშან, თებერვალში, კვიპროსზე ჩატარებული საერთაშორისო ტურნირის შემდეგ ის ეროვნულ გუნდში აღარ გამოუძახებიათ. ოფიციალურ მატჩებზე არაფერს ვამბობთ. ხომ შეიძლებოდა, შეყილაძის თუნდაც ერთ ამხანაგურ მატჩში გამოცდა და მისი სანაკრებო ვარგისიანობის შემოწმება.

რუმინეთის ნაკრებთან შეხვედრამდე 19 დღეღა დარჩა. ჩვენი ეროვნული გუნდის შემადგენლობა დღესდღეობით უცნობია, მაგრამ ერთი კი თითქმის ცხადია — გელა შეყილაძეს ნაკრებში არც ამჯერად მიიწვევენ.

— ეროვნული გუნდის ორივე მწვრთნელთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს. რევაზ ძოძუაშვილსა და დავით ყიფიანს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ არ ვიცი, მათ ჰკითხეთ, რატომ არ მათამაშებენ ნაკრებში. ალბათ, წმინდა საფეხბურთო მოსაზრების გამო, მათთვის, ეტყობა, ამჯერად საჭირო არ ვარ. მწვრთნელებს გუნდის მომზადების, თამაშის საკუთარი გეგმა აქვთ, მე კი, მგონი, ზედმეტი ვარ. მათ თავიანთი საქმისა უკეთ იციან — გვითხრა გელა შეყილაძემ, როცა ლიერსში შევეხმიანეთ და ინტერვიუ ვთხოვეთ — ნაკრებს თუ დავჭირდები, იცოდეთ, სათამაშოდ მზად ვიქნები.

**— ახლა როგორ ფორმაში ხარ?**

— ვფიქრობ, არაფერი მიჭირს. ფიზიკურად თუ ცუდად ხარ მომზადებული, ბელგიაში ბევრს ვერაფერს გააკეთებ, მით უმეტეს, მცველი. თავდამსხმელი დაგეჯახება და მოედნის იქით გადაგაგდებს, მსაჯი კი ჯარიმასაც არ დანიშნავს. „ლიერსის“ თითქმის ყველა ფეხბურთელი ჯანზეა და ამ საფეხბურთო კომპონენტში, მგონი, „ანდერლეხტის“, „სტანდარდისა“ და „ბრიუგეს“ ფეხბურთელებსაც არ ჩამოვუვარდებით. ბელგიის ჩემპიონატშიც სწორედ ეს სამი გუნდია უძლიერესი.

**— „ლიერსი“ კი მეათე ადგილზეა.**

— უკეთესადაც შეგვიძლია თამაში, მაგრამ არ გვიმართლებს. როცა ჩემპიონატის მეორე წრე განახლდა, პირველ ორ მატჩს თითობურთიანი სხვაობით ვიგებდით, მაგრამ მეტოქემ შემთხვევით ორჯერვე ბოლოსკენ გაგვითანაბრა. დასანანი ოთხი ქულა დავკარგეთ, თორემ ახლა ლიდერების მახლობლადაც ვიქნებოდით.

**— ეტყობა, „ლიერსი“ შენი თამაშით კმაყოფილია.**

— რადგან ძირითად შემადგენლობაში სტაბილურად ვთამაშობ, შეიძლება, ასეც ითქვას. წინა ჩემპიონატში სულ 14-ჯერ ვითამაშე, წლეულს კი უკვე 20-ჯერ. რაიმე საბედისწერო შეცდომა რომ დამეშვა, დარწმუნებული ვარ, მწვრთნელი აღარ მენდობოდა. „ლიერსში“ ამჟამად თითოეულ ადგილზე დიდი კონკურენციაა და ადგილიც არავის აქვს გარანტირებული, მით უმეტეს, ლეგიონერს. მწვრთნელი ვალტერ მეუსი კი მენდობა, ჩემი იმედი აქვს. სხვათა შორის, სიტყვამ მოიტანა და მეუსი თბილისშიც არის ნამყოფი, როცა 1982 წელს ჩვენი „დინამო“ „სტანდარდს“ მასპინძლობდა. ყიფიანი და გუცაევი ძალიან კარგად ახსოვს.

**— ისევ ცენტრალურ მცველად თამაშობ?**

— ასეა. ყოველთვის ოთხი, ერთ ხაზზე განლაგებული მცველით ვთამაშობთ. მეტოქის ცენტრალურ თავდამსხმელთან რომელიც ახლოსაა, პერსონალურადაც ის მეურვეობს.

**— ამ ზამთარს ცვლილებები ბევრი იყო „ლიერსში“?**

— არც ისე. ორი ფეხბურთელი დავიმატეთ. ერთი „ანდერლეხტიდან“, ერთიც იუგოსლავიელი.

**— წლეულს რა მიზანი გაქვთ? უეფას თასის საგზურს ბევრიც არაფერი გაშორებთ.**

— სწორედ ამისთვის ვიბრძვით. უეფას თასზე თამაშის უფლება თუ ვერ მოვიპოვეთ, მეუსს საქმე ცუდად ექნება, ალბათ მოხსნიან. კლუბის ხელმძღვანელობას სურს, უეფას თასზე ვითამაშოთ.

**— ისევ ეროვნულ გუნდს დავუბრუნდეთ. უახლოეს ხანს არავინ შეგხმიანებია?**

— არა, არავინ. არც ის მგონია, რომ რუმინეთის ნაკრებთან სათამაშოდ გამომიძახონ.

**— იმედი აღარ გაქვს?**

— იმედი კი მაქვს, მაგრამ რეალობიდან გამომდინარე, არ მჯერა, ნაკრებში თუ მიმიწვევენ.

ვიმეორებ, ყველაფერი მწვრთნელების გადასაწყვეტია. მე დიდი სურვილი მაქვს ნაკრებში კიდევ ვითამაშო.

**— როგორც ფეხბურთელს რა ნაკლი გაქვს?**

— სიმაღლე. დღეს ცენტრალური მცველები ჩემზე მაღლები არიან. სუპერკლასის მცველს სიმაღლეც შესაბამისი უნდა ჰქონდეს. თუმც კი ვფიქრობ, რომ ეს ჩემთვის მაინც და მაინც დიდი პრობლემა არ არის.

**— დაბოლოს, როგორ ფიქრობ, ნაკრებში სათამაშოდ მზად ხარ?**

— მგონი. იცით, საქართველოში რომ ვთამაშობდი, მაშინაც ხომ ცენტრალური მცველი ვიყავი და მეტი თავისუფლება მქონდა, ახლა კი მაქსიმუმ ბურთს ორჯერ შევეხო, ჩავჭრი პასს და ბურთთან მეორე შეხებით პასი უნდა გავაკეთო. ესაა თანამედროვე ფეხბურთი. თავს ვატყობ, აშკარად მოვუმატე და ვფიქრობ, ნაკრებსაც გამოვადგები, ამისი იმედი მაქვს. ბელგიის ჩემპიონატში რა დონეზეც დღეს ვთამაშობ, მეტს ვეღარ მოვუმატებ.

**ქობა ინასარიძე**

### ჩვენი მეტოქე

KOREA JAPAN

### ამხანაგური მატჩი

**იორდანია 1:1 უნგრეთი**

**1:0 შილბეიში (40), 1:1 მატიუში (76)**

**უნგრეთი: საფარი; დრაგონერი, შებოკი, მატიუში; დომბი (ფერენცი 55), ილეში, ეროში, ლისტეში, ნ. ტოტი (იუჰარი 46); კაბატი (სოვუნში 80), მ. ფეჰერი (ნადი 46)**

**გაძევება: დომბი (37)**

**მწვრთნელი: ბერტალან ბიჩკეი**

**ამანი. 7 მარტი. 4000 მაყურებელი.**

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპზე ჩვენი თანაჯგუფელი უნგრელები 7 მარტს ამანში ამხანაგურად ეთამაშნენ იორდანიის ნაკრებს. 4 000 მაყურებლის თვალწინ ევროპელები მარცხისგან მატიუშის მეორე ტაიმში გატანილმა გოლმა იხსნა.

შვიდ დღეში უნგრელთა ეს უკვე მეორე საგარეო ფრეა, 28 თებერვალს ბერტალან ბიჩკეის გუნდმა ბოსნიასთან ითამაშა ამავე ანგარიშით.

იორდანიელებთან მატჩში საგოლე პასი მატიუშს შტუტგარტელმა ფერენც ლისტემმა გაუკეთა. უნგრული გაზეთების ცნობით ამანში სტუმართაგან სწორედ ეს ორი ფეხბურთელი ყოფილა ყველაზე აქტიური. ისე კი, ჩვენს თანაჯგუფელებს მოგებაც შეძლებიათ, 85-ე წუთზე ლისტეშის პასით კარიდან 10 მეტრში დარჩენილ შეცვლაზე შესულ სოვუნმუს ვერ უხეირია.

# სამი კადრი დინამოსთვის

ყველა საქმეს ცოდნა უნდა, ყველა საქმეს, თუ ის კარგად გინდა გააკეთო, სათანადო კადრების სჭირდება. თბილისის „დინამოშიც“ ისეთი ხალხი უნდა მუშაობდეს, გუნდის სახელი და ტრადიციები რომ იმსახურებს.

დაკანონების და რეგისტრაციის შედეგად კლუბში ნელ-ნელა ყალიბდება შიგა სტრუქტურა. რეგისტრაციის შემდეგ მხოლოდ ის გახდა ცნობილი, რომ დამფუძნებლის, „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელი ნიკა ივანიშვილია, ხოლო კლუბის პრეზიდენტი რევაზ არველაძე.

ახლახან კი „დინამოს“ კიდევ სამი ახალი კადრი შეემატა. კლუბის პრეზიდენტის, რევაზ არველაძის თანაშემწე ნოდარ ჩოლარია იქნება — ყოფილი წყალბურთელი და სფფ-ის გენმდივან ვალერი ჩოლარიას ვაჟი. „დინამოს“ მენეჯერობას სფფ-ის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თანამშრომელი გია ისიანი გასწევს. მასმედიასთან ურთიერთობას ტელეჟურნალისტი გიორგი კოღუაშვილი შეუდგება.

**დავით თავართქილაძე**

# ჯონიმ ჯერ დაზვერა

**მეცხრამეტე** ტურში „კოლხეთს“ პრინციპული მატჩი ჰქონდა ბათუმში. არ წააგეს ფოთელებმა, ქულა გამოიყოლეს აჭარიდან.

ხვალაც მორიგი პრინციპული თამაში ელით კოლხებს. ამჯერად შინ, „ფაზისზე“ პირველადგილოსან რკინიგზელებთან.

ფოთელებს ჰყავთ რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი, რომელთა არყოფნა უარყოფითად მოქმედებს „კოლხეთზე“ — შალამბერიძე, ღაღანიძე, ტორჩინავა...

ბათუმში კოლხთა თავკაცმა სოსო ფილიამ სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ ტორჩინავა დააყენა. ღაღანიძე სათადარიგო იყო, ხოლო შალამბერიძეს მატჩის ოქმში საერთოდ ვერ იპოვიდით. ჯონი ბათუმში არც ყოფილა.

სამაგიეროდ, „კოლხეთის“ წამყვანი მოთამაშე მეორე დღეს ვაკის სტადიონის დასავლეთ ტრიბუნაზე მოკალათებულიყო და „ლოკომოტივ“ — „ვიტ ჯორჯიას“ პაექრობას უცქერდა. ცხადია, „ბათუმთან“ არყოფნის მიზეზიც მაშინ ვკითხეთ.

„10 მარტს „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ აუცილებლად ვითამაშებ“ — ასეთ მოკლე კომენტარს დაგვაჯერა შალამბერიძემ.

საქმეში უკეთ გასარკვევად „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტ თენგიზ ქოიავას შევეხმიანეთ, რომელმაც ყველა ეჭვი გაფანტა.

— „ჯონი „ბათუმთან“ მატჩის წინ



ჯონი შალამბერიძე „ლოკომოტივთან“ ითამაშებს

შეუძლოდ იყო. ამიტომ სოსო ფილიამ მისი დასვენება გადაწყვიტა. „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ კი შალამბერიძე მატჩს ძირითად შემადგენლობაში დაიწყებს“.

შეგახსენებთ, რომ „კოლხეთიდან“ „ტორპედოში“ გადაბარგებული შალამბერიძე ფოთელებს მოსამზადებელ პერიოდში დაუბრუნდა და კლუბთან საშლიანი კონტრაქტიც გააფორმა.

**დათო დანელია**

# ხურცილავა მშვიდად იყოს: ჯაკობია გაიჭირვებს და ითამაშებს

**ერთი** თვის წინ ბარძაყის კუნთი გაიწყვიტა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და ბელგიური „აალსტის“ თავდამსხმელმა ლაშა ჯაკობიამ. ქართველისთვის უიღბლო „ლოკერენთან“ მატჩი გამოდგა. მოედანზე მე-60 წუთზე შესული ჯაკობია მატჩის ბოლოს შესაცვლელი შეიქნა. ბელგიელი ექიმების გადაწყვეტილებით, ფეხმტკივან ქართველს ექვსი კვირა უნდა დაესვენა.

ამ ტრავმის გამო ჯაკობიამ უკრაინელების წინააღმდეგ ვერ ითამაშა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში. მისმა არყოფნამ გუნება გაუფუჭა ნაკრების მწვრთნელ მურთაზ ხურცილავას და უჯაკობიობა გარკვეულწილად ჩვენი გუნდის თამაშსაც დაეტყო. ხურცილავას მდგომარეობა გასაგებია, ჩვენს ახალგაზრდულ გუნდს თავდასხმაში გარკვეული პრობლემები აქვს.

ჯაკობია ხურცილავას განკარგულებაში 14 მარტსაც ვერ იქნება, როგორც იცით, ამ დღეს ქართველი ახალგაზრდები „შევარდენზე“ აზერბაიჯანელ თანატოლებს უმასპინძლებენ. თუმც მარტის ჩვენებურებს გუნდს უფრო მნიშვნელოვანი შეხვედრა — 27 მარტს რუმინელებთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩი ელით, იქ კი ჯაკობიას დარი ფორვარდი უთუოდ საჭიროა ხურცილავას გუნდისთვის. მაგრამ შეძლებს კი ლაშა რუმინელებთან მატჩამდე ტრავმის მოშუშებას?

ამ კითხვას „აალსტის“ ქართველმა ფორვარდმა გუშინდელი სატელეფონო საუბრისას გასცა პასუხი.

„ერთი კვირაა, ინდივიდუალურად მამზადებს გუნდის მეორე მწვრთნელი ფონდსი. ჯერჯერობით ყველაფერი ჩინებულად მიდის, ორშაბათს გუნდთან ერთად დავიწყებ ვარჯიშს და კვირის ბოლოს სარეზერვო გუნდში ერთ ტაიმსაც ვითამაშებ, ყოველ შემთხვევაში, გუნდის ექიმი ამის გარანტიას მაძლევს.

როგორც გაირკვა, ჩემი ტრავმა უვარჯიშებლობით იყო გამოწვეული, მტკივან საზარდულს თითქმის ნახევარი წელი ვმკურნალობდი, მერე კი ვარჯიში და თამაში რომ განვაახლე, კუნთმა დატვირთვას ვერ გაუძლო და გაწყდა. ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ 27 მარტამდე მოვმჯობინდე. რადაც არ უნდა დამიჯდეს, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს რუმინელთა ძლევაში უნდა შევეშველო.



ნაკრების შემადგენლობაში ლაშა ჯაკობიამ ბოლოს ბათუმში, თვრამეტწლამდელებთან ერთად გაიხარა

90 წუთს გავიჭირვებ და თუ ნაკრების მწვრთნელთა სურვილიც იქნება, თავს დავდებ მოედანზე. „აალსტში“ კი ყველაფერი თითქმის გარკვეულია, გუნდი რჩეულთა დივიზიონიდან, წლეულს, ალბათ, არ გავარდება. ასე რომ, ფიქრით ახლა მხოლოდ ახალგაზრდულ ნაკრებთან ვარ“.

**ბაატა ძვანტალიანი**




☎ (231) 7 17 58 იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ქუთაისში ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიკოსთან"

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

# ბავშვებს შიათ!
## სოციალური მოტივი კობა ჟორჟიკაშვილის შემოქმედებაში



*ხუთი წლის წინანდელი ამბავია — საქართველოს თექვსმეტწლამდელთა ნაკრებმა რევაზ გაგუას თავკაცობით წარმატებით დაძლია შესარჩევი ტურნირი და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდა. მას შემდეგ ამ ნაკრებს ასეთი შედეგისთვის აღარ მიუღწევია, ვერა და ვერ გაჭრეს ჩვენმა ჭაბუკებმა ფანჯარა ევროპაში — მეტოქე თანატოლები აშკარად ჯაბნიდნენ.*

*უეფას გადაწყვეტილებით, ამ ასაკობრივ ნაკრებებს ახლა „Under 17" ანუ ჩვიდმეტწლამდელები ჰქვიათ. შარშან, დეკემბერში, საქართველოს ნაკრებსაც ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს — კობა ჟორჟიკაშვილი.*

*ჟორჟიკაშვილის გუნდმა პირველი არაოფიციალური გამოცდა უკვე გაიარა. თებერვლის ბოლოს გუნდი გერმანელებმა თავისთან მიიწვიეს. 1984 წელს დაბადებულთა იქაურმა ნაკრებმა აალენსა და ნოირდინგენში უმასპინძლეს ერთი წლით უმცროს ქართველებს. გერმანელებმა ჯერ 4:0 მოგვიგეს, მერე — 3:0.*

*ჩვენ ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ კობა ჟორჟიკაშვილს გუშინ შევხვდით და გუნდის გერმანულ ტურნეზე ჩამოვუგდეთ სიტყვა.*

— რა თქმა უნდა, ჩვენსა და გერმანელ ბავშვებს შორის დიდი სხვაობაა. მათ ყველაფერში დაგვჯაბნეს — ფიზიკურ მომზადებაში, ტაქტიკაში, ტექნიკაში... შედეგიც ლოგიკური გახლდათ. გერმანიაში წასვლამდე სამი კვირით ადრე შევიკრიბეთ და ოთხი ამხანაგური მატჩი ვითამაშეთ.

**— ნაკრებში მხოლოდ თბილისის საფეხბურთო სკოლის აღზრდილები თამაშობენ?**

— გუნდი უმეტესად თბილისელებითაა დაკომპლექტებული, თუმც თითო წარმომადგენელი გვყავს თელავიდან, ბათუმიდან და გორიდან.

**— სელექციურ მუშაობას როგორ უძღვებით?**

— მოგეხსენებათ, შარშან 1985 წელს დაბადებულთა შორის ჩატარდა ბავშვთა ლიგის გათამაშება და ეს ტურნირი ნაკრების კანდიდატთა შესარჩევად ძალიან წაგვადგა. მაგრამ სავსებით შესაძლებელია ისეც მოხდეს, რომ საქართველოს ყველა რაიონის თუ პერიფერიის გუნდი და ნიჭიერი ჭაბუკი ლიგაში ვერ მოხვდნენ. ამიტომაც მწვრთნელებს, რომლებსაც ეგულებათ ისეთი ბიჭები, ნაკრების დონეზე თამაშს რომ შეძლებენ, ჩვენთან მოიყვანონ.

**— შესარჩევი ტურნირი ოქტომბერში იწყება. როგორ მოემზადება გუნდი მისთვის?**

— სფფ ყველანაირად ცდილობს, დაგვეხმაროს. ჩვენი ნაკრები ეროვნული ჩემპიონატის რეგიონულ ლიგაში ითამაშებს, რომელიც მარტის ბოლოს დაიწყება.

**— კი მაგრამ, რეგიონულ ლიგაში, ალბათ, მხოლოდ ჭაბუკი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდები არ ითამაშებენ. თექვსმეტი წლის ფეხბურთელებისთვის სასარგებლო იქნება უფროსებთან პაექრობა?**

— რატომაც არა. ფეხბურთის სათამაშო დონით დაახლოებით ერთი რანგისა ვიქნებით. ჩავატარებთ მატჩებს, გუნდიც შეთამაშდება, ჩამოყალიბდება. ერთი სიტყვით, რეგიონულ ლიგაში თამაში ძალიან გამოგვადგება.

აგვისტოს ბოლოს კი კვლავ უცხოეთში წასვლა გვაქვს დაგეგმილი. ლიტვის საკურორტო ქალაქ პალანგაში ტურნირი ჩატარდება, სადაც მასპინძელთა და ჩვენს გარდა, უკრაინისა და ნორვეგიის ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრებებიც იასპარეზებენ.

**— შესარჩევ ტურნირში ჩვენი მეტოქეები ბოსნიისა და ისრაელის გუნდებია. მატჩები თბილისში გაიმართება და ჩვენს შანსებს როგორ შეაფასებდით?**

— ვთვლი, რომ ბოსნიასაც და, რა თქმა უნდა, ისრაელსაც ჩვენზე კარგი ეროვნული ჩემპიონატი აქვთ. მათ საკმაოდ ბევრით ჩამოვრჩებით. წვრთნის პროცესი, უხარისხო მოედნები, არასრულფასოვანი კვება, არაკვალიფიციური მწვრთნელები ბავშვთა ფეხბურთში... ყველაფერ ამაზე რომ ვილაპარაკო, „სარბიელის" ერთი ნომერი არ გვეყოფა. მაგრამ ჩვენ ქართველები ვართ ანუ მაქსიმალისტები. ვეცდებით, საუკეთესო ჭაბუკები შევკრიბოთ და ფინალურ ეტაპზე გასვლისთვისაც დიდი შემართებით ვიბრძოლებთ.

**— გუნდს საკუთარი მოედანი და ბაზა თუ აქვს?**

— აგრალური უნივერსიტეტის მინდორზე ვვარჯიშობთ, ბაზა გაგვაჩნია. იმედია, ეს საკითხი უახლოეს მომავალში სასიკეთოდ გადაწყდება.

**— წელან არასრულფასოვანი კვება ახსენეთ. ნუთუ საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრებს ეს პრობლემაც აწუხებს?**

— მართალია, ფეხბურთს ყველა სოციალური ფენიდან მოსული ბავშვი თამაშობს, მაგრამ ფეხბურთი მაინც უფრო ღარიბთა სპორტია. ასეთი ტენდენციაა საქართველოშიც. ჩვენი გუნდის ძირითად ბირთვსაც დუხჭირი ოჯახების შვილები წარმოადგენენ და აშკარად ვამჩნევ, რომ სრულფასოვანი კვების საშუალება არა აქვთ...

**დავით თავართქილაძე**

# მალაღურაძე გაიქცა, შილაკაძეც, ჩოჩიშვილიც, ორდინიძეც...

**ფეხბურთის** ფედერაციის სამსაჯო კომიტეტმა ეროვნული ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპის დაწყებამდე არბიტრებს ფიზიკურ-თეორიული გამოცდა მოუწყო. თითქმის ყველა ქართველმა მსაჯმა დავალებას წარმატებით გაართვა თავი.

გამონაკლისი მხოლოდ ოთხი იყო, ფიფას არბიტრი მერაბ მალაღურაძე, ალექსანდრე შილაკაძე, ვახტანგ ჩოჩიშვილი და ავთანდილ ორდინიძე. ამათ თეორიაში თავი კი გამოიჩინეს, მაგრამ ფიზმომზადება?..

არადა, ოთხივეს ჩვენში გამოცდილ, მრავალწაცად არბიტრებად იცნობენ. ნორმატივების ჩაუბარებლობის მიზეზი კი ტრავმები ყოფილა.

მერაბ მალაღურაძემ საგაზაფხულო ეტაპისთვის სამზადისში კუნთი დაიჭიმა და სამკურნალო შეიქნა.

ალექსანდრე შილაკაძემ ახალი წლის მობრძანებამდე „ბენდელას ტურნირზე" ნეკნები დაიბზარა და მასაც საექიმოდ გაუხდა საქმე.

ვახტანგ ჩოჩიშვილმა და ავთანდილ ორდინიძემ მსაჯთა ხსოვნის ტურნირზე სასტვენები დროებით გვერდზე გადადეს და ფეხბურთი ითამაშეს, ტრავმებიც მას შემდეგ აწუხებდათ.

გამოჯანმრთელებულ ოთხეულს სამსაჯო კომიტეტმა კიდევ ერთი შანსი მისცა. მალაღურაძემ ნორმატივები წინა კვირას ჩააბარა, ხოლო შილაკაძემ, ჩოჩიშვილმა და ორდინიძემ გუშინ ივარგეს და ოთხივე მომავალი ტურიდანვე იმსაჯებსო, თქვა სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის წარმომადგენელმა ადიკ დურსუნიშმა.



მერაბ მალაღურაძე

**დათო დანელია**

# ბოლნისს სპარტაკი უბრუნდება?!
## ჭორ-მართალი აირია



სპარტაკ არჩვაძე

**ბოლნისურმა** „სიონმა" საგაზაფხულო ეტაპი წარმატებით დაიწყო. გორში, „დილასთან" მოგებულმა მატჩმა ექვსეულში შეღწევის პერსპექტივა რეალობას მიუახლოვა, მაგრამ მომდევნო ტურში, საშინაო თამაშში „მერანთან" დამარცხებამ იმ პერსპექტივას ცივი წყალი გადაასხა.

ავჭალელებს ბოლნისელებმა მთავარი მწვრთნელის, სპარტაკ არჩვაძის გარეშე უმასპინძლეს. ჩვენდა გასაოცრად, მაშინ გუნდის თავკაცის არყოფნის მიზეზი ვერავინ გვითხრა. თანაც ჭორად დადიოდა, არჩვაძე „სიონიდან" წავიდაო.

სიმართლის გასარკვევად თავად მწვრთნელს დავუკავშირდით და 4 მარტს ბოლნისში არყოფნის მიზეზი ვკითხეთ.

შეუძლოდ შევიქენი, გულმა შემაწუხა, ახლა უკეთ ვარ, „სიონს" მომავალ ტურშივე დავუბრუნდები და ჩვეულად ვუხელმძღვანელებო — გვითხრა არჩვაძემ.

სპარტაკ არჩვაძეს, რა თქმა უნდა, ჯანმრთელობას ვუსურვებთ, მაგრამ რატომღაც გვგონია, რომ არც დარხეული ჭორები უნდა იყოს მთლად უსაფუძვლო. იმასაც ამბობენ, კლუბის თავკაცებსა და მწვრთნელს შორის შავმა კატამ გაირბინაო...

**დათო დანელია**


მაგთი GSM

მაგთი MAGTI GSM

ფილარმონია. 26 მარტი. 20 სთ

წარმოგიდგენთ

XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიას

„ვარსკვლავები"

ღონისძიების ორგანიზატორები შ.პ.ს. „ვერიტა", სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქტელერადიო კორპორაცია. საინფორმაციო მხარდაჭერა რადიო „ფორტუნა" და „ფორტუნა პლიუსი", გაზეთები „ლელო", „ალია", „სარბიელი".

გენერალური სპონსორი მაგთი GSM

თქვენ გელით შეხვედრა ქართული ფეხბურთის ელიტასთან.

VERITA

106.9 FM FORTUNA ფორტუნა

სარბიელი


# ანკეტა

საქართველოს XX საუკუნის
საუკეთესო ფეხბურთელების, მწვრთნელის, მსაჯის,
გუნდის, გოლის
გამოსავლენად ტარდება ფეხბურთის გულშემატკივართა,
სპეციალისტთა გამოკითხვა პრესის, ტელეფონის და
ინტერნეტის მეშვეობით შემდეგ ნომინაციებში:

1. საუკეთესო ფეხბურთელი ..........
2. საუკეთესო მეკარე ..........
3. საუკეთესო მცველი ..........
4. საუკეთესო ნახევარმცველი ..........
5. საუკეთესო თავდამსხმელი ..........
6. საუკეთესო მწვრთნელი ..........
7. საუკეთესო მსაჯი ..........
8. საუკეთესო გუნდი ..........
9. შესანიშნავლობანესი (საუკეთესო) გოლი ..........

..........

გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეგიძლიათ ამოჭრათ, შეავსოთ ანკეტა და გამოგზავნოთ გაზეთის რედაქციაში ან ჩააბაროთ გაზეთების გასაღების პუნქტებში. გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონებზე: 99 96 43; 99 56 14 ან მოგვაწოდოთ ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით:

WWW. gff. ge - ვებ გვერდი

gff@ acces. sanet. ge - E-mail

## ჩემპიონთა ლიგა. V ტური. A ჯგუფი

### შტურმი 0:5 ვალენსია

0:1 აიალა (5), 0:2 კარეუ (50), 0:3 კილი გონსალესი (60), 0:4, 0:5 დიეგო ალონსო (88, 90)
შტურმი: სიდორჩუკი, პრილასნიგი, კორსოში, შტრაფნერი, იბერტსბერგერი, შუპი, ფლურკინი (ფელდჰოფერი 61), მინავანდ ჩალი (მარტენსი 74), კოციანი (საბიჩი 61), ვასტიჩი, ჰაასი
მწვრთნელი: ივიცა ოსიმი
ვალენსია: კანისარესი, ჯუკიჩი, აიალა, პელეგრინო, ანგლომა, დეშამპი, კილი გონსალესი (ვისენტე 77), მენდიეტა (ალბელდა 82), აიმარი, კარეუ (დიეგო ალონსო 79), ხუან სანჩესი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: პელეგრინო, მენდიეტა
გაძევება: პრილასნიგი (35)
მსაჯი: სტეფანო ბრასკი (იტალია)
16 000 მაყურებელი

**რაც** ჩემპიონთა ლიგა დაარსდა, მესამე შემთხვევა იყო, რომ სტუმარმა გუნდმა ამხელა ანგარიშით მოიგო. გრაცელები იმით თუ გაიმართლებენ თავს, რომ 55 წუთი ათი კაცით ითამაშეს. სტეფანო ბრასკიმ ჟილბერტ პრილასნიგი იონ კარეუსთან უხეშობისთვის გააძევა.

თუმცა „ვალენსიას“ ანგარიში იქამდე ჰქონდა გახსნილი — რობერტო ფაბიან აიალამ გაისკა მენდიეტას კუთხური გოლად აქცია. აღსანიშნავია, რომ სტუმართა კაპიტანმა 79-ე წუთზე იბერტსბერგერთან ჭიდაობისთვის გაფრთხილება მიიღო და მომდევნო მატჩს გამოტოვებს. თუმცა მენდიეტას არყოფნით „ვალენსიას“ არაფერი დააკლდება, რადგან ჯგუფიდან გასვლა განაღდებული აქვს. თეორიულად შეიძლება, რომ ესპანელებს „მანჩესტერი“ და „შტურმი“ ქულებით გაუთანაბრდნენ, მაგრამ ურთიერთშეხვედრების მიხედვით, „ვალენსია“ მეორე ადგილზე ქვევით ვერანაირად ვერ აღმოჩნდება.

აიალას პირველ გოლს იონ კარეუმ და კილი გონსალესმა თითო-თითო, ხოლო დიეგო ალონსომ ორი მიაყოლა. არადა, ოქმი გვიჩვენებს, რომ ალონსომ მინდორზე მხოლოდ თერთმეტი წუთი დაჰყო.

მატჩის შემდეგ ავსტრიელთა მწვრთნელმა ივიცა ოსიმმა თქვა, „ვალენსია“ ჩვენზე ძლიერი გუნდია, მაგრამ არც იმდენად, რა ანგარიშითაც მოგვიგოო. ხორვატი სპეციალისტის სიტყვებით, გრაცელებმა იმაზე მეტი შეცდომა დაუშვეს, რამდენსაც ჩვეულებრივ უშვებენ ხოლმე. ამას გაძევებაც დაემატა.

„სწრაფი გოლის გაშვების შემდეგ ზედმეტად გავრისკეთ და აი, ასეთი შედეგი მოვიმკეთ. ჩვენთვის ლიგა დასრულდა. მართალია, მეოთხედფინალში გასვლის თეორიული შანსი დაგვრჩა, მაგრამ ეს ფუჭი ოცნებაა“ — ესეც ივიცა ოსიმის სიტყვებია. ოცნება მართლაც ფუჭია. ჯგუფიდან გასასვლელად „შტურმმა“ ბოლო ტურში „ოლდ ტრეფორდზე“ სულ მცირე 3:1 უნდა მოიგოს.

„ვალენსიას“ თავკაცი ექტორ რაულ კუპერი კი ლიგიდან პრიმერადივიზიონზე გადაერთო და ამბობს, ლიგაში აპრილამდე მნიშვნელოვანი თამაში აღარ გვაქვს და შინაურ ჩემპიონატს უნდა მივხედოთ, პირველობა თუ გვსურსო.

### პანათინაიკოსი 1:1 მანჩესტერ იუნ.

1:0 სეიტარიდისი (25), 1:1 სქოულზი (90)
პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, გუმასი, ბასინასი (ფილიპსენი 85), ოლივარესი, ფისასი, სეიტარიდისი, ბოატენგი, ვლაოვიჩი (გალეტო 59), ლიბეროპულოსი (ვარჩუხა 66), კარაგუნისი
მწვრთნელი: სტრატოს აპოსტოლაკისი
მანჩესტერ იუნ: ბარტეზი, გ. ნევილი, სტამი, ბრაუნი, სილვესტრი (ჩედვიკი 64), კინი, ფ. ნევილი (შერინგემი 77), ბექემი, სქოულზი, იორკი, ენდი კოული (სოლსკიაერი 78)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ოლივარესი, სეიტარიდისი
მსაჯი: კარლ-ერიკ ნილსონი (შვედეთი)
27 230 მაყურებელი

**„პანათინაიკოსისთვის“** მოგებასაც და წაგებასაც ერთი ფასი ჰქონდა. „მანჩესტერ იუნაიტედი“ კი მოგების შემთხვევაში მეოთხედფინალში გასვლას ინაღდებდა. ჰოდა, თუ ასეა, ინგლისელებს გამარჯვება არ უნდა გასჭირვებოდათ, პირიქით კი მოხდა — სერ ალექსის ბიჭებმა ათენიდან ქულა მხოლოდ ბოლო წუთზე გატანილი გოლის წყალობით წაიღეს.

„პანათინაიკოსს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს — სტრატოს აპოსტოლაკისი, რომელსაც მუშაობის შთამბეჭდავად დაწყება სურდა და ასეთი შედეგის ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლოა, ესეც იყოს. ლიგაში ათენელთა მატჩებს თუ გავიხსენებთ, ყველაზე ძლიერად მათ პირველ ეტაპზე, „იუვენტუსის“ წინააღმდეგ ითამაშეს. ჰოდა, აპოსტოლაკისმაც ის შეხვედრა გაიხსენა, „იუვენტუსის“ შემდეგ „პანათინაიკოსს“ ასე კარგად არ უთამაშიაო.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ ბერძნულ კლუბთან არასდროს დამარცხებულა და 25-ე წუთზე 19 წლის გიორგიოს სეიტარიდისის გოლმა ისტორიული საშიშროების წინაშე დააყენა. საინტერესოა, რომ ეს ფეხბურთელი არცთუ დიდი ხნის წინ შეიყვანეს ათენელთა სალიგო განაცხადში.

მასპინძლებს რომ ევარგათ, კიდევ გაიტანდნენ, რადგან მანჩესტერელი მცველები, განსაკუთრებით კი პირველ ტაიმში, მეტად უნიათოდ ირჯებოდნენ და მთელი დატვირთვა ფაბიენ ბარტეზმა აიღო საკუთარ თავზე. „ბარტეზი საუკეთესო მეკარეა მსოფლიოში. მან დღეს ქულა მოგვაპოვებინა“ — თქვა მატჩის შემდეგ ალექს ფერგიუსონმა.

ბარტეზი მართლაც იმსახურებს შექებას. ნიკოს ლიბეროპულოსი, დერეკ ბოატენგი, ანგელოს ბასინასი — სამივენი გავიდნენ ბარტეზთან პირისპირ და სამჯერვე ფრანგმა იმარჯვა. ყველაზე მეტი ოფლი სტუმრებს მაინც ბოატენგმა აღვრევინა, არადა, ეს განელი ბიჭი სულ რაღაც 17 წლისაა.

ბარტეზი კი ვაქეთ, მაგრამ ახლა პოლ სქოულზიც ვახსენოთ — საპასუხო გოლის გამტანი. წამატებულ დროში ლამის ოცდაორივე ფეხბურთელი ათენელთა საჯარიმოში ჩამჯდარიყო. ჩედვიკმა დაარტყა, სქოულზმა, კარისკენ ზურგით მდგომმა ბურთი მიიღო, შემობრუნდა და გაისროლა — მეკარე არც განძრეულა.

თითქმის წაგებული მატჩის გათანაბრების შემდეგ, ბოლო წამებზე სქოულზს ერთი ისეთი მომენტიც ჰქონდა... თუმცა მისი ყოჩაღობა მაინც არაფერია ბარტეზის გმირობასთან შედარებით.

**გიორგი დარჯანია**



შტურმი — ვალენსია. ესპანელი ხუან სანჩესი (№17) ორ მასპინძელს გაექცა

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვალენსია | | 0:0 | 2:0 | 13.03 | 8:1 | 9 |
| 2 | მანჩესტერი | 1:1 | | 13.03 | 3:1 | 7:3 | 9 |
| 3 | შტურმი | 0:5 | 0:2 | | 2:0 | 4:10 | 6 |
| 4 | პანათინაიკოსი | 0:0 | 1:1 | 1:2 | | 3:8 | 2 |

## ჩემპიონთა ლიგა. V ტური. B ჯგუფი

### გალათასარაი 2:0 მილანი

1:0 ჰაჯი (19), 2:0 ჟარდელი (86)
გალათასარაი: ტაფარელი, ბიულენთი (ემრე ასიქი 75), პოპესკუ, კაპონე, ემრე ბელოზოღლუ, აჰმეთი, ოკანი, უმითი (არიფი 85), ჰაჯი, ჟარდელი (ფარუკი 88), ჰასან შაში
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
მილანი: დიდა, შამოტი, სალა, მალდინი, ბა (ხოსე მარი 79), პაბლო გარსია, კოკუ, ჯუნტი, ბობანი (სერჯინიო 69), შევჩენკო, ლეონარდო (ბირჰოფი 53)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: ლეონარდო, ჰაჯი, ჯუნტი, სალა, ბიულენთი, ოკანი, შამოტი
მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)
22 000 მაყურებელი

**ამრიგად,** სტამბოლის „გალათასარაის“ რუმინელმა მწვრთნელმა, მირჩა ლუჩესკუმ „დიდი ბიჭების“ კომპანიაში ამოჰყო თავი.

„ახლა ჩვენ მეოთხედფინალისტები ვართ. იქ, მეოთხედფინალში, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და მადრიდის „რეალია“ — უთხრა მან „მილანთან“ გამარჯვების შემდეგ რეპორტიორებს.

გახსოვთ წინა სეზონი? „გალათასარაიმ“ მაშინაც „მილანს“ მოუგო 3:2, რაც იმ დროისთვის ისტორიული წარმატება გახლდათ: გუნდი უეფას თასზე გადავიდა, ხოლო იქ საუცხოოდ ითამაშა და საბოლოოდ ჯილდოსაც დაეპატრონა. ასეთი წარმატება თურქულ ფეხბურთს მანამდე არასდროს ჰქონია. მაგრამ, აი, რას ამბობს ლუჩესკუ:

„მოდით, უეფას თასსა და ჩემპიონთა ლიგას ერთმანეთში ნუ ავურევთ. აქ, ლიგაში გაცილებით ძლიერი გუნდები თამაშობენ“.

შემდეგ: „დღეს დამსახურებულად გავიმარჯვეთ, თანაც, დიდ შეხვედრაში. „მილანთან“ მთავარი ნახევარდაცვის მოგება იყო, რაც მოვახერხეთ. ჩვენ პრესინგს მივმართეთ, თანაც ისეთს, რომ სტუმართა პრესინგი დავჩრდილეთ“.

და, მართლაც, სტამბოლელთა მხრიდან თვალშისაცემი გახლდათ ნახევარმცველების, ემრე ბელოზოღლუს, ოკან ბურუქისა და უმით დავალას თავგანწირული სირბილი თუ დაუსრულებელი ორთაბრძოლები.

„მილანელთა“ თავკაცი, ალბერტო ძაკერონი, კოლეგის ანალიზს პრინციპში დაეთანხმა:

„ჩვენ მოედნის შუაში დაგროვებულ უამრავ სტამბოლელთან მოგვიხდა ჭიდილი. მათ შორის ემრეს გამოვარჩევდი. სამწუხაროდ, საქმეები ყოველთვის ისე არ მიდის, როგორც გსურს. ისე გამოვიდა, რომ ჩვენ, მობილურ მოწინააღმდეგეს ძალიან სტატიკური ფეხბურთი დავუპირისპირეთ“.

მართლაც, მილანელებმა ამ შეხვედრაში შთაბეჭდილება ვერ მოახდინეს და ახლა, მეოთხედფინალში გასასვლელად ერთადერთი გზა რჩებათ — „სან სიროზე“ „დეპორტივოს“ დამარცხება.

„კაცმა რომ თქვას, „გალათასარაისგან“ სწორედ ამას ველოდით. ისინი ხომ საკუთარ მოედანზე ყოველთვის აგრესიულად თამაშობენ. ასეთი ტაქტიკის დასაძლევად ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ და სწრაფად უნდა გვემოქმედა, მაგრამ, სამწუხაროდ, მოედნის შუაში ბევრი ორთაბრძოლა წავაგეთ“ — დასძინა ძაკერონიმ.

ლუჩესკუმ კი აღნიშნა, რომ მისი გუნდი კიდევ არ იყო ისეთ ჯანზე, მას რომ სურდა:

„ფიზიკურად გუნდი ვერ იყო მთლად კარგ ფორმაში. სუათმაც ვერ ითამაშა, მაგრამ ბიჭებმა ძლიერი ხასიათი გამოავლინეს“.

სტამბოლელთაგან გოლები გეორგ ჰაჯიმ და მარიო ჟარდელმა გაიტანეს. ჰაჯიმ ერთხელაც დაამტკიცა, რომ ასაკის მიუხედავად დიდ ფეხბურთელად რჩება: მე-19 წუთზე მილანელთა მეკარე დიდას გაუმართლებელი გამოვარდნით დიდოსტატურად ისარგებლა, შორიდან ჩაწოდებულ ბურთს ფეხი ამოჰკრა და ლამაზი ტრაექტორიით კარში ჩაუშვა.

ჟარდელის გოლი პირისპირ შესვლის შედეგად გავიდა.



გალათასარაი — მილანი. იტალიელთა ბრაზილიელ მეკარე დიდას მეორე გოლი თურქთა ბრაზილიელმა მარიო ჟარდელმა (№9) გაუტანა

### დეპორტივო 4:3 პარი სენ ჟერმენი

0:1 ოკოჩა (29), 0:2, 0:3 ლერუა (43, 55), 1:3 პანდიანი (57), 2:3 დიეგო ტრისტანი (60), 3:3, 4:3 პანდიანი (76, 84)
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, რომერო, ნაიბეტი, დონატო, ემერსონი (პანდიანი 46), მაურო სილვა, ვიქტორი, ვალერონი, ფრანი (დიეგო ტრისტანი 59), მაკაი (სკალონი 85)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
პარი სენ ჟერმენი: ლეტიზი, მენდი, ა. სისე, დეჰუ, დისტინი, ალფერინო, დიუკრო, ოკოჩა (იანოვსკი 71), ბენარბია (რაბესანდრატანა 59), არტეტა, ლერუა
მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი
გაფრთხილება: ალფერინო, ემერსონი, ლერუა
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)
23 000 მაყურებელი

**ერთი** გუნდი მეორეს, თამაშის დამთავრებამდე 35 წუთით ადრე 3:0-ს უგებს. ეს გუნდები უმაღლესი დონის შეჯიბრების მეორე ეტაპზე მონაწილეობენ და მათი მატჩიც ამ შეჯიბრებისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი, პრინციპში, თანაბარი ძალისანი არიან. ამოცანა გვეკითხება, რა უნდა მოხდეს, რომ დარჩენილ 35 წუთში მეორემ პირველს ოთხი გოლი გაუტანოს და დაამარცხოს?

ამოცანის პირობაში უკვე მოცემულია, რომ გუნდები დაახლოებით თანაბარძალოვანნი არიან ანუ ის, რომ ერთმა მეორეს სამი გაატანინა, ხოლო მერე თავს ლაფის დასხმის მიზნით ოთხი შეუგდო, გამორიცხულია. გამორიცხულია გარიგების ვერსიაც — თუმც გასაგებია, რომ ამის თქმა დღევანდელ საქართველოში არაპოპულარულია. მაშ რა რჩება?

სანამ პასუხს მოვიფიქრებდეთ, მატჩისშემდგომი პრესკონფერენციის მასალებს გავეცნოთ.

გამარჯვებულის ანუ „დეპორტივოს“ მწვრთნელი ხავიერ ირურეტა:

„ვალტერ პანდიანი მოედანზე იმიტომ შევიყვანე, რომ ის თავით ძალიან კარგად თამაშობს („დეპორტივომ“ ოთხივე გოლი თავურით გაიტანა, მათგან სამი პანდიანიმ შეაგდო, ხოლო მეოთხე მასავით შეცვლაზე შესულმა დიეგო ტრისტანმა). მინდოდა თამაშის აქცენტი ფრთებზე გადამეტანა, რათა იქიდან ჩაწოდებული ბურთები ჰაერში მოგვეგო და ასე გამოგვესწორებინა მდგომარეობა. იმავე მოსაზრებით შევიყვანე მოედანზე ტრისტანიც“.

ჩავხედოთ სტატისტიკის წიგნს: ასეთივე რამ ჩემპიონთა ლიგაში, 1993 წელს მოხდა, როდესაც ბრემენის „ვერდერი“ „ანდერლეხტთან“ 33 წუთში 0:3-ს აგებდა და 5:3 მოიგო.

ხავიერ ირურეტა: „ბარსელონასთან“ 1:2-ს ვაგებდით და 3:2 მოვიგეთ, შემდეგ, „რეალთან“ 0:2-ს ვაგებდით და 2:2 ვითამაშეთ. არ მინდა ეს ჩვევაში გადაგვივიდეს, რადგან ერთ მშვენიერ დღეს, რომელიმე მოწინააღმდეგე უპირატესობას ხელიდან აღარ გაუშვებს და საქმეს ბოლომდე მიიყვანს“.

„პარი სენ ჟერმენის“ მწვრთნელი ლუის ფერნანდესი:

„ფეხბურთში ყველაფერი ხდება. „დეპორტივოს“ ასეთი რამ „ბარსელონასა“ და „რეალთან“ უკვე ჰქონდა გაკეთებული, ჩვენ კი, რა გვეთქმის... ჭკუა უნდა ვისწავლოთ. გაგვიტანეს თუ არა პირველი გოლი, მასპინძლებს გული მიეცათ, რასაც ტრიბუნებზე შეკრებილმა გულშემატკივრებმაც შეუნთეს ცეცხლი. ჩემს ფეხბურთელებს კი შეუძლიათ თავი მაღლა ასწიონ. პირველ ტაიმში ჩვენ საუცხოოდ ვითამაშეთ. გულწრფელად გეუბნებით, დღეს „პარი სენ ჟერმენი“ დამარცხებას არ იმსახურებდა“.

**ბაჩუნა ძიძია**

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გალათასარაი | | 1:0 | 2:0 | 1:0 | 6:4 | 10 |
| 2 | დეპორტივო | 2:0 | | 0:1 | 4:3 | 9:6 | 9 |
| 3 | მილანი | 2:2 | 13.03 | | 1:1 | 5:6 | 6 |
| 4 | პსჟ | 13.03 | 1:1 | 1:3 | | 6:10 | 2 |



ვესტ ჰემი — ჩელსი. სტუმარი გუსტავო პოიეტი (მარჯვნივ) მასპინძელ კრისტიან ბასილას ფეხებში ჩაუვარდა

# დღეს პირველი აპრილია

## ინგლისი

### გადადებული მატჩი

**ვესტ ჰემი 0:2 ჩელსი**

0:1 გუდიონსენი (32), 0:2 ჰასელბაინკი (38)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, პოტსი, ს. პირსი (შემელი 11; დიაგარა 46), ი. პირსი, სონგი, დეილი, ჯ. კოული, სომა, ლამპარდი, შუკერი (ბასილა 78), დი კანიო
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
ჩელსი: კუდიჩინი, ლებეფი, დესაი, ფერერი, ლე სო (ტერი 87), იოკანოვიჩი (დალა ბონა 83), უაიზი, სტანიჩი (პოიეტი 23), გრონკიაერი, ჰასელბაინკი, გუდიონსენი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: ლამპარდი, შუკერი, ფერერი, გრონკიაერი
26 016 მაყურებელი

**გახურებულ** ჩემპიონთა ლიგის საღამოს ლონდონის „აპტონ პარკზე" პრემიერლიგის ერთი თამაში გაიმართა. ეს მატჩი ისტორიული გამოდგა იმ მხრივ, რომ „ჩელსიმ" შარშან, 1 აპრილს ლიდსის „ელანდ როუდზე" გამარჯვების მერე პირველად მოიგო გასვლითი პრემიერლიგური შეხვედრა. კლაუდიო რანიერის გუნდმა „ვესტ ჰემი" დაამარცხა.

ჩელსელებმა პირველსავე ტაიმში შეიქმნეს ორბურთიანი მარაგი და თამაში ხელიდან არ გაუშვიათ.

პირველი გოლი ისლანდიელმა ეიდურ გუდიონსენმა გაიტანა 32-ე წუთზე, მალე კი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა გაინავარდა და ლამაზი გოლიც ჩასვა.

იმავ საღამოს, „ბლექბერნ როვერსმა" ასოციაციის თასის გადათამაშებაში „ბოლტონი" დაანგრია — 3:0 და ახლა მეოთხედფინალში „არსენალს" შეხვდება. „ბლექბერნმა" სამივე გოლი მეორე ტაიმში გაიტანა და ხვალ „ჰაიბერიზე" შეებრძოლება მეთოფეებს. ბლექბერნელთა მენეჯერი გრემ სუნესი იქადნება, ჩემი გუნდი გმირობის ჩამდენიაო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერ იუნ. | 29 | 20 | 7 | 2 | 66:19 | 67 |
| არსენალი | 29 | 15 | 8 | 6 | 47:29 | 53 |
| იფსვიჩი | 28 | 14 | 4 | 10 | 42:34 | 46 |
| ლივერპული | 27 | 13 | 6 | 8 | 47:30 | 45 |
| სანდერლენდი | 29 | 12 | 9 | 8 | 33:28 | 45 |
| ლესტერი | 28 | 13 | 6 | 9 | 31:29 | 45 |
| ლიდსი | 29 | 12 | 8 | 9 | 42:37 | 44 |
| ჩელსი | 28 | 11 | 9 | 8 | 50:33 | 42 |
| ჩარლტონი | 29 | 11 | 9 | 9 | 38:40 | 42 |
| საუთჰემპტონი | 28 | 11 | 8 | 9 | 33:34 | 41 |
| ნიუკასლი | 28 | 11 | 5 | 12 | 33:39 | 38 |
| ტოტენჰემი | 29 | 9 | 9 | 11 | 33:38 | 36 |
| ვესტ ჰემი | 29 | 8 | 11 | 10 | 35:37 | 35 |
| ასტონ ვილა | 27 | 8 | 10 | 9 | 29:29 | 34 |
| დერბი ქაუნთი | 29 | 8 | 10 | 11 | 30:44 | 34 |
| ევერტონი | 29 | 8 | 8 | 13 | 31:43 | 32 |
| მიდლსბრო | 29 | 5 | 13 | 11 | 31:35 | 28 |
| სიტი | 29 | 6 | 8 | 15 | 31:47 | 26 |
| ქოვენთრი | 29 | 5 | 9 | 15 | 26:48 | 24 |
| ბრედფორდი | 28 | 3 | 7 | 18 | 18:53 | 16 |

### ასოციაციის თასი

1/8 ფინალი. გადათამაშება

**ბლექბერნი (I) 3:0 ბოლტონი (I)**

1:0 ფლიტკროფტი (56), 2:0, 3:0 ბიშები (73პ, 80)
ბლექბერნი: ფრიდელი, ტეილორი, შორტი, ბიორნებიე, ბენტი, მაჰონი (ჯონსონი 58), ფლიტკროფტი, ბერკოვიჩი, დანი (კელერი 73), ბენტი (იანსენი 46), ჰიუზი
ბოლტონი: ბენქსი, რიჩარდსონი, ჩარლტონი, მარშალი, ბერგსონი, სამერბი (ჰანსენი 68), ნოლანი (ფრანდსენი 76), ელიოტი, ჰასი (ფარელი 65), რიკეტსი, ჰოლდსუორთი
გაფრთხილება: ბერკოვიჩი, ჯონსონი, რიკეტსი, ბერგსონი, რიჩარდსონი
20 318 მაყურებელი

### მეოთხედფინალის წილისყრა

10 მარტს: არსენალი — ბლექბერნი (I); ლესტერი — უიკომბი (II)
11 მარტს: ტრანმერი (I) — ლივერპული; ვესტ ჰემი — ტოტენჰემ ჰოთსპური

### I დივიზიონი

**XXXVI ტური**

**ნოტინგემი 1:0 ბარნსლი**
1:0 ბარტ-უილიამსი (I)

**შეფილდ უენსდეი 0:0 პორტსმუთი**

**ქუინზ პარკი 1:1 უოტფორდი**
1:0 ნგონგე (50პ), 1:1 ნილსენი (65)

**კრიუ 1:0 შეფილდ იუნაიტედი**
1:0 ლენტი (61)

**კრისტალ პალასი 1:2 ბირმინგემი**
0:1 გრეი (47სკ.), 0:2 ადებოლა (59), 1:2 ოსტინი (60)

**ჯილინგემი 0:0 უიმბლდონი**

**ჰადერსფილდი 0:0 გრიმსბი**

**სტოკპორტი 0:0 ბარნლი**

**ნორვიჩი 0:1 ვესტ ბრომვიჩი**
0:1 ჰიუზი (32პ)

**ტრანმერი 1:1 პრესტონი**
0:1 მაკენი (7), 1:1 ელისონი (58)

**ვულვერჰემპტონი — ბოლტონი**

**ბლექბერნი — ფულემი**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 35 | 24 | 7 | 4 | 73:25 | 79 |
| ბოლტონი | 35 | 19 | 10 | 6 | 58:34 | 67 |
| ბლექბერნი | 33 | 19 | 8 | 6 | 52:31 | 65 |
| ბირმინგემი | 33 | 20 | 5 | 8 | 49:33 | 65 |
| ვესტ ბრომვიჩი | 36 | 18 | 8 | 10 | 48:40 | 62 |
| პრესტონი | 35 | 17 | 6 | 12 | 47:42 | 57 |
| შეფილდ იუნ. | 35 | 16 | 8 | 11 | 40:33 | 56 |
| ნოტინგემი | 34 | 17 | 5 | 12 | 44:38 | 56 |
| უოტფორდი | 35 | 16 | 7 | 12 | 57:50 | 55 |
| ბარნლი | 34 | 14 | 7 | 13 | 34:40 | 49 |
| უიმბლდონი | 32 | 12 | 10 | 10 | 53:36 | 46 |
| ნორვიჩი | 36 | 11 | 10 | 15 | 34:42 | 43 |
| ბარნსლი | 36 | 11 | 8 | 17 | 36:44 | 41 |
| ვულვზი | 33 | 10 | 10 | 13 | 34:35 | 40 |
| ჯილინგემი | 35 | 9 | 13 | 13 | 43:47 | 40 |
| პორტსმუთი | 35 | 8 | 15 | 12 | 35:41 | 39 |
| კრიუ | 34 | 11 | 6 | 17 | 35:46 | 39 |
| კრისტალ პალასი | 35 | 9 | 10 | 16 | 47:54 | 37 |
| გრიმსბი | 34 | 9 | 8 | 17 | 31:48 | 35 |
| სტოკპორტი | 36 | 6 | 16 | 14 | 44:59 | 34 |
| ქუინზ პარკი | 35 | 6 | 15 | 14 | 35:57 | 33 |
| უენსდი | 35 | 9 | 6 | 20 | 36:61 | 33 |
| ჰადერსფილდი | 34 | 7 | 11 | 16 | 34:43 | 32 |
| ტრანმერი | 33 | 8 | 7 | 18 | 33:53 | 31 |

## შოტლანდია

### ასოციაციის თასი

1/8 ფინალი. გადათამაშება

**დანდი 0:1 ჰარტსი**

0:1 ტომაშეკი (71)
დანდი: როკატი, სმიტი, ტვიდი, კოინი, დე მარკი, არტერო, ნემსაძე, რაე, მაროკო (კარანსა 74), კანიჯა, სარა
მწვრთნელი: ივანო ბონეტი
ჰარტსი: ნიემი, ფლოგელი, პრესლი, სევერინი, მაკენი, ბოიაკი (ნიელსონი 59), მაკეი, კამერონი, ტომაშეკი, დიური (ხუანხო 46), კირკი
გაფრთხილება: მაროკო, მაკეი, ხუანხო
7 155 მაყურებელი

**სელტიკი 4:1 დანფერმლაინი**

1:0 ვეგა (23), 1:1 ტომსონი (28), 2:1 ვეგა (48), 3:1, 4:1 ლარსონი (61პ, 73პ)
სელტიკი: დუგლასი, მიალბი, ვეგა, ვალგაერენი, აგატი, მაკნამარა (პეტროვი 62), ლენონი, ტომპსონი, მორავჩიკი, ლარსონი (კრეინი 81), ჯონსონი (ლამბერტი 62)
დანფერმლაინი: რუიტენბეკი, დაზზარგი (ბულენი 68), სკერლა, ს. ტომპსონი, როსი, დეირი (დიკუიზენი 81), ნიკოლსონი, ფერგიუსონი, მაკგროთი, ჰემშერი, კროუფორდი
გაფრთხილება: ვეგა, როსი
31 940 მაყურებელი

**„დანდიმ"** წააგო და ევროპაში ქვეყნის თასიდან გამსვლელი გზაც მოიჭრა. არადა, დედაქალაქის „ჰართსთან" ბონეტის გუნდმა სტუმრად ფრეს მიაღწია და თითქოს შინ აღარ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ მორიგმა სულელურმა საქციელმა, ამჯერად მარკო დე მარკის მიერ ჩადენილმა, დაალალატა და მეოთხედფინალისტობა დააკარგვინა.

იტალიელი მცველი დე მარკი 34-ე წუთზევე დაითხოვეს მოედნიდან, საქმე კი ასე იყო: მას სტუმარი ლი მაკილი ეთამაშა უხეშად, რაც არც მსაჯს გამოპარვია და დამნაშავეს ყვითელი ბარათიც უჩვენა, მაგრამ ბონეტის თანამემამულემ ეს არასაკმარისად მიიჩნია და ედინბურგელს გაარტყა... კარგი ჩიტიც დაიჭირა.

ათკაციანი „დანდი" ისე სახიფათოდ ველარ უტევდა, სტუმრებმა კი რობერტ ტომაშეკის ზუსტი დარტყმის წყალობით იხეირეს და უძლიერეს რვაშიც გააღწიეს, თუმცა იქ ალბათ, ველარაფერს მიაღწევენ, ვინაიდან „პარკჰედზე" გლაზგოს „სელტიკს" სტუმრობენ.

ჩემპიონატის ლიდერმა ასევე გადათამაშებაში შინ „დანფერმლაინი" გაანადგურა, შვედმა ჰენრიკ ლარსონმა კი სეზონის საკუთარი მონაგარი 42 გოლამდე აიყვანა. ამის ორი პენალტის გარდა სტუმართა კარის ბადე კიდევ ორჯერ, შვეიცარიელმა მცველმა რამონ ვეგამ შეარხია.

### მეოთხედფინალის წილისყრა

10 მარტს: კილმარნოკი — ჰიბერნიანი; ლივინგსტონი (I) — პიტერჰედი (III)
11 მარტს: დანდი იუნაიტედი — გლაზგო რეინჯერსი; სელტიკი — ჰარტსი



სელტიკი — დანფერმლაინი. რამონ ვეგამ სტუმრებს ორჯერ გაუტანა

## ამხანაგური მატჩი

**მექსიკა 3:3 ბრაზილია**

1:0 სუარესი (6), 2:0 დე ნიგრისი (56), 2:1 ედილსონი (58), 2:2 რომარიო (80), 3:2 არელანო (90), 3:3 რომარიო (90)
მექსიკა: სანჩესი, მარკესი (ო. ბლანკო 78), სუარესი, დავინო, კარმონა, ვილა, ლუნა (მ. რუისი 70), სეპედა (ბარდო 81), გ. რუისი, დე ნიგრისი, ოსორნო (არელანო 54)
მწვრთნელი: ენრიკე მესა
ბრაზილია: როჟერიო, კაფუ ლუსიო, რობერტო კარლოსი (სილვინიო 60), ედმილსონი, ვამპეტა, ემერსონი, ედილსონი (ჟულერი 60), რივალდო (რობერტო სილვა 60), რონალდინიო (ლუიზაო 78), რომარიო
მწვრთნელი: ემერსონ ლეაო
მსაჯი: უილიამ მატუსი (კოსტა რიკა)
75 000 მაყურებელი

**ბრაზილიის** ნაკრებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან მექსიკაში გადაინაცვლა და გვადალახარაში ამხანაგურად გაეჯიბრა იქაურებს. გავიხსენოთ, რომ ბრაზილიელებმა ამერიკელები 2:1 დაამარცხეს. იმ მატჩში ემერსონ ლეაოს რივალდო და რობერტო კარლოსი არ ჰყავდა. სად ეცალათ ამხანაგურისთვის — „რეალი" „ბარსელონას" ხვდებოდა. რივალდო და რობერტო კარლოსი ნაკრებს პირდაპირ მექსიკაში შეუერთდნენ და ეროვნული გუნდიც სრული საბრძოლო შემადგენლობით შეიკრება.

სტუმართა ძალა გვიან გამოჩნდა, მატჩის დასაწყისი მექსიკელებისა იყო. უკვე მეექვსე წუთზე კაპიტანმა კლაუდიო სუარესმა ორი მცველი მოატყუა და ანგარიში გახსნა.

ამის შემდეგ ბრაზილიელები გონს მოეგნენ, მაგრამ მათი იერიშები „არსენალისას" ჰგავდა „სპარტაკთან" მატჩში — მეტწილად მასპინძელთა ნახევარზე იყვნენ, მაგრამ კარგი მომენტი არ შეუქმნიათ. ეს უპირველესად იმავე სანჩესის და რაფაელ მარკესის დამსახურებაა, რომელთაც ოსვალდო სანჩესის კარის წინ გადაულახავი ბარიკადა ჩადგეს. სხვათა შორის, მეკარე სანჩესს სანაკრებო დებიუტი ჰქონდა.

შესვენების შემდეგ ასევე დებიუტანტმა ანტონიო დე ნიგრისმა იყოჩაღა და მიგელ სეპედას პასით მეკარე როჟერიუს მეორე გოლი გაუტანა. ეს 56-ე წუთზე მოხდა.

სტუმრებმა სხვაობა ორიოდ წუთში შეამცირეს. ედილსონმა, რომელიც თითქმის ოფსაიდში იყო, რივალდოსგან კარგი პასი მიიღო და ახლო მანძილიდან გაიტანა.

აბა, როგორ იქნებოდა, რომარიოს არ გაეტანა. იგი მე-80 წუთზე ლუსიოს ჩაწოდებულ კუთხურს შორეულ ძელთან შეეგება და გაათანაბრა.

მექსიკელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თამაშის ასეთმა შემობრუნებამ ისინი არ გატეხა და შეცვლაზე შესულმა არელანომ როჟერიუს ბურთი თავზე გადაუგდო.

თითქოს მატჩი ასე უნდა დასრულებულიყო. წამატებული წუთები მიდიოდა და მსაჯსაც სასტვენი პირისკენ მიჰქონდა, როცა ბრაზილიამ ისევ გაათანაბრა. ეს გოლიც რომარიომ მიითვალა.



მექსიკელი რაფაელ მარკესი (№4) და ბრაზილიელი რომარიო

## გერმანია

### გადადებული მატჩი

**ჰერტა 2:1 უნტერჰახინგი**

0:1 ციმერმანი (52), 1:1 დარდაი (55), 2:1 ვან ბურიკი (68)
ჰერტა: კირალი, ვან ბურიკი, ტრეჩოკი, შმიდტი, კონსტანტინიდისი (სვერისონი 77), სანე (ტომი 46), დარდაი, ჰარტმანი, ვოში, პრეეცი, ალვეში (ვაიტი 90)
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
უნტერჰახინგი: ტრემელი, შტრემელი, ა. ჰერცოგი (შტრაუბე 63), ზაიფერტი, დ. შვარცი, ჰაბერი, ჰირში, შმიზაკი (რაკლი 79), ციმერმანი (ჩიფუკი 74), ობერლაიტნერი, ბრაიტენრაიტერი
მწვრთნელი: გიუნტერ ლორანც კოსტნერი
გაფრთხილება: ვოში, კონსტანტინიდისი, ციმერმანი, ბრაიტენრაიტერი
27 326 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 24 | 13 | 5 | 6 | 41:29 | 44 |
| ბაიერნი | 24 | 13 | 4 | 7 | 47:28 | 43 |
| შალკე | 24 | 12 | 5 | 7 | 43:26 | 41 |
| ლევერკუზენი | 24 | 12 | 4 | 8 | 40:29 | 40 |
| ჰერტა | 24 | 13 | 1 | 10 | 46:41 | 40 |
| ლაუტერნი | 24 | 12 | 4 | 8 | 34:30 | 40 |
| ვერდერი | 24 | 10 | 7 | 7 | 35:33 | 37 |
| ფრაიბურგი | 24 | 9 | 7 | 8 | 31:27 | 34 |
| მიუნხენ 1860 | 24 | 9 | 7 | 8 | 31:37 | 34 |
| კიოლნი | 24 | 9 | 6 | 9 | 41:37 | 33 |
| ვოლფსბურგი | 24 | 8 | 8 | 8 | 43:33 | 32 |
| ჰანზა | 24 | 9 | 4 | 11 | 25:36 | 31 |
| ჰამბურგი | 24 | 9 | 3 | 12 | 46:45 | 30 |
| უნტერჰახინგი | 24 | 7 | 6 | 11 | 24:38 | 27 |
| აინტრახტი | 24 | 8 | 3 | 13 | 30:46 | 27 |
| კოტბუსი | 24 | 8 | 2 | 14 | 29:41 | 26 |
| შტუტგარტი | 24 | 6 | 7 | 11 | 33:38 | 25 |
| ბოხუმი | 24 | 5 | 5 | 14 | 20:45 | 20 |

## საფრანგეთი

### თასის მერვედფინალის წილისყრა

9 მარტს: ვალანსი (III) — სტრასბური
10 მარტს: სტად რეიმსი (III) — ბასტია; კარკასონი (V) — ნანტი; ვანი (IV) — ოსერი; ამიენი (III) — ლე მანი (II); ფონტენეი (IV) — ლიონი; ტრუა — ვასკეალი (II); შატორუ (II) — გრენობლი (III)

## ჩეხეთი

### გადადებული მატჩი

**ტეპლიცე 2:0 სლავია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 18 | 15 | 1 | 2 | 45:14 | 46 |
| სიგმა | 18 | 9 | 6 | 3 | 34:17 | 33 |
| პრჟიბრამი | 18 | 9 | 4 | 5 | 29:19 | 31 |
| ტეპლიცე | 18 | 9 | 3 | 6 | 31:20 | 30 |
| ძიჟკოვი | 18 | 8 | 5 | 5 | 29:27 | 29 |
| ლიბერეცი | 18 | 8 | 4 | 6 | 28:24 | 28 |
| სინოტი | 18 | 6 | 7 | 5 | 25:21 | 25 |
| სლავია | 18 | 6 | 7 | 5 | 23:22 | 25 |
| დრნოვიცე | 18 | 6 | 5 | 7 | 19:20 | 23 |
| ბოჰემიანსი | 18 | 5 | 7 | 6 | 24:26 | 22 |
| იაბლონეცი | 18 | 4 | 7 | 7 | 16:26 | 19 |
| ბანიკი | 18 | 4 | 7 | 7 | 18:30 | 19 |
| ბრნო | 18 | 5 | 2 | 11 | 16:25 | 17 |
| ბლშანი | 18 | 4 | 5 | 9 | 16:25 | 17 |
| ბუდეიოვიცე | 18 | 3 | 6 | 9 | 22:37 | 15 |
| პლზენი | 18 | 2 | 6 | 10 | 15:37 | 12 |

# რაულს ხელობა დაუწუნეს

**დიეგო მარადონამ** მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში ინგლისელებს ხელით გაუტანა და დღემდე ამტკიცებს, ჩემი კი არა, ღვთის ხელი იყოო. მაშინ არგენტინელი არ დაუსჯიათ.

ჩემპიონთა ლიგის „რეალი“ — „ლიდსის“ ამსაწინანდელ შეხვედრაში რაულმაც ხელით გაიტანა. ეს თამაში, ფაქტობრივად, არაფერს წყვეტდა და დაზარალებულებსაც არ გაუპროტესტებიათ — მსაჯს ანიშნეს, ხელი იყოო, მაგრამ პოლონელი არბიტრი არ დაეთანხმა და ლიდსელებმაც ხელი ჩაიქნიეს, ისედაც მეოთხედფინალში იყვნენ.

მსაჯი მატჩის შემდეგღა მიხვდა (ან მიახვედრეს) თავის შეცდომას, სტუმართა გასახდელში შევიდა და ბოდიში მოიხადა.

საქმე ამით არ დასრულებულა. ახლა უეფა რაულის დასჯაზე ფიქრობს, რაკი საფეხბურთო ჩინოსნები დღეს ფეირ-პლეის პრინციპებს უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე მარადონას დროს.

უეფას წარმომადგენელმა თქვა, ჯერ მსაჯის ახსნა-განმარტებით ბარათს გავეცნობით და გადაწყვეტილებასაც მალე გაცნობებთო. ცხადია, შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ უეფამ რაული არ დასაჯოს, თუმცა ეს ნაკლებ სავარაუდოა. ორგანიზაციის გენერალური მდივნის გერჰარდ აიგნერის თქმით, რაულმა ფეხბურთის უმთავრესი პრინციპი დაარღვია, რაც რეაგირების გარეშე არასდიდებით არ უნდა დარჩესო.

ფეხბურთელი თავს იცავს, ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა და ზუსტად არ მახსოვს, ბურთს თავი მოვახვედრე თუ კისერი, ოღონდ ხელი ნამდვილად არაო.

რაულის გარდა, უეფა ლუიშ ფიგუს საკითხსაც განიხილავს. ეჭვობენ, რომ პორტუგალიელმა მატჩის მიწურულს შეგნებულად დასტყუა მსაჯს ყვითელი ბარათი, რათა ერთი კვირის მერე ბრიუსელში გამგზავრება თავიდან აეცილებინა.




ხელი დიდი და ხელი პატარა: „მარკას“ რაულმა მარადონა გაახსენა



REUTERS ბელგრადიდან

ბელგრადული დერბი უხეშობით გამოირჩეოდა

# ეი, თქვენ, მესაფლავენო!

**გუშინწინ** ევროპაში ჩემპიონთა ლიგის მატჩები რომ მიმდინარეობდა, იუგოსლავიაში ამისთვის არავის სცხელოდა. ბელგრადში, „მარაკანას“ გადაჭედილ 90 000-იან სტადიონზე, „ცრვენა ზვეზდამ“ „პარტიზანს“ უმასპინძლა. შეგახსენებთ შარშან, ოქტომბერში, ამ გუნდების მატჩი 27-ე წუთზე, (ანგარიში 1:1 იყო), გულშემატკივართა მიერ სტადიონზე მოწყობილი მასობრივი არეულობების გამო შეწყდა. კლუბები თავისას ითხოვდნენ — „პარტიზანი“ სამი ქულის ავტომატურად მინიჭებას, აქაოდა, სწორედ „ცრვენა ზვეზდას“ ქომაგებმა წამოიწყეს მუშტი-კრივიო, „წითელი ვარსკვლავები“ კი („ცრვენა ზვეზდას“ მეტსახელია), „მესაფლავეებს“ (პარტიზანებს ასე ეძახიან) ადანაშაულებდნენ. მერე საქმეში იუგოსლავიის პრემიერ-მინისტრი ჩაერია და 7 მარტს გადათამაშებაც შედგა.

თავისთავად მეტად საინტერესო მატჩის აღწერას არ შევუდგებით, მაგრამ იმას კი გეტყვით, რომ „ცრვენა ზვეზდას“, ლოგიკის მიხედვით, არ უნდა მოეგო. პარტიზანებს — ვლადიმირ ივიჩს, ანდრია დელიბაშიჩს და საშა ილიჩს უკეთ რომ ემარჯვათ, ვინ იცის, მატჩი როგორ დასრულდებოდა, მაგრამ მასპინძლებს მართლაც რომ წითელი ვარსკვლავი ჰყავდათ — მეკარე ალექსანდრ კოციჩი. კოციჩი სასწაულებს ჩადიოდა და სწორედ მისი დამსახურებაა, რომ „ცრვენა ზვეზდამ“ მოიგო: „ცხადია, შედეგით კმაყოფილი ვარ, მაგრამ თამაშის ხარისხზე რა უნდა ვთქვა. ამ სეზონში ერთ-ერთი ყველაზე ცუდი მატჩი ჩავატარეთ. საზიზღრად გამოვიყურებოდით, თუმცა [illegible] და მოვიგეთ. ახლა [illegible]ლოსაა“ — შენიშნავდით, „ცრვენა ზვეზდას“ თავკაცმა სლავოლიუბ მუსლინმა კბილი დაუძინებელ მტრებსაც გაჰკრა. მასვე დაეთანხმა „ვარსკვლავთა“ კაპიტანი გორნი ბუნიევჩევიჩიც, ფავორიტები ჩვენ ვიყავითო.

ჰო, მატჩამდე ერთი საათით ადრე ორივე გუნდის ქომაგებმა პოლიციელებთან იჩხუბეს, „მესაფლავეებმა“ ბოთლები და ქვები გამოიყენეს, პოლიციელებმა კი, „ცრვენასი“ არ იყოს, საფლავის გათხრა არ აცალეს.

**გიორგი ვაჩნაძიძე**

## იუგოსლავია

### გადადებული მატჩი

### ცრვენა ზვეზდა 2:0 პარტიზანი

1:0 პიანოვიჩი (10), 2:0 ლალატოვიჩი (72)

ცრვენა ზვეზდა: კოციჩი, მარკოვიჩი, ლალატოვიჩი, ჟუკომანოვიჩი, ლერინცი, ბუნიევჩევიჩი, გვოზდენოვიჩი, გ. ილიჩი (ჟურიჩი 70), დრულიჩი, ბოშკოვიჩი (ბოშკოვიჩი 46), პიანოვიჩი (გლოგოვაცი 90)

პარტიზანი: კრალი (რადაკოვიჩი 46), ცირკოვიჩი, ჟერემიცი, მიშკოვიჩი, სავულიჩი, სტანოევიჩი (ილიევი 67), დულიაი, ტრობოკი, ივიჩი, ს. ილიჩი, დელიბაშიჩი (რანკოვიჩი 62)

გაფრთხილება: ლერინცი, გვოზდენოვიჩი, ლალატოვიჩი, კოციჩი, ბოშკოვიჩი, ჟუკომანოვიჩი, ტრობოკი, მიშკოვიჩი, სავულიჩი, ივიჩი, ჟერემიცი

90 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცრვენა ზვეზდა | 19 | 15 | 4 | 0 | 50:9 | 49 |
| პარტიზანი | 19 | 15 | 0 | 4 | 55:18 | 45 |
| ობილიჩი | 19 | 12 | 3 | 4 | 32:20 | 39 |
| ოფკ | 19 | 11 | 3 | 5 | 30:18 | 36 |
| სარტიდი | 19 | 8 | 2 | 9 | 30:30 | 26 |
| ჰაიდუკი | 19 | 7 | 4 | 8 | 27:21 | 25 |
| ჟელეზნიკი | 19 | 7 | 4 | 8 | 25:33 | 25 |
| სუტიესკა | 19 | 7 | 4 | 8 | 21:31 | 25 |
| ვოივოდინა | 19 | 6 | 5 | 8 | 20:19 | 23 |
| მილიციონარი | 19 | 7 | 2 | 10 | 17:23 | 23 |
| ბუდუჩნოსტი | 19 | 6 | 4 | 9 | 16:22 | 22 |
| კრაგუევაჩი | 19 | 6 | 4 | 9 | 18:30 | 22 |
| ზეტა | 19 | 4 | 9 | 6 | 23:28 | 21 |
| რადი | 19 | 6 | 3 | 10 | 23:32 | 21 |
| ჩუკარიჩკი | 19 | 6 | 2 | 11 | 22:30 | 20 |
| ნაპრედაკი | 19 | 5 | 5 | 9 | 18:32 | 20 |
| ზემუნი | 19 | 4 | 7 | 8 | 17:29 | 19 |
| ნიში | 19 | 5 | 3 | 11 | 16:35 | 18 |

# კაცი, რომელიც არ იცინის

## მოვიდა, წავიდა სტენ კოლიმორი

**ამ** ხუთიოდე კვირის წინ, როცა სტენ კოლიმორის ესპანურ „ოვიედოში“ გადასვლაზე ვწერდით, ეჭვი გამოვთქვით, კოლიმორის ესპანელებთან მეგობრობა დიდხანს არ გაგრძელდებაო. და განა ფეხბურთელს ესპანეთი და ოვიედო არ მოსწონს? პირიქით, ერთ-ერთ ინტერვიუში თავად თქვა, აღფრთოვანებული ვარ ამ პატარა, მყუდრო ქალაქით, სადაც ჩემს წარსულს გამუდმებით არ მახსენებენ და მშვიდად ცხოვრება შემიძლიაო. უბრალოდ, სწორედ მისი წარსული, უფრო სწორად კი, მთელი მისი ცხოვრება გვაძლევდა დაეჭვების საფუძველს.

სტენ კოლიმორი სამშაბათს ოვიედოდან გაიქცა. ჩაალაგა ჩემოდნები — სულ შვიდი და ორიოდ საათში ოვიედოდან ლონდონში ჩაფრინდა. ეგებ გაქცევა ცოტა გადამეტებული ნათქვამი იყოს, მას ხომ არავინ მისდევდა, მაგრამ ფაქტია, აღარ დავბრუნდებიო, არავინ გაუფრთხილებია.

არადა, აღარ დაბრუნდება, ეს ამბავი ჩვენს და „ოვიედოს“ ყურამდე კოლიმორის პრესმდივანმა იან მონკმა მოიტანა. „სტენი დიდხანს ეთათბირებოდა ოჯახსა და უახლოეს მეგობრებს და ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა. ჩათვალა, რომ ოცდაათი წლის კაცისთვის დროა, ახალ საქმეს მოჰკიდოს ხელი. აქამდე შვილისთვისაც ნაკლები დრო ჰქონდა, არადა, ტომასს მამის ყურადღება სჭირდება. სტენის საცოლე ესტელი ფეხმძიმეაა და მის გვერდით უნდა იყოს“.

როგორ თუ ფეხბურთს თავს ანებებსო, ლამის ენა ჩაუვარდა „ოვიედოს“ პრესმდივან მიგელ სოლისს, ორშაბათს კლუბის პრეზიდენტ ეუხენიო პრიეტოსთან კაბინეტში ერთად ვისხედით და ანეკდოტებს ჰყვებოდა, წასვლაზე არაფერი უთქვამს, უთუოდ ჭორი იქნებაო.

სოლისი ჭორის გავრცელებას იან მონკს აბრალებს, კოლიმორის საცოლის ფეხმძიმობის ამბავი რომ გავიგეთ, ვუთხარით, თუ გინდა, ერთი-ორი დღით ინგლისში წადი, ინახულე და დაბრუნდიო, მონკი კი ფაქტებს ამახინჯებსო.

არაფერსაც არ ამახინჯებს, ფეხბურთელის პრესმდივანმა ყველაფერი სწორად თქვა და კოლიმორის ცხოვრებას თუ გადავავლებთ თვალს, გასაოცარი არაფერია. ბოლოს და ბოლოს, კოლიმორის ოვიედოდან წასვლიდან ორი დღე, დღეს გადის და როგორც დაბრუნდება, ვნახავთ.

ალბათ, ოვიედოელებმაც გაიხსენეს კოლიმორის თავგადასავლები და გუშინ მათ განცხადებებში გაოცება მუქარამ შეცვალა: „პროფესიონალი ფეხბურთელები ასე არ იქცევიან. თუ კოლიმორი ხუთშაბათამდე არ შეგვეხმიანა და გავრცელებული ცნობა არ უარყო, საქმეში კლუბის იურისტები ჩაერევიან და კოლიმორს ცუდი დღე დაადგება“.

კლუბს ვერავინ გაამტყუნებს. ხუთი კვირის წინ კონტრაქტზე ხელმოწერის სანაცვლოდ კოლიმორს ჯიბეში ნახევარი მილიონი გირვანქა ჩაუდეს. ამან კი დაჰკრა ფეხი და წავიდა — აბა, ვინ შეარჩენს.

ხომ გახსოვთ, როგორ ამბობდნენ კოლიმორზე მისი ყოფილი მწვრთნელები, ასეთი ხალასი ნიჭის მქონე ფეხბურთელი სხვა არავინ არისო. როგორი სიხარულით მიჰყავდათ თავისთან და დიდძალი ფულის გაღებასაც არ ერიდებოდნენ, ბოლოს კი მის მოსაცილებლად ათასგვარ მიზეზს იგონებდნენ. აბა, ვის სჭირდება უზომოდ ნიჭიერი, მაგრამ ლოთი, ნარკომანი და ჩხუბისთავი ფეხბურთელი, რომელიც დღეს ერთს ამბობს და ხვალ მეორეს აკეთებს.

იმავე კონტრაქტით კოლიმორს თითო თამაშში თორმეტი ათასი გირვანქა ერგებოდა, საერთო ჯამში კი მინდორზე 42 წუთი დაჰყო. თუმც რაა თორმეტი ათასი, ისიც გამოუმუშავებელი, კოლიმორის ძველმა ბოსმა ბარი ფრაიმ თქვა, ეგ ინგლისში კვირაში 25 ათასს იღებდა და მის სახეზე ღიმილი არავის უნახავსო.

ისე, „ბრედფორდის“ (კოლიმორის ბოლოსწინა კლუბის) თავმჯდომარე ჯეფრი რიჩმონდმა თქვა, მისი ერთი სიტყვისაც არ მჯერა. რომ ამბობს წავედიო, დარწმუნებული ვარ, მალე რომელიმე კლუბში ამოჰყოფს თავს, რომლის მესვეურებსაც მისი გამოსწორების იმედი ექნებათ. და ეს რომ ნაღდად ასე იქნება, მზად ვარ დიდ ფულზე დავნიძლავდეო.

**გიორგი დარჯანია**




სტენ კოლიმორი „ოვიედოში“ ვეღარ იპოვეს


Copa Toyota Libertadores '2001


### ლიბერტადორესის თასი 2001

VII ჯგუფი. III ტური

ოლმედო (ეკვადორი) 4:2 დეფენსორ სპორტინგი (ურუგვაი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუს ასული | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| ოლმედო | 3 | 1 | 0 | 2 | 8:8 | 3 |
| დეფენსორ სპორტინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 | 3 |
| სან კაეტანო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |

VIII ჯგუფი. III ტური

ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 2:1 დეპორტივო კალი (კოლუმბია)

კობრელოა (ჩილე) 2:1 ორიენტ პეტროლერო (ბოლივია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 3 | 3 | 0 | 0 | 5:2 | 9 |
| კობრელოა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| დეპორტივო კალი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 3 |
| ორიენტ პეტროლერო | 3 | 0 | 0 | 3 | 3:7 | 0 |


ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში

ფეხბურთი, NHL, NBA

☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)

# სიყვარული ყველას უნდა

## ბექემსაც და ბექემისნაირებსაც


THE Sun
£9.50 HOLS IN EUROPE
Token on Page 17
SUN EXCLUSIVE
POSH AND COMMON
Victoria's sis dates Beckham lookalike but he's a non-league goalkeeper
PC Alison crushed to death by fleeing car thief
FOOTBALL EXTRA

**ამ** ორ კაცს სამიოდ რამ აქვს საერთო: გადაპარსული თავი, ერთი და იგივე მოდელის სათვალე და რაც მთავარია, ორივე ღამ-ღამობით ქალბატონ ადამსთან ნებივრობს. ერთს დევიდ ბექემი ჰქვია და კაკო ყაჩაღისა არ იყოს, ბავშვმაც კი იცის, ვინაა და რას წარმოადგენს, მეორე კი ინგლისის ერთ-ერთი სამოყვარულო ლიგის გუნდის „ბორემ ვუდის" მეკარე ნოელ იმბერია.

„ბორემ ვუდი" აქამდეც გვქონდა გაგონილი — 1997 წელს ინგლისის ნაკრებთან სათამაშოდ ჩასული საქართველოს ეროვნული გუნდი სწორედ ამ პატარა ქალაქის 238 ადგილიან სტადიონზე ატარებდა მატჩისწინა ვარჯიშებს. აი, ამ გუნდის მეკარე კი თავად ბრიტანეთშიც ამ დღეებში გაიცნეს. ყველაფერი, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, გაზეთმა „სანმა" გამოჩხრიკა.

ნოელ იმბერი პროფესიით მებაღე ყოფილა, სამუშაოსგან თავისუფალ დროს კი „ბორემ ვუდის" კარს იცავს. ამისთვის კვირაში 130 გირვანქას იღებს, რაც ბექემის ჯამაგირზე დაახლოებით 230-ჯერ ნაკლებია, თუმცა აქამდე უცნობ ლონდონელს მცირე ანაზღაურებაზე არასდროს უწუწუნია. პირიქით, ისე იქცეოდა, თითქოს ცა ქუდად არ მიაჩნდა და ა.შ. — ქალაქის ყველაზე ცნობილ ღამის კლუბებში რეგულარულად დადიოდა. ჰოდა, სწორედ ერთ-ერთ მათგანში ორიოდ თვის წინ ლუიზ ადამსი გაიცნო და მას შემდეგ სხვა ქალისკენ აღარ გაუხედავს.

მეტი რაღა უნდა — 24 წლის ლუიზი, დიახაც, იმ ვიქტორია ადამსის უმცროსი და აღმოჩნდა, ახლა მისის ბექემად რომ იწოდება. ანუ, თუ ყველაფერი ნოელისთვის კარგად დამთავრდა, ნახევრადმოყვარული მეკარე მალე ინგლისის ნაკრების ახალი კაპიტნის ქვისლი გახდება.

ლუიზი რომ ვიქტორიას ჩამოგავს, აბა, ამაში, საოცარი რა უნდა' იყოს, მაგრამ ქვისლობის კანდიდატი რომ ბექემს გაჭრილი ვაშლივით ჰგავს, საკვირველი სწორედ ეს არის. „სანის" ფოტოგრაფმაც ა-ლა-ბექემ ჩაცმულ-დახურული ნოელი „მანჩესტერის" ნახევარმცველის სახლთან გადაიღო და თავიდან თვით ამ მამულის პატრონი ეგონა, მაგრამ მერე გაარკვია, რომ ეს ყმაწვილი დევიდისა და ვიქტორიას შვილის, ბრუკლინის დაბადების დღეზე დაპატიჟებულთაგან ერთ-ერთი, თუმც არარიგითი სტუმარი იყო.

მოკლედ, დებს ერთნაირი გემოვნება ჰქონიათო, ადამსებზე ყოფილა ნათქვამი, თუმცა რამდენად შეეწყობა ლუიზი ღარიბ და ჯერ კიდევ მამის სახლში მცხოვრებ 24 წლის მეკარეს, დრო გვიჩვენებს. ჯერჯერობით კი პოშ სფაისის დაიკო ადამსების ტრადიციას არ არღვევს და საქმროს თამაშებს ყოველთვის ესწრება, რაც როგორც თავის დროზე ალექს ფერგიუსონს, იქაურ მწვრთნელსაც ადარდებს. გრემ რობერტსი, ერთ დროს „ტოტენჰემის" ცნობილი მცველი, აწ კი „ბორემ ვუდის" თავკაცი ამბობს: „ვნახოთ, პოშის დასთან ურთიერთობა ნოელს რა ხეირს დააყრის. ჯერ ის ვიცი, რომ ბრუკლინის დაბადების დღის გამო ჩვენმა მეკარემ ვარჯიში გააცდინა".

რაც ყველაზე საინტერესოა, ნოელის მამა ამბობს, რომ მისი შვილი არავის ბაძავს — სად იყო ბექემი, ჩემი ბიჭი რომ თავს იპარსავდა, 7 წლის ასაკიდან ეგრე არისო — ასე თქვა.

**გიგა ძოგახიძე**

## ისრაელი

### თასის მეთექვსმეტედფინალი

მაკაბი (თელ ავივი) — ირონი (ოფაკიმი) (V) 7:2; მაკაბი (რამათ ამიდარი) (IV) — ჰაპოელი (თელ ავივი) 0:1; ბეითარ შიმშონი (თელ ავივი) (III) — ჰაპოელი (მაიდალ კრუმი) (III) 2:1; ბნეი იეჰუდა (თელ ავივი) — ჰაპოელი (ასი გილბოა) (V) 6:0; ჰაპოელი (ბეერშევა) (II) — ბეითარი (იერუსალიმი) 3:2დ.დ. (2:2); ჰაპოელი (იერუსალიმი) (II) — ჰაპოელი (აშქელონი) (III) 1:1დ.დ. (პენ. 1:4, 1:1); ჰაპოელი (ჰაიფა) — ჰაპოელი (ბნეი საქნინი) (II) 3:1; აშდოდი — ცაფრირიმი (ჰოლონი) 2:2დ.დ. (პენ. 5:6, 2:2); მაკაბი (ფეთახ თიკვა) — მაკაბი (შარაიმი) (III) 5:1; ჰაპოელი (ბეიათ შანი) (II) — მაკაბი (ჰერცლია) (II) 1:1დ.დ. (პენ. 2:4, 1:1); ბეითარი (ბეერშევა) (II) — ჰაპოელი (ფეთახ თიკვა) 1:0; ჰაპოელი (ქვარ საბა) (II) — ირონი (ქირიათ აჭა) (II) 3:4; მაკაბი (ნაზარეთი) (II) — ჰაპოელი (რამათ განი) (II) 4:2; მაკაბი (ნეთანია) — ჰაკოაჰი (რამათ განი) (II) 3:0; მაკაბი (ჰაიფა) — ჰამოელი (ტაიბა) (III) 4:0; მაკაბი (ქირიათ გატი) (II) — ირონი (რიშონი) 1:2დ.დ. (1:1)

### მერვედფინალის წილისყრა

13 მარტს: ბეითარი (ბეერშევა) (II) — ჰაპოელი (თელ ავივი); ირონი (ქირიათ აჭა) (II) — ბეითარ შიმშონი (თელ ავივი) (III); ჰაპოელი (ჰაიფა) — მაკაბი (ფეთახ თიკვა); მაკაბი (ჰაიფა) — ცაფრირიმი (ჰოლონი); მაკაბი (ნეთანია) — ბნეი იეჰუდა (თელ ავივი); მაკაბი (ჰერცლია) (II) — ირონი (რიშონი); ჰაპოელი (აშქელონი) (III) — ჰაპოელი (ბეერშევა) (II)
20 მარტს: მაკაბი (თელ ავივი) — მაკაბი (ნაზარეთი) (II)

## ბულგარეთი

### თასის მეოთხედფინალი

I მატჩები

ლოკომოტივი (სოფია) — პირინი (ბლაგოევგრადი) (I) 4:1; ველბაჟდი (კიუსტენდილი) — სპარტაკი (პლევენი) (I) 3:1
საპასუხო მატჩები გაიმართება 4 აპრილს


# რესტორანი მზიანი ღამე






**განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით**

**დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე**

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

**კ უ ტ უ ზ ო ვ ი ს ქუჩა №3**
**(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)**

**მობრძანდით, გვეწვიეთ: კმაყოფილი დარჩებით**

# ერის გუშაგი

## ნიკოლაძე გრუზინ

**გიორგი ნიკოლაძის** გარდაცვალებიდან 70 წელიწადი გასულა. ასეთ დროს იხსენებენ ღვაწლმოსილ პიროვნებას. ჩვენც გავიხსენოთ გიორგი ნიკოლაძე — ცნობილი მათემატიკოსი და მეტალურგი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი და სორბონის უნივერსიტეტის დოქტორი, ქართული სპორტული მოძრაობის ერთ-ერთი ფუძემდებელი და თავადაც გამოჩენილი ათლეტი, ცნობილი ტანმოვარჯიშე და მთამსვლელი...

ეს მრავალწერტილი მრავლისმომცველია. იგი იტევს გიორგი ნიკოლაძის მოღვაწეობის სხვა სფეროებსაც, მის საოცარ ფიზიკურ და სულიერ ჰარმონიულობასაც, საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც.

მაგრამ მრავალწერტილი, როგორი ტევადიც არ უნდა იყოს, გიორგი ნიკოლაძის ინტერესების ყველა სფეროს მაინც ვერ მოიცავს. მით უმეტეს ვერ მოიცავს ერთი საგაზეთო გვერდი. გიორგი ნიკოლაძე გაცილებით მეტს იმსახურებს. ეს ნათლად ჩანს დღევანდელი გადასახედიდან, როცა ისეთი ცნებები, როგორებიცაა სამშობლო, პატრიოტიზმი, თავდადება, გმირობა, უანგარობა და მისთანანი, მავანთათვის ეგზომ გაუფასურებულა და ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებად ქცეულა.

ვერ გეტყვით, გიორგი ნიკოლაძის ლექსიკაში რამდენი ადგილი ეკავა დღეს სადღეგრძელოების შესამკობადღაა შემორჩენილ ამ ცნებებს, მაგრამ ამ პიროვნებას, სადაც არ უნდა ყოფილიყო: ინგლისსა თუ საფრანგეთში, გერმანიასა თუ ბელგიაში, იტალიასა თუ ესპანეთში, თვალუწვდენელი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქში თუ სამშობლოში, კავკასიონისა და ალპების მწვერვალებზე თუ იქაურ ველ-მინდვრებში, ნიადაგ თან სდევდა თავისი ქვეყნის მომავალზე უანგარო ზრუნვა და საქმიანობა.

გიორგი ნიკოლაძე აწ უკვე გასული საუკუნის 20-იან წლებში წამოჩიტული ახალგაზრდობის კერპი იყო. ასეთად დარჩა მოგვიანებით სარბიელზე გამოსული თაობებისთვის და გიორგი ნიკოლაძეს შარავანდედი არც მომავალი თაობებისთვის გაფერმკრთალდება, იმ თაობებისთვის, რომლებიც მის პიროვნებას გაიცნობენ, ცხადია, სხვადასხვა პუბლიკაციების მიხედვით, თქვენს მონა-მორჩილს კი ჰქონდა პატივი ამ პიროვნების შესახებ მოესმინა მისი მოსწავლეებისა და სხვადასხვა სფეროში მისივე მიმდევრების ნაამბობი...

დედა ნახე, მამა ნახე და გიორგი ნიკოლაძე დიდი მამის — ციურიხის უნივერსიტეტის დოქტორის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის შვილი იყო. დედაც — ოლღა გურამიშვილი, ციურიხის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის კურსდამთავრებული, მერე კი ჟენევის უნივერსიტეტში მოღვაწე, თბილისში იაკობ გოგებაშვილის სკოლის პედაგოგი იყო, მაგრამ დაოჯახების მერე შვილების აღზრდა-განათლების საქმეს გადაეგო და დაუფასდა კიდეც.

ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნემ, იმ ხანად საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარემ, აწ გარდაცვლილმა ოთარ გიგინეიშვილმა გვითხრა, გიორგი ნიკოლაძეზე არ შეიძლება მსჯელობა როგორც მხოლოდ ცნობილ მათემატიკოსზე, ინჟინერ-მეტალურგზე, ან სპორტსმენზე. მისი პიროვნება უნდა განვიხილოთ ყველა ამ საქმიანობის შეჯამებით. მამა-შვილი ნიკო და გიორგი ნიკოლაძეები იმ საქმეს შეეჭიდებოდნენ ხოლმე, რომელიც ყველაზე საჭირო და აუცილებელი იყო საქართველოს კეთილდღეობისთვისო.

მართლაც, გიორგი ნიკოლაძემ თბილისის პირველ გიმნაზიაში სწავლით თავი გამოიჩინა, როგორც მათემატიკური ნიჭით მადლფენილმა მოსწავლემ, მაგრამ იმ დროს ქვეყანას ინჟინრები და ქიმიკოსები უფრო სჭირდებოდა, რაც ერთ-ერთი უდიდესი წინაპირობა გახლდათ საქართველოს ბედის გადასაწყვეტად. ამიტომ 1906 წელს გიორგი ნიკოლაძემ მისაღები გამოცდები ჩააბარა პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ქიმიურ განყოფილებაზე, რომელიც ბრწყინვალედ დაამთავრა 1913 წელს. მას ინსტიტუტის არაორგანული ნივთიერებათა ტექნოლოგიისა და მეტალურგიის კათედრებზე შესთავაზეს დარჩენა, მაგრამ მაინც მეტალურგად დაიწყო მუშაობა და მთელ რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთი სახელოვანი სპეციალისტი გახდა, შემდეგ კი ამ საქმის განვითარებას საქართველოში ჩაუყარა საფუძველი.





საქართველოს მომავლისთვის აუცილებელი იყო მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაც და, ამ მიზნით საფრანგეთში ღვინის დაყენების ტექნოლოგიასაც ეცნობოდა.

როცა საქართველოში მათემატიკის დრო დადგა, გიორგი ნიკოლაძემ „გაიხსენა" გიმნაზიისდროინდელი გატაცება. ეს მოხდა თბილისის ახლადდაარსებულ უნივერსიტეტში, როცა ანდრია რაზმაძესთან, ნიკოლოზ მუსხელიშვილთან და არჩილ ხარაძესთან ერთად თავისი წვლილი შეიტანა ქართული მათემატიკური სკოლის სამირკვლის ჩაყრაში.

1926 წელს გიორგი ნიკოლაძე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მიავლინეს „მეცნიერულ მათემატიკაში დახელოვნებისა და ელექტროქიმიის ზოგიერთი საკითხის შესასწავლად". ორიოდე წლის შემდეგ მან სორბონის უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია თემაზე: „გეომეტრული ფიგურების უწყვეტი სისტემების შესახებ", რისთვისაც მათემატიკის დოქტორის ხარისხი მიანიჭეს.

1928 წელს პარიზში გიორგი ნიკოლაძემ გამოიგონა ელექტრონული არითმომეტრი, რაც იმ დროისთვის ახალი სახის გამომთვლელი მანქანა გახლდათ და ცნობილ სპეციალისტთა მიერ აღიარებაც ხვდა.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ნიკოლაძე აგრერიგად იყო დატვირთული მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობით, მაინც ახერხებდა საქართველოს სპორტული მოძრაობის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ლიდერი ყოფილიყო.

სპორტმა იგი ბავშვობიდან გაიტაცა, რასაც მშობლებიც ხელს უწყობდნენ. გიორგი ნიკოლაძე იყო თავისი დროის შესანიშნავი ტანმოვარჯიშეც, მთამსვლელიც, მოცურავეც, მძლეოსანიც, მოთხილამურეც, ველოსიპედისტიცა და, წარმოიდგინეთ, საბუერო სპორტისა და ციგურაობის მიმდევარიც.

ჯერ კიდევ 1901 წელს, როცა მხოლოდ 13 წლისა იყო, თავის დებთან, რუსუდანთან და თამართან ერთად ალპებში, მწვერვალ ტეტ დე ჟეანზე ავიდა.

„რატომ არის, რომ ინგლისელები, გერმანელები, რუსები ახერხებენ მაღალ მწვერვალებზე ასვლას, და ჩვენ ქართველები კი, რომლებსაც ჯომარდობის (სპორტის) სხვადასხვა დარგში დიდი უნარით გამოვირჩევით, მთასვლაში კი (ე. ი. ალპინიზმში) აქამდის სრულიად არაფერი გაგვიკეთებია. „თუ სხვებს შეუძლიანთ, ჩვენ მით უფრო შევძლებთ. რადგან ჯომარდობაში დახელოვნებული ვართ". ვფიქრობდით და ამიტომ მყინვარწვერზე ასვლა განვიზრახეთ" — წერდა 1924 წელს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მოამბის პირველ ნომერში გიორგი ნიკოლაძე. მანამდე, 1918 წელს ნიკოლაძე პედაგოგთა, სტუდენტთა და სპორტსაზოგადოება „შევარდენის" წევრთა წინაშე გამოვიდა და მსმენელთ ტედ დე ჟეანზე ლაშქრობის შესახებ უამბო.

— ერთგვარ უხერხულობას ვგრძნობ იმის გამო, რომ ჩემს მშობლიურ საქართველოში არც ერთი მწვერვალი არ დამიპყრია. აუცილებლად უნდა შევისწავლოთ ჩვენი მშობლიური კუთხის მდიდარი ბუნება — ლაჟვარდოვანი ზღვიდან დათოვლილ მწვერვალებამდე, საამისოდ კი დიდებული ახალგაზრდობა გვყავს — მიმართა გიორგი ნიკოლაძემ საზოგადოებას და მიზნის მისაღწევად მუხლმოუდრეკლად იღწვოდა კიდეც.

ისევ ოთარ გიგინეიშვილი ნაამბობს გავიხსენებთ: „თბილისის მეხუთე შრომით სკოლაში ვსწავლობდით. მოსწავლეები გიორგი ნიკოლაძეს ხშირად დავყავდით უძოს მთაზე, ზედაზენზე, ჯვრის მონასტერზე... ბავშვებს გიორგი ნიკოლაძე ხნიერად გვეჩვენებოდა და გვიკვირდა, ამხელა კაცს ჩვენთან სიარული რომ ეხალისებოდა.

საინტერესოა იმ დროს გადამდგარი ადმირალის მიხეილ ჭინჭარაძის მოგონებაც, რომელიც გიორგი ნიკოლაძეს დაბადებიდან 90 წლისთავთან იყო დაკავშირებული.

— გიორგი ნიკოლაძე ხშირად გვკრიბავდა უნივერსიტეტის სტუდენტებს, „შევარდენის" წევრებს, სხვა ახალგაზრდებს და ლაშქრობებში დავყავდით. ამგვარ მოგზაურობებს „გაფრენებს" ვეძახდით. ერთ-ერთი „გაფრენის" შემდეგ გიორგიმ შემოგვაპარა, მოდით, მყინვარწვერზეც ვცადოთ ასვლაო. და ავედით კიდეც. ეს მოხდა 1923 წლის 28 აგვისტოს. ასე ჩაეყარა საფუძველი საბჭოთა ალპინიზმის ისტორიას.

თვითონ საბჭოთა მთამსვლელობის ფუძემდებელი ამ ასვლის შესახებ წერდა, „...მიზანი მიღწეულია... აღსრულდა მრავალი წლის ოცნება. მრავალი დღის შრომა და მზადება ასე ბრწყინვალედ დაგვირგვინდა! ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა"...

„ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საამაყო: მწვერვალზე 18-ნი ვართ... ასეთი შემთხვევა მხოლოდ ერთხელ ყოფილა, როცა მყინვარწვერზე 22 კაცი ასულა, როდესაც მეტეოროლოგიურ ქოხს სდგამდნენ, მაგრამ ის ასვლა მშვენიერ დარში მოხდა და ამსვლელნიც უმეტესად მოხევე მზიდველები იყვნენ. ასეთ ცუდ დარში, როგორშიც ჩვენ ავედით, 18 კაცი კი ჯერ არ ასულა".

..."უმთავრეს სიამაყეს ჩვენი დები წარმოადგენდნენ. ამდენი ქალი ჯერ იქ არასოდეს არ ასულა. ჩვენები ხუთნი არიან და მათ შორის ასმათ ნიკოლაიშვილი ჯერ მხოლოდ მეექვსე კლასის მოსწავლეა"...

რამდენიმე დღის შემდეგ მყინვარწვერი, ახლა უკვე პროფესორ ალექსანდრე დიდებულიძის ჯგუფმა დალაშქრა. 1924 წლის 18 იანვარს ამ ექსპედიციების მესვეურებმა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება ჩამოაყალიბეს, თერთმეტიოდე დღის შემდეგ კი ამ საზოგადოება მთასვლა-მგზავრონნული განყოფილება. მის თავმჯდომარედ გიორგი ნიკოლაძე აირჩიეს. ორიოდე დღის შემდეგ იგი ლონდონში, დიდი ბრიტანეთის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების სხდომაზე კითხულობს მოხსენებას „საქართველოში გეოგრაფიული საზოგადოების ჩამოყალიბებისა და ალპინიზმის განვითარების შესახებ".

მოხსენებამ იმდენად დიდი რეზონანსი გამოიწვია, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ნიკოლაძეს მისი გამეორება მოუხდა. მის მოსასმენად ლონდონში საგანგებოდ ჩავიდა ალპინიზმის პატრიარქად შერაცხული, 90 წელს მიტანებული სერ დუგლას ფრეშფილდი, რომელიც მყინვარწვერის, იალბუზისა და თეთნულდის პირველდამპყრობია (1867-68 წლებში).

პეტერბურგში სწავლისას გიორგი ნიკოლაძემ ფინეთის ყურეში კრონშტადტამდე საბუერო გადარბენა მოაწყო. იქ სწავლისას, 1908 წელს იგი მონაწილეობდა სოფიაში გამართულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო შეჯიბრში. 1912 წელს გიორგი ნიკოლაძე და მისი და თამარი მონაწილეობდნენ პრაღაში გამართულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ასპარეზობაში, რომელიც, ფაქტობრივად, მსოფლიოს პირველობა იყო და ხუთ წელიწადში ერთხელ იმართებოდა. ამ შეჯიბრში გიორგიმ 2000-მდე მონაწილეს შორის მე-15 ადგილი დაიკავა, რისთვისაც დიდ დიპლომთან ერთად პირველხარისხოვანი პრიზიც დაისაკუთრა. იქვე გიორგი ნიკოლაძე 6000-მდე მონაწილეს შორის მძლეოსნურ ექვსჭიდში მე-19 ადგილზე გავიდა, რისთვისაც ცაცხვის გვირგვინით შეამკეს.

პრაღაში გამართულ ასპარეზობაში თბილისის გუნდიც მონაწილეობდა. მისი ლიდერი გიორგი ეგნატაშვილი მოგვიანებით იხსენებდა: გიორგი ნიკოლაძე პეტერბურგის გუნდთან ერთად პრაღის ერთ-ერთ ქუჩაზე ჩოხაში ლამაზად გამოწყობილი დავინახე. იგი ყველა გამვლელის ყურადღებას იპყრობდა და იქ ყოფნის პერიოდში გიორგის მოსვენება არ ჰქონდა ხალხისგან, სადაც კი ვინმე დაინახავდა, ქალი თუ კაცი, ყველა ავტოგრაფს სთხოვდა."

გიორგი ნიკოლაძის პოპულარობა პრაღის გაზეთმა „ნაროდნი ლისტ"-მა ფრიად დააფასა, როცა მისი სურათი გამოაქვეყნა ტექსტთან ერთად სათაურით: „ნიკოლაძე გრუზინ".

გიორგი ნიკოლაძე გარეგნულადაც ისეთივე მიმზიდველი იყო, როგორც სულიერად. იგი ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულ ანტიკურ გმირს გავდა, მით უმეტეს მაშინ, როცა სარბიელზე იყო. პრაღაში არც ეს დარჩენიათ შეუმჩნეველი. გიორგი ნიკოლაძემ ისე მოხდენილად ტყორცნა ბადრო, რომ ფირზეც აღბეჭდეს. ამ ფოტომ მთელი მსოფლიო მოიარა, რადგან იგი საფოსტო ბარათის სახითაც გავრცელდა.

მაგრამ სადაც არ უნდა ყოფილიყო გიორგი ნიკოლაძე, მამამისივით საქართველოზე ფიქრობდა და მისთვის იღწვოდა. სოფიაში ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრზე ყოფნისას დაიწყო ფიქრი ქართული სამეცნიერო, სამხედრო და სპორტული ტერმინოლოგიის შექმნაზე და თუ დღეს ქართველები ვხმარობთ სიტყვებს: „მთამსვლელობა", „კალათბურთი", „ფეხბურთი", „ფრენბურთი", „ტანვარჯიში" და სხვა, ამას სწორედ გიორგი ნიკოლაძეს უნდა ვუმადლოდეთ.

გიორგი ნიკოლაძეს უნდა ვუმადლოდეთ საქართველოში პირველი სპორტული საზოგადოება „შევარდენის" შექმნასაც. ნიკოლაძის თაოსნობით დაარსებული ეს სპორტსაზოგადოება თავდაპირველად ტანვარჯიშის მიმდევართ აერთიანებდა, მერე კი მთამსვლა-მგზავრონნობის მოყვარულებსაც. ამ სპორტსაზოგადოების მიზანი იყო არა უბრალოდ ვარჯიში, პაექრობა, ლაშქრობები და მწვერვალების დალაშქვრა, არამედ ჯანსაღი თაობის აღზრდა, სამშობლოს უკეთ გაცნობა, რაც პატრიოტული გრძნობების გაღვივებას ითვალისწინებდა. ეს რომ უეჭველად ასე იყო, ნათლად ჩანდა „შევარდენის" დევიზში: „გუშაგობ ერს? — მარად!". ამიტომაც გიორგი ნიკოლაძე ერის გუშაგი იყო.

სამწუხაროდ, მან მხოლოდ 43 წელიწადს იცოცხლა. იგი საქმეს გადაეგო.

იმ ხანად გიორგი ნიკოლაძე დიდუბეში, ფერომანგანუმის საცდელი ქარხნის აგებაზე მუშაობდა. იმ ქარხანამ მთელ საბჭოთა კავშირში პირველი ფეროშენადნობი გამოუშვა. თებერვალი იდგა. თოვლიანი ქარბუქი მძვინვარებდა. ქარხანაში რაღაც გაფუჭდა. მაგრამ გიორგი ამინდს არ შეეპუა, ქარხნისკენ გასწია. შინ რომ ბრუნდებოდა, ფილტვების ანთება დაემართა...

1954 წელს, როცა ქართველი მთამსვლელები პირველად გასცდნენ მშობლიურ კავკასიონს და პამირში უსახელო მწვერვალი დალაშქრეს, მას გიორგი ნიკოლაძის სახელი უწოდეს.

**ავთანდილ გურასაშვილი**



გიორგი ნიკოლაძე ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულ ანტიკურ გმირს გავდა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ლატაკი ქველმოქმედი

7 მარტი

**ფილადელფია 102:94 ნიუ ჯერსი**

ფილადელფია: სნოუ (7), აივერსონი (38), ლინჩი (11), ჰილი (13 ქულა, 14 მოხსნა), მუტომბო (11 ქულა, 12 მოხსნა); მაკკი (12), ჯონსი (10)

ნიუ ჯერსი: მარბერი (20 ქულა, 14 პასი), ჰარისი (9), ვან ჰორნი (21), მარტინი (14), ემმეიერი (7); ვილიამსი (11), ნიუმენი (10), დუგლასი (2), ჯექსონი

მტკივანმა მუხლმა „ნიუ ჯერსის" ქართველ ლეგიონერ ვლადიმერ სტეფანიას მორიგი თამაში გამოატოვებინა, მისმა გუნდმა კი მორიგი მარცხი ჩაიწერა შესაბამის გრაფაში. მართალი რომ ითქვას, იმ დღეს „ბადეთა" გამარჯვებას არც არავინ ელოდა. ატლანტიკის დივიზიონის ცხრილის ფსკერიდან ერთი საფეხურით მაღლა დაფუძნებული „ნიუ ჯერსი" არა მარტო დივიზიონის, არამედ სრულიად ლიგის საუკეთესო (ყოველ შემთხვევაში, მიმდინარე შედეგების მიხედვით მაინც) გუნდს, „ფილადელფია სიქსერზს" სტუმრობდა და პრაქტიკულად წარმატების არანაირი შანსი არ ჰქონდა. თუმც იმ დღეს „ბადეები" სულაც არ ტოვებდნენ განწირულის შთაბეჭდილებას. სტუმრებმა არად ჩააგდეს მათსა და მეტოქეს შორის არსებული უდიდესი სხვაობა და ვერ ვიტყვით, რომ მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ ბრძოლაში კი დათმეს თამაში.

„ნიუ ჯერსიმ" მატჩის პირველივე წამებიდან უკუაგდო შიში. რიგიანად ირჯებოდა მისი ლიდერი, გამთამაშებელი სტივენ მარბერი, რომელიც მასპინძელთა კალათს თავადაც წარმატებით უტევდა და არც თანამებრძოლებს უგვიანებდა პასებს, აკი მიითვალა კიდეც სეზონში ყველაზე მეტი, 14 პასი. მისი წყალობით „ნიუ ჯერსიმ" ბოლო მეოთხედში ოთხქულიანი უპირატესობით შეაბიჯა, თუმც აქ მარბერი ტრადიციულად ანერვიულდა, რაც მისი გუნდის თამაშის ხარისხზეც აისახა. „ფილადელფიის" ლიდერი და იქნებ წლევანდელი სეზონის საუკეთესო მოთამაშეც, ალენ აივერსონი არც მანამდე აკლებდა ხელს სტუმართა კალათს, ბოლო თორმეტწუთეულში ხომ მთლად აიწყვიტა და მარბერის რისხვად დაატყდა თავს, სამჯერ მოპარა ბურთი და ლამაზი გარღვევების შემდეგ სამჯერვე მოათავსა „ნეთსის" კალათში. მისი მაღალი თანაგუნდელები — ჰილი და მუტომბო ფარზე გაბატონდნენ და „სიქსერზს" ესეც წაადგა. „ნიუ ჯერსი" მაინც არ თმობდა, შეხვედრის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე მეტოქეს 91:90 წამოეწია, მაგრამ აივერსონმა ზედიზედ ხუთი ქულა მიითვალა და სტუმრებმა ექვსქულიან ჩამორჩენას ველარაფერი მოუხერხეს.

**ბოსტონი 94:101 მილუოკი**

ბოსტონი: უოლკერი (36 ქულა, 11 მოხსნა), პირსი (30 ქულა, 10 მოხსნა)

მილუოკი: კასელი (24), ტომასი (22 ქულა, 10 მოხსნა)

**ინდიანა 75:79 ნიუ იორკი**

ინდიანა: როუზი (21), ონილი (17 ქულა, 14 მოხსნა, 7 დაფარება)

ნიუ იორკი: სპრიუელი (26), რაისი (16)

**ატლანტა 98:104 ჰიუსტონი**

ატლანტა: კუკოჩი (26 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი), ტერი (20), რაიტი (18 ქულა, 15 მოხსნა)

ჰიუსტონი: ფრენსისი (31), მობლი (21), ვილიამსი (17)

**კლივლენდი 83:88 ვაშინგტონი**

კლივლენდი: მიურეი (21)

ვაშინგტონი: რიჩმონდი (17), ჰამილტონი (17)

**მაიამი 86:93 დალასი**

მაიამი: მეისონი (25 ქულა, 15 მოხსნა), გრანტი (23)

დალასი: ნოვიცკი (29), ნეში (19), ჰოვარდი (16 ქულა, 14 მოხსნა), ფინლი (16)

**ორლანდო 112:102 დეტროიტი**

ორლანდო: მაკგრეიდი (37 ქულა, 11 მოხსნა), მილერი (20)

დეტროიტი: სტეკჰაუზი (36), ვილიამსონი (19)

**ფინიქსი 89:100 საკრამენტო**

ფინიქსი: მარიონი (23), როჯერსი (19)

საკრამენტო: ვებერი (41 ქულა, 14 მოხსნა), დივაცი (16)

**იუტა 86:82 სიეტლი**

იუტა: მელოუნი (26), სტოქტონი (15 ქულა, 11 პასი)

სიეტლი: ბეიკერი (16)



REUTERS

ფილადელფია — ნიუ ჯერსი. ფილადელფიელმა ჯორჯ ლინჩმა (მარჯვნივ) შერმან დუგლასს ბურთი გააგდებინა

**ლეიკერსი 97:85 ტორონტო**

ლეიკერსი: ბრაიანტი (29), ონილი (25 ქულა, 10 მოხსნა)

ტორონტო: კარტერი (28)

7 ნოემბერს „ინდიანა პეისერზს" მშვენიერი შანსი მიეცა, „ნიუ იორკის" ჯავრი ეყარა და წინადღით ნიუ იორკში წაგებული ეზღვევინებინა მოსისხლე მტრისთვის, მაგრამ ამაოდ დაშვრა. „მარდები" ლიდერ რეჯი მილერს მოისაკლისებდნენ, რომელმაც, ნიუიორკულ თამაშში საკუთარი უილაჯობით გაგულისებულმა, მსაჯის გადაწყვეტილება არ მოიწონა და მასზე გაიწია. არბიტრის ხელყოფას არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში არ პატიობენ და არც მილერს შერჩა მსაჯზე ხელის აღმართვა. ნბა-მ იგი ერთთამაშიანი დისკვალიფიკაციით დააჯარიმა და რამდენიმე ათასი დოლარითაც შეუთხელა ჯიბე.

მიუხედავად იმისა, რომ ლიდერი არ ჰყავდა, მასპინძლებმა მწყობრად და ერთსულოვნად შეუტიეს დღესდღეობით მათზე ძლიერ გუნდს. მათ გულმოდგინებას უკვალოდ არ ჩაუვლია — მატჩის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე, ალ ჰარინგტონის ორი საჯარიმოს შემდეგ, „ინდიანა" 75:69 დაწინაურდა. დარბაზში შეყრილი 18 ათასი გულშემატკივარი წინასწარ ზეიმობდა, თუმცა ეს მეტოქის დაცინვა უფრო იყო. მაგრამ „ნიუ იორკი" კერკეტი კაკალია, ექვსქულიანი ჩამორჩენა რას შეაშინებდა და მასპინძლებს ანანა კიდეც ტრიბუნებიდან წამოსროლილი მწარე სიტყვები: დარჩენილ ოთხწუთიან მონაკვეთში 10 ქულა მოიხვეჭა, მეტოქე კი 75 ქულაზევე გაყინა. ლატრელ სპრიუელმა და გლენ რაისმა მიყოლებით ჩააგდეს სამიანები და მასპინძელთა გულის გასახეთქად 75:75 გაათანაბრეს, შემდეგ იმავე სპრიუელმა სიმაღლის ხარჯზე დაჩაგრა 15 სანტიმეტრით დაბალი მეურვე ტრევის ბესტი და სტუმრები 77:75 დააწინაურა. გლენ რაისმა კი საფინალო სირენამდე სამი წამით ადრე გაოგნებულ ინდიანელებს ორი საჯარიმო ჩაუგდო და შეხვედრას წერტილი დაუსვა.

არა და არ ელირსა ბეჩავ „ატლანტას" გამარჯვებით ტკბობა. „ქორებს" ჰაერივით სჭირდებათ გამარჯვებები, მათ კი სხვებს ურიგებენ, თითქოს თავად ბევრი ჰქონდეთ. ჯორჯიელები „ჰიუსტონს" მასპინძლობდნენ და პირველი ტაიმის შემდეგ პრაქტიკულად მოპოვებული ჰქონდათ ასე ნანატრი გამარჯვება. მაგრამ რაც მოუვიდათ, მხოლოდ საკუთარ უნიათობას უნდა დააბრალონ. „ჰიუსტონს" პირველივე მეოთხედში დაუშავდა მხცოვანი ცენტრი ჰაკიმ ოლაჯუონი, რამაც ორ მაღალ ატლანტელს — ტონი კუკოჩს და შარონ რაიტს მეტოქის კალათისკენ გზა გაუთავისუფლა. მათაც არ გასჭირვებიათ ფაქტობრივად, ხეირიანი მაღლის გარეშე დარჩენილი მეტოქის კალათის დაწიოკება და უკვე მეორე მეოთხედის დასასრულს 23 ქულითაც დააწინაურეს თავიანთი გუნდი. თითქოს შეხვედრამ ყოველგვარი აზრი დაკარგა, მაგრამ სტუ[illegible] სხვაგვარად ფიქრობდნენ. უხეირო „ატლანტასთან" სამარცხვინო წაგების პერსპექტივამ „რაკეტებს" შეუძლებელი შეაძლებინა. სტუმრებმა სერიოზულად მოჰკიდეს საქმეს ხელი და ანგარიშის შემცირება იწყეს. დაარხეინებული „ქორები" მაშინღა მოეგნენ გონს, როცა მესამე მეოთხედის მიწურულს სხვაობა ექვს ქულამდე დაეცა, მაგრამ გვიან იყო. სტუმართა გამთამაშებლის სტივ ფრენსისის შეჩერება უკვე შეუძლებელი გახლდათ. მან ჯამური 31-ქულიანი მონაგარიდან 17 ბოლო მეოთხედში მოიმკო და მშრალზე დატოვა „ატლანტა", რომელიც ზედიზედ მეცხრედ დაამარცხა.

„ატლანტასი" არ იყოს, ზუსტად იგივე დაემართა „ფინიქს სანზს", რომელიც „საკრამენტოს" მასპინძლობდა და პირველი ტაიმის შემდეგ 28 ქულითაც ანადგურებდა. დაარხეინებული მასპინძლები სტუმართა ლიდერმა კრის ვებერმა დასაჯა, რომელმაც მეორე ტაიმში 34 ქულა დაატეხა თავს „ფინიქსს". მეორე ტაიმში და განსაკუთრებით მესამე მეოთხედში „სანზის" თამაშს მხოლოდ სამარცხვინო შეიძლება ეწოდოს. ეს თორმეტწუთეული მასპინძლებმა 9:30 წააგეს.

ცუდ დღეშია „სიეტლ სუპერსონიქსი". „ზებგერითებს" წლეულს შესამჩნევად გაძლიერებული შემადგენლობის, განსაკუთრებით კი „ნიუ იორკიდან" შვიდი კალათბურთელის ფასად გადაყვანილი გამოცდილი პატრიკ იუინგის დიდი იმედი ჰქონდათ, მაგრამ ისე ჩანს, „სიეტლის" მამებს ოხრად დარჩებათ იუინგისთვის მიცემული მილიონები. იუინგი ყოველ შეხვედრაში მხოლოდ 10-15 ქულას აგროვებს და „იუტასთანაც" 12-ით დაკმაყოფილდა. იმ დღეს ვერც „სიეტლის" ლიდერმა გერი პეიტონმა მოიხვეჭა ბევრი ქულა, თამაშში 17 სროლიდან 14 ააცილა და მატჩი 10 ქულით დაასრულა. „სიეტლმა" ზედიზედ მესამედ წააგო და დღეს დამაჯერებლად შეიძლება ითქვას, რომ პლეი ოფის საგზურიც დაკარგა.

**ირაკლი ფირცხალავა**

# რებრაჩას ნაკრებთან და ობრადოვიჩთან განუტევის, პასპალის გულის და სხვა იუგოსლავიური ამბები

**იუგოსლავიის** ნაკრები ახალი მწვრთნელის, სვეტისლავ პეშიჩის ხელმძღვანელობით ემზადება ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც აგვისტოსექტემბერში თურქეთში გაიმართება. სავარაუდოდ, კონტინენტს პირველობაზე არ იქნება იუგოსლავიის ნაკრების ძირითადი ცენტრი და ქვეყნის ერთერთი საუკეთესო მოთამაშე ჟელკო რებრაჩა. „მწვრთნელ პეშიჩს ველაპარაკე და ვუთხარი, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას მალე მივიღებ" — განუცხადა იუგოსლავიურ გაზეთ „სპორტს" ათენის „პანათინაიკოსის" ცენტრმა. იმავე ინტერვიუში რებრაჩამ იუგოსლავიის ნაკრების ყოფილ და „პანათინაიკოსის" ამჟამინდელ მწვრთნელ ჟელკო ობრადოვიჩსაც გაჰკრა კბილი: „საბერძნეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში, სალონიკის პაოკ-ის წინააღმდეგ, ობრადოვიჩმა ერთი წუთითაც არ შემიშვა მოედანზე. ჩვენი ურთიერთობა გაფუჭდა. ვფიქრობ, სანამ იგი „პანათინაიკოსის" მწვრთნელია, ჩემი ადგილი იმ გუნდში აღარ იქნება".

დავიწყოთ იმით, რომ ევროპის ჩემპიონატის თაობაზე რებრაჩას, პრაქტიკულად, გადასაწყვეტი აღარაფერი აქვს. ზაფხულში იგი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში აპირებს გადაბარგებას და ევრობასკეტ-2001-ისთვის მოსამზადებლად, უბრალოდ, დრო აღარ დარჩება. ამდენად, პეშიჩის გუნდს თურქეთში რებრაჩას გარეშე მოუწევს თამაში.

ობრადოვიჩთან ურთიერთობის გაფუჭება კი, ცოტა არ იყოს, უცნაურია. რებრაჩა დიდი ხანია თანამშრომლობს ამ მწვრთნელთან სხვადასხვა კლუბებში და ქვეყნის ნაკრებში და მისი ხელმძღვანელობით არაერთი ტიტული მოუპოვებია. მათი ურთიერთობა ლამის იდეალური იყო. „სპორტის" ჟურნალისტები ობრადოვიჩს კომენტარისთვის შეეხმიანნენ, პასუხად კი ეს მოისმინეს: „ჯენტილემაც არ ითამაშა პაოკ-თან, მაგრამ უკმაყოფილება არ გამოუთქვამს. ჯერჯერობით მე ვარ მწვრთნელი და ჩემი გადასაწყვეტია, ვინ ითამაშებს და ვინ — სკამზე იჯდება. იმას კი არ გეტყვით, რებრაჩა ტრავმის გამო არ ვათამაშე თუ პირადი მიზეზის გამო. მას ურჩევნია სუპერლიგის თამა[illegible]თვის მოემზადოს, თუმცა გარანტი[illegible]ული არაფერი აქვს — მატჩის წინ გაიგებს, შევა თუ არა მოედანზე".

ამასობაში იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელს მეორე პრობლემა მოეძალა: მადრიდის „რეალის" გამთამაშებელმა ალექსანდრ ჯორჯევიჩმა უარი თქვა ევროპის ჩემპიონატზე და მიზეზად გადაღლილობა მოიტანა. სვეტისლავ პეშიჩმა სასწრაფოდ პრესკონფერენცია მოიწვია და თქვა: „ჯორჯევიჩის ნაკრებში ხილვა მსურს, მაგრამ მან მითხრა, რომ ძალიან იღლება. მესმის, ძნელია ერთი სეზონის განმავლობაში კლუბშიც და ნაკრებშიც მაღალ დონეზე თამაში. რაც შეეხება რებრაჩას: ოლიმპიადამდე მან თქვა, რომ ნაკრებისგან ცოტა ხანს დაისვენებდა, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებდა. ახლა ირკვევა, რომ მას ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გადასვლა სურს და ნაკრებისთვის ვერ იცლის".

პეშიჩი ვლადე დივაცს და დეიან ბოდიროგასაც შეეხო: „დივაცმა დამიდასტურა, რომ თურქეთში ითამაშებს. ბოდიროგაზე კი სათქმელიც არაფერია. ამასწინათ მან მითხრა: ჩემზე ნუ ღელავთ, მე ევროპის ჩემპიონატზე ვიქნები, მთავარია, დანარჩენი ბიჭები დაითანხმოთ იქ თამაშზეო".

პეშიჩმა ისიც თქვა, რომ ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ პერიოდში იუგოსლავიის ნაკრები 11 ან 12 საკონტროლო მატჩს გამართავს. მონაწილეობას მიიღებს ათენის „აკროპოლისის თასზე" და გერმანიის „ეროვნებათა თასზე".

სანამ მოქმედი მოთამაშეების ირგვლივ ვნებათაღელვაა, იუგოსლავიურმა კალათბურთმა კინაღამ დაკარგა ერთერთი უდიდესი გადამდგარი ვარსკვლავი. 35 წლის ჟარკო პასპალი, რომელიც ამჟამად ბელგრადის „პარტიზანის" ვიცე-პრეზიდენტია, ათენში მეგობრებთან ერთად ფეხბურთს თამაშობდა. ამ დროს მას გულის შეტევა მოუვიდა და საავადმყოფოში დროზე რომ არ გადაეყვანათ, იქნებ ყველაფერი ცუდად დასრულებულიყო. ახლა პასპალი მკურნალობს და, ექიმების თქმით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. კალათბურთელი უკვე მოინახულეს ათენში დაფუძნებულმა იუგოსლაველმა მწვრთნელ-მოთამაშეებმა: ჟელკო ობრადოვიჩმა, დუშან ივკოვიჩმა, მილან ტომიჩმა, აგრეთვე ბერძნული კალათბურთის ექსვარსკვლავმა, ამჟამად ქვეყნის პარლამენტის წევრმა პანაიოტის ფასულასმა.

## კორაჩის თასი

მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები. 7 მარტი

(ფრჩხილებში პირველი მატჩის შედეგია)

**უნიკახა (ესპანეთი) 88:70 მაკაბი (ისრაელი) (74:73)**

უნიკახა: აბრამსი (22), ხურადო (6), მილერი (4), მრშიჩი (21), პეტრუშკა (5), ფილიპი, როდრიგესი (14), სონკო (4), ვასკესი (10), ვეისი (2)

მაკაბი: დაიაგი, გორდონი (2), ჰაინსი (27), ლუისი (8), ლუბინი (5), ნაორი (1), პოპოვიჩი (5), რეგევი, სპენსერი (9), იანცაკი (13)

**ატლონი (ბელგია) 84:71 ტრიესტი (იტალია) (74:86)**

ატლონი: ბაერტი (15), ბიერეგაარდი, დევისი (13), დიუპონი (12), გუდფინსონი (3), ჰიუგერი (15), ჰაგინსი (18), ვან დერ სლუისი (8)

ტრიესტი: ბაზარევიჩი (9), კალაბრია (13), კაზოლი (4), კიპრუსი, გუროვიჩი (20), ლაეცა, პოდესტა, ზაუერი, შოუ (9)

**ფენერბაჰჩე (თურქეთი) 79:69 რიკო (ჰოლანდია) (73:93)**

ფენერბაჰჩე: აბი (9), აფაიდინი (3), ბერდი (27), ენდენი (3), ევლიაოღლუ (9), ქურე (3), ლუკოვსკი (15), ფარსი (10), თექინალფი

რიკო: ბენეში (8), ბოლდევაინი (4), ჰარისი (5), ლივერსტი (4), მაკგატრი (24), მიკალაიუნასი (6), როუვჰორსტი, სპინკსი (18)

**ჰემოფარმი (იუგოსლავია) 70:54 პროკომი (პოლონეთი) (64:59)**

დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ ნახევარფინალში

**ნახევარფინალი. 21 და 28 მარტი**

ჰემოფარმი (იუგოსლავია) — ატლონი (ბელგია)

რიკო (ჰოლანდია) — უნიკახა (ესპანეთი)

NEBL

ჩელენჯ კაპი. მეორე ეტაპი

# ბასკო: შვედეთში რუსით და ორი მოგებისთვის

**საქართველოს** ჩემპიონმა ბათუმის „ბასკომ", მოგეხსენებათ, კარგი ევროდებიუტი მოიწყო. ჩრდილოეთ ქვეყნების საკალათბურთო ლიგის (NEBL), მეორე დივიზიონის, იმავე „ჩელენჯ კაპის" პირველ ტურში, რომელიც ბათუმში გაიმართა, ჩვენებურებმა ყველა მეტოქე დაამარცხეს და მორიგ რაუნდშიც გავიდნენ. ზღვისპირელებს ახლა კიდევ ერთი ურთულესი გამოცდა ელით — 19-20 მარტს შვედეთში ჩრდილოური ლიგის მეორე ტური ჩატარდება და თუ ქართველებმა იქაც იყოჩაღეს, NEBL-ის პირველ დივიზიონში თამაშის უფლებასაც მოიპოვებენ.

შვედეთის ტური სტოკჰოლმის ახლოს მდებარე ქალაქ სედერტელეში მოეწყობა. თავდაპირველად ითქვა, რომ „ბასკო" ჰოლანდიაში გამართავდა შეხვედრებს, მაგრამ შემდეგ გათამაშების ორგანიზატორებმა გადაწყვეტილება შეცვალეს. სიახლეა ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონს ჯგუფში ფინური კლუბის ნაცვლად მასპინძელი „სედერტელე" ეყოლება.

„ჩელენჯ კაპის" ბათუმური ტურისგან განსხვავებით, შვედეთში გუნდები სხვა სისტემით ითამაშებენ. 19 მარტს „ბასკო" ლიტვის „ალიტას" დაუპირისპირდება და თუ მოიგო, მეორე დღეს „სედერტელესა" და ჰოლანდიური „კონესკოს" შორის გამარჯვებულთან დაიჭერს საქმეს. ელიტაში ალზევების უფლებას მხოლოდ ჯგუფის პირველადგილოსანი მოიპოვებს, ასე რომ, „ბასკოს" მიზნის მისაღწევად ორივე თამაშის მოგება სჭირდება.

მეტოქეთა შესახებ ბათუმელებმა ბევრიც არაფერი იციან. „ბასკოს" ხელმძღვანელები იმედოვნებენ, რომ უახლოეს დღეებში „ალიტას" თამაშის ამსახველ ვიდეოფირს ჩაიგდებენ ხელში. შვედებისა და ჰოლანდიელების შესაძლებლობებს კი ადგილზე ნახავენ.

სედერტელეში „ბასკო" 12 კალათბურთელით გაემგზავრება. ამ ეტაპზე გუნდს ვერაფრით დაეხმარება ტრავმირებული ლევან ქარაბაკი. მის ნაცვლად ბათუმელებმა რუსი სერგეი დროჟანოვი შეიგულეს, რომელიც საქართველოში კვირას ჩამოვა. 29 წლის და 201-სანტიმეტრიანი დროჟანოვი ბოლო დრომდე ერკუტსკის „შახტიორში" თამაშობდა და ზღვისპირელთა თქმით, მისი სახით „ბასკო" დიდ ძალას შეიმატებს. რუს ლეგიონერს ბათუმელები შინაურ ფრონტზეც დაიხმარენ, რათა ქვეყნის ჩემპიონობა შეინარჩუნონ. „ბასკოს" მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე შვედეთში „მაკაბის" კამერუნელ ჟოლივეტ ტუჯანისაც იახლებს.

სადღეისოდ უცნობია, თუ რა მარშრუტით გაემგზავრება „ბასკო" სედერტელეში. ვიზების საკითხს რომ მოვაგვარებთ, ამ საკითხს მერე გადავწყვეტთო, გვითხრა გუშინ ზღვისპირული კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა მერაბ ემირიძემ. ბათუმელები სავარაუდოდ მოსკოვიდან, ან კიდევ სტამბოლიდან გადაფრინდებიან სტოკჰოლმში. შესაძლოა „ბასკომ" რუსეთის დედაქალაქიდან მატარებლითაც გასწიოს შვედეთისკენ.

**გიორგი გიქაშვილი**

| D ჯგუფი | F ჯგუფი |
|---|---|
| **ბასკო** ბათუმი, საქართველო | **ოდესა** ოდესა, უკრაინა |
| **ალიტა** ალიტუსი, ლიტვა | **ულრიკენი** ბერგენი, ნორვეგია |
| **სედერტელე კინგზი** სედერტელე, შვედეთი | **დელტა** ტარტუ, ესტონეთი |
| **კონესკო** დენ ჰელდერი, ჰოლანდია | **დოლფინზი** ნორჩიოპინგი, შვედეთი |

| E ჯგუფი | G ჯგუფი |
|---|---|
| **ვურცბურგი** ვურცბურგი, გერმანია | **დრაგონზი** სუნდსვალი, შვედეთი |
| **გროდნო 93** გროდნო, ბელარუსი | **ბულიტსი** ბირმინგემი, ინგლისი |
| **სპარტაკი** სანქტ პეტერბურგი, რუსეთი | **ჰოტრონიკი** ტალინი, ესტონეთი |
| **ირაპტი** პრაღა, ჩეხეთი | **ჰონკა** ესპოო, ფინეთი |

ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# ლემიე ამაოდ გაცხარდა



REUTERS

პიტსბურგი — ვაშინგტონი. პიტსბურგელ მარიო ლემიეს მსაჯები აწყნარებენ

7 მარტი

**კაროლინა 2:1 კოლუმბუსი**
(1:0 0:1 1:0)
1:0 ბრინდამორი 11(15), 1:1 სელივანოვი 21(6), 2:1 ბრინდამორი 45(16)

**პიტსბურგი 3:4 ვაშინგტონი**
(1:0 0:2 2:2)
1:0 სტივენსი 13(8), 1:1 გონჩარი 29(16), 1:2 ზიდნიკი 32(16), 1:3 ოუთსი 50(13), 2:3 კოვალიოვი 51(40), 3:3 ლემიე 54(25), 3:4 ჰალპერი 57(17)

**ედმონტონი 4:0 ტორონტო**
(2:0 1:0 1:0)
1:0 მორო 9(8), 2:0 კლირი 12(11), 3:0 კომრი 27(4), 4:0 მარჩანტი 52(10)

**ფლორიდა 3:3 სან ხოსე**
(1:1 0:1 2:1 0:0)
1:0 ბერი 3(4), 1:1 ტორნტონი 4(15), 1:2 ტორნტონი 38(16), 2:2 ბურე 54(45), 3:2 შვებლა 58(5), 3:3 ტორნტონი 59(17)

**დალასი 1:4 ჩიკაგო**
(0:1 0:2 1:1)
0:1 პოუპსტი 9(1), 0:2 დაზე 21(29), 0:3 პრობერტი 36(6), 1:3 ჰელენიუსი 57(1), 1:4 პოუპსტი 59(2)

**ანაჰაიმი 4:2 მონრეალი**
(2:0 1:1 1:1)
1:0 კარია 3(22), 2:0 კალენი 8(10), 3:0 კარია 25(23), 3:1 ბრისბუა 28(11), 3:2 ეშამი 44(2), 4:2 ჰრკაჩი 59(12)

დასვენებული მარიო ლემიე საშიშია, მაგრამ გაცხარებული კიდევ უარესი. ოთხშაბათს პიტსბურგის ლიდერი თავიდანვე კარგ განწყობაზე იყო. შაბათს მან თავს უფლება მისცა, დაესვენა და ვაშინგტონთან მატჩი გამოეტოვებინა (ის ხომ მოთამაშეცაა და გუნდის მფლობელიც), მით უმეტეს, რომ წინა, რეინჯერსთან შეხვედრაში გვარიანად გაისარჯა და 4 (2 გოლი, 2 პასი) ქულა შეჰმატა გუნდს. გუშინ კი პიტსბურგი კვლავ ვაშინგტონს შეეჯახა. ცხადია, მარიოს ძალიან სურდა, დაემტკიცებინა, რომ წინა შეხვედრა გუნდმა მისი არყოფნის გამო წააგო და იმედი ჰქონდა, რომ საკუთარ კედლებში იოლად გაუსწორდებოდნენ მეტოქეს. დასაწყისი სტუმრებს მართლაც კარგს არაფერს უქადდა. „პინგვინები" უპირატესობას ფლობდნენ და სტივენსის გოლი ამის ლოგიკური შედეგი გახლდათ, მაგრამ თავად მარიომ ვერა და ვერ გაიტანა მიუხედავად იმისა, რომ მოწადინებული იყო და მომენტებიც შექმნა. მეტოქეები მას ერთობ ხისტად ეთამაშებოდნენ, მსაჯები კი ამას აინუნშიც არ აგდებდნენ. ლემიე თანდათან ღიზიანდებოდა. სტუმრებმა კი სული მოითქვეს და დაწინაურდნენ. მატჩმა კულმინაციას 50-ე წუთზე მიაღწია, როცა ერთ-ერთ ეპიზოდში უკვე თავად ლემიემ ველარ შეიკავა თავი და უმალვე დაჯარიმდა. ამან მთლად გააცხარა სუპერმარიო, მსაჯებს ეკამათა და მხოლოდ ამის შემდეგ გაემართა საჯარიმო სკამისკენ. ვაშინგტონელებმა რიცხვმრავლობა გამოიყენეს და ანგარიში 3:1 გახადეს, მაგრამ საქმე ამით როდი დასრულდა. ლემიე სრულიად შეცვლილი დაბრუნდა ყინულზე. მაშინვე ალექსეი კოვალიოვს გაატანინა, შემდეგ თავად გამოირჩა, როცა ჩინებული ელსივებური დარტყმით გააოგნა ოლაფ კოლციგი. თუმც ბოლოს ბედმა მაინც ზურგი შეაქცია პიტსბურგს. კონტრშეტევაში ჯეფ ჰალპერნმა გამარჯვების გოლი გაიტანა. მატჩის შემდეგ მარიო თავის თავს არ ჰგავდა. ყოველთვის თავაზიანმა და კორექტულმა უარი უთხრა ჟურნალისტებს საუბარზე და უმალვე გასახდელს მიაშურა. თუმც ერთი სასიამოვნო რამ მაინც მოხდა. ლემიეს პარტნიორმა და გუნდის კიდევ ერთმა ლიდერმა იარომირ იაგრმა მორიგი პასი მიითვალა და 92 (36 გოლი, 56 პასი) ქულით დაწინაურდა ბომბარდირთა დავაში.

დუეტი მოკვდა, გაუმარჯოს დუეტს! — დაახლოებით ასე შეიძლება გამოიხატოს ანაჰაიმის ქომაგთა განწყობა. გუნდიდან ტეემუ სელიანეს წასვლას პოლ კარია არ დაუობლებია — ფინელის ნაცვლად მისულმა ჯეფ ფრიზენმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ „იხვების" კაპიტანს მრავალწლიან პარტნიორთან განშორება არ ეგრძნო. კარიამ ორი გოლით ლომის წილი დაიდო მოგებაში და ორჯერვე ფრიზენის პასის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ მატჩის წინ ანაჰაიმმა კიდევ ერთი ტრეიდი განახორციელა — გუნდი მეკარე გი ებერმა დატოვა, რომელიც ჩამოყალიბების დღიდან, 1993 წლიდან იქ თამაშობდა. ბოლო ხანს მან ოდნავ დაკარგა ფორმა, თუმც რეინჯერსს მაიკ რიხტერის ტრავმის გამო გამოცდილი გოლკიპერი ჰაერივით სჭირდებოდა და სახელგანთქმული ებერი ხელიდან არ გაუშვა. ისე, ვინ იცის, დაეხმარება თუ არა ებერი მდიდარ რეინჯერსს, რომელსაც ბოლოხანს „მილიონების სასაფლაო" შეარქვეს.

სელიანეს ახალ გუნდ სან ხოსეს კი, სანამ ფინელი ტრავმას იშუშებს, შეტევაში პრობლემები აქვს. ფლორიდასთან ფრეს მხოლოდ აქამდე ნაკლებად გამორჩეული სკოტ ტორნტონის ჰეთ თრიქს უნდა უმადლოდეს. თანაც მესამე შაიბა ფორვარდმა ბოლოსწინა წუთზე შეაგდო. ფლორიდა კი, მიუხედავად პაველ ბურეს მორიგი, 45-ე გოლისა, უკვე რვა მატჩია, ველარ იგებს.

სამაგიეროდ, ედმონტონი გაძლიერდა. ზედიზედ ექვსი თამაში „მენავთობეებს" 1998 წლის შემდეგ არ მოუგიათ. გუნდი ამჯერად იმანაც ვერ დაამუხრუჭა, რომ მეტოქეთა კარში თავად კერტის ჯოზეფი იდგა. ყოფილი ედმონტონელი „კუჯო" რაც ტორონტოში გადავიდა, ძველი პარტნიორები ისე დააწიოკა, მათ ერთგვარი კომპლექსიც კი გაუჩნდათ. თუმცა ამჯერად ჯოზეფს მისმა მემკვიდრემ, ტომი სალომ აჯობა, რომელმაც მე-6 შატაუტი მიითვალა. თავად მასპინძლებმა ეტან მოროს და დაან კლირის ძალისხმევით თავიდანვე იგდეს ხელთ უპირატესობა და მოგებამდე საქმე იოლად მიიყვანეს.

**სამველ ღარიბიანი**

*ბომბარდირები: იაგრი (პიტსბურგი) 92 (36+56), საკიკი (კოლორადო) 91 (37+54), კოვალიოვი 81 (40+41), სტრაკა (ორივე პიტსბურგი) 75 (22+53), ფლერი (რეინჯერსი) 74 (30+44), ელისონი (ბოსტონი) 74 (28+46), ფორსბერგი (კოლორადო) 74 (25+49), რობიტაილი 73 (33+40), პალფი (ორივე ლოს ანჯელესი) 73 (29+44), პ. ბურე (ფლორიდა) 72 (45+27), იაშინი (ოტავა) 72 (31+41), ოდეტი (ატლანტა) 70 (30+40).*

ავტორბოლა

# მარშალი ბორბალმა იმსხვერპლა

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**კვირას** მელბურნში დატრიალებულმა ტრაგედიამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ფორმულა 1 უხიფათო და უმსხვერპლო არასოდეს იქნება. ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშებისას „ალბერტ-პარკის" ავტოდრომის თანამშრომლის დაღუპვა, ბუნებრივია, კვლავ საყოველთაო მსჯელობის საგანია.

ბოლო ხუთ რბოლაში, შარშანდელი იტალიური ეტაპის შემდეგ, ეს მეორე ფატალური შემთხვევაა. მაშინ „მონცაზე" მოყვარული მეხანძრე გამოესალმა სიცოცხლეს. ახლაც პრაქტიკულად იგივე განმეორდა — ჟაკ ვილნევის ბოლიდი რალფ შუმახერის „უილიამსთან" შეჯახების მერე ჰაერში აფრინდა და დამცავ ბარიერს მიეხეთქა. საშინელი დარტყმისგან კანადელის BAR-ი თითქმის მთლიანად დაიშალა. ერთ-ერთი მომძვრალი ბორბალი რბოლის მარშალს, 52 წლის გრემ ბევერიჯს მოხვდა. ამ ჯოჯოხეთს სასწაულებრივად გადარჩენილი პილოტი სერიოზულად არ დაშავებულა, მხოლოდ ზურგის ტკივილს უჩიოდა. რბოლა, ცხადია, შეფერხდა და ვიდრე გზას მანქანების ნამსხვრევებისგან გაწმენდდნენ, ათიოდე წრე ქარავანს წინ პეისკარი მიუძღოდა. გონდაკარგული მარშალი სასწრაფოთი ჰოსპიტალში გააქანეს, მაგრამ ალარაფერი ეშველა.

ტრაგედიის დეტალები მოგვიანებით გახდა ცნობილი. დაღუპულის კოლეგამ, პოლ რივმა მელბურნის რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „მეც მესამე მოსახვევში ვიდექი და ყველაფერი დავინახე. ბევერიჯს ევალებოდა, თვალყური ედევნებინა ტრიბუნებზე შექმნილი ვითარებისთვის. ავარიის მომენტში იგი მაყურებელთა ჯგუფის წინ იდგა. გრემს იქვე აღმოუჩინეს პირველადი სამედიცინო დახმარება. დარწმუნებული ვარ, მომხდარი საბედისწერო შემთხვევითობაა, რისი თავიდან აცილებაც შეუძლებელი იყო და ავტოდრომზე უსაფრთხოების დაცვის დაბალ დონეზე ლაპარაკი უაზრობაა. „ალბერტ-პარკი" ერთ-ერთი ყველაზე უხიფათო ტრასაა. ასე რომ არ იყოს, ყოველწლიურად აქ არ ვიქნებოდი".

სპეციალისტთა თქმით, ბევერიჯის დაღუპვის ალბათობა მილიარდიდან ერთი ყოფილა — ბორბალი დამცავი კედლის უვიწროეს ღიობში გაძვრა. ეს დაახლოებით იგივეა, რომ კრიკეტის თამაშისას მეტოქეს ათეული მეტრიდან ბურთი თვალში მოარტყაო. ასეთი ვიწრო გასასვლელები ყოველი ტრასის კედლებშია დატოვებული. მათი დანიშნულება ისაა, რომ თუ მანქანას ცეცხლი გაუჩნდება და მძღოლი კოკპიტიდან დამოუკიდებლად ამოსვლას ვერ შეძლებს, მარშალს საშუალება ჰქონდეს, უსწრაფესად აღმოჩნდეს მასთან დასახმარებლად.

ბოლო დროს პილოტების უსაფრთხოების დასაცავად უამრავი ღონისძიება გატარდა და ამან სასურველი შედეგი გამოიღო — შვიდი წელია, რბოლისას აღარავინ დაღუპულა. ტრასის ირგვლივ მყოფთა დაცვის საქმე კი თურმე, აშკარად გაუმჯობესებას მოითხოვს. უკვე ალაპარაკდნენ ავტოდრომების სახიფათო უბნების სასწრაფო გადაკეთებაზე. უპირველესად, დამცავი ბარიერების ერთი მეტრით ამაღლებას აპირებენ, თუმცა უბედურ მარშალს მაღალი ზღუდე მაინც ვერ გადაარჩენდა.

**გია ახალაძე**



REUTERS

გრემ ბევერიჯი გაფრენილმა ბორბალმა მოკლა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია კროკო

### გერმანია. ბუნდესლიგა. 25-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **9 მარტი** | | | |
| 23.15 | 001 | ლევერკუზენი-ვერდერი | 1,55 | 3,4 | 4,4 |
| | | **10 მარტი** | | | |
| 18.30 | 002 | ჰერტა-ჰანზა | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 18.30 | 003 | ბოხუმი-კიოლნი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.30 | 004 | ვოლფსბურგი-უნტერჰახინგი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 18.30 | 005 | ფრაიბურგი-დორტმუნდი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 18.30 | 006 | ბაიერნი-კოტბუსი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 007 | ბაიერნი-კოტბუსი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 23.15 | 008 | აინტრახტი-შალკე | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| | | **11 მარტი** | | | |
| 20.30 | 009 | კაიზერსლაუტერნი-მიუნხენი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 20.30 | 010 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. 25-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **9 მარტი** | | | |
| 22.00 | 011 | ოსნაბრიუკი-ობერჰაუზენი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 22.00 | 012 | დუისბურგი-ვალდჰოფი | 1,85 | 2,9 | 4,2 |
| | | **10 მარტი** | | | |
| 18.00 | 013 | ზაარბრიუკენი-მაინცი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 18.00 | 014 | არმინია-ალენი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| | | **11 მარტი** | | | |
| 18.00 | 015 | ქემნიცი-ალემანია | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 18.00 | 016 | ჰანოვერი-ულმი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 18.00 | 017 | კიკერსი-როიტლინგენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 018 | ფიურტი-ზანქტ პაული | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| | | **12 მარტი** | | | |
| 23.15 | 019 | მ'გლადბახი-ნიურნბერგი | 2,1 | 3,0 | 3,3 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **10 მარტი** | | | |
| 19.00 | 020 | ასტონ ვილა-იფსვიჩი | 2,3 | 2,9 | 3,0 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 37-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **10 მარტი** | | | |
| 19.00 | 021 | ბარნსლი-ჰადერსფილდი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 022 | ბირმინგემი-ქრიუ | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 023 | ბირმინგემი-ქრიუ 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 024 | ბოლტონი-ჯილინგემი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 025 | ბოლტონი-ჯილინგემი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 026 | ფულემი-ქუინზ პარკი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 19.00 | 027 | გრიმსბი-ვულვერჰემპტონი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 028 | პორტსმუთი-სტოკპორტი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 19.00 | 029 | შეფილდი-ნოტინგემი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 19.00 | 030 | უოტფორდი-ნორვიჩი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 031 | ვესტ ბრომვიჩი-უენსდი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 032 | უიმბლდონი-კრისტალ პალასი | 2,0 | 3,1 | 3,2 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 37-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **9 მარტი** | | | |
| 23.45 | 033 | რედინგი-უიგანი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| | | **10 მარტი** | | | |
| 19.00 | 034 | ბორნმუთი-ბრისტოლი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 19.00 | 035 | ბრენტფორდი-სტოკი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 19.00 | 036 | როვერსი-ბერი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 037 | კემბრიჯი-რექსემი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 038 | მილუოლი-ლუტონი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 19.00 | 039 | ოლდემი-როტერჰემი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 040 | ოქსფორდი-სუინდონი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 19.00 | 041 | პორტ ვეილი-პიტერბრო | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 19.00 | 042 | სუინსი-ნორთჰემპტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 043 | უოლსოლი-კოლჩესტერი | 1,4 | 3,5 | 6,5 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 37-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **10 მარტი** | | | |
| 19.00 | 044 | ბრაიტონი-ჰალი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 045 | კარლაილი-ჩელტენემი | 2,4 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 046 | დარლინგტონი-ჰარტლპული | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 047 | ექსეტერი-შრიუსბერი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 048 | ჰალიფაქსი-სკანთორპი | 2,1 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 049 | ლეიტონი-ტორკი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 19.00 | 050 | ლინკოლნი-კარდიფი | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| 19.00 | 051 | მენსფილდი-იორკი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 19.00 | 052 | პლიმუთი-ჩესტერფილდი | 2,5 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 053 | როჩდეილი-კიდერმინსტერი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| 19.00 | 054 | საუთენდი-ბლეკპული | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | | **11 მარტი** | | | |
| 19.00 | 055 | მაკლსფილდი-ბარნეტი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. გადადებული მატჩი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **9 მარტი** | | | |
| 23.00 | 056 | ბოვე-ნანსი | 2,5 | 2,8 | 2,7 |

### იტალია. სერია "ა". 22-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **10 მარტი** | | | |
| 18.00 | 057 | ვიჩენცა-ნაპოლი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.30 | 058 | ატალანტა-მილანი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| | | **11 მარტი** | | | |
| 18.00 | 059 | ბოლონია-ლაციო | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 18.00 | 060 | ინტერი-ვერონა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 061 | ინტერი-ვერონა 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 18.00 | 062 | იუვენტუსი-რეჯინა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 063 | იუვენტუსი-რეჯინა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 18.00 | 064 | ლეჩე-უდინეზე | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 18.00 | 065 | პერუჯა-ფიორენტინა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 18.00 | 066 | რომა-ბრეშა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 067 | რომა-ბრეშა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.30 | 068 | პარმა-ბარი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| | 069 | პარმა-ბარი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### იტალია. სერია "ბ". 26-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **9 მარტი** | | | |
| 23.45 | 070 | პიაჩენცა-კროტონე | 1,45 | 3,2 | 7,5 |
| | | **11 მარტი** | | | |
| 18.00 | 071 | კიევო-რავენა | 1,3 | 3,6 | 9,0 |
| 18.00 | 072 | კოზენცა-ემპოლი | 1,6 | 2,9 | 7,0 |
| 18.00 | 073 | მონცა-კალიარი | 3,1 | 2,6 | 2,3 |
| 18.00 | 074 | პესკარა-სიენა | 2,1 | 2,5 | 3,6 |
| 18.00 | 075 | პისტოიეზე-ანკონა | 1,9 | 2,6 | 4,7 |
| 18.00 | 076 | სალერნიტანა-ტრევიზო | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 18.00 | 077 | სამპდორია-ჩიტადელა | 1,45 | 3,1 | 8,0 |
| 18.00 | 078 | ვენეცია-ჯენოა | 1,45 | 3,1 | 8,0 |
| | | **12 მარტი** | | | |
| 23.45 | 079 | ტერნანა-ტორინო | 2,4 | 2,5 | 3,0 |

### იტალია. სერია "ც1/ა". 26-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **11 მარტი** | | | |
| 18.00 | 080 | არეცო-ალესანდრია | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| 18.00 | 081 | ბრეშელო-კომო | 2,9 | 2,5 | 2,5 |
| 18.00 | 082 | ჩეზენა-რეჯანა | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 18.00 | 083 | ლეკო-კარარეზე | 2,3 | 2,4 | 3,4 |
| 18.00 | 084 | ლუმეცანე-ლუკეზე | 1,85 | 2,5 | 5,0 |
| 18.00 | 085 | მოდენა-ლივორნო | 1,75 | 2,6 | 5,0 |
| 18.00 | 086 | პიზა-ალბინოლეფე | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| 18.00 | 087 | სპალ-ვარეზე | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 18.00 | 088 | სპეცია-ალძანო | 1,55 | 2,8 | 7,5 |

### იტალია. სერია "ც1/ბ". 26-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **11 მარტი** | | | |
| 17.30 | 089 | ტორესი-მესინა | 2,5 | 2,4 | 3,0 |
| 18.00 | 090 | ატლეტიკო-დი სანგრო | 2,6 | 2,6 | 2,7 |
| 18.00 | 091 | აველინო-ბენევენტო | 1,55 | 2,8 | 7,5 |
| 18.00 | 092 | ფერმანა-ფ.ანდრია | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 18.00 | 093 | ჯულიანოვა-კატანია | 2,5 | 2,5 | 2,9 |
| 18.00 | 094 | ლოდიჯანი-ვიტერბეზე | 2,4 | 2,5 | 3,0 |
| 18.00 | 095 | აკილა-ასკოლი | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 18.00 | 096 | პალერმო-სავოია | 1,7 | 2,6 | 5,6 |
| 18.00 | 097 | პეზარო-ნოჩერინა | 2,2 | 2,5 | 3,4 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 26-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **10 მარტი** | | | |
| 23.45 | 098 | დეპორტივო-ნუმანსია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 099 | დეპორტივო-ნუმანსია 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 24.00 | 100 | ვალენსია-ოსასუნა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 101 | ვალენსია-ოსასუნა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 24.00 | 102 | ბილბაო-ვილიარეალი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| | | **11 მარტი** | | | |
| 20.00 | 103 | ალავესი-რაიო ვალეკანო | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 20.00 | 104 | ოვიედო-ესპანიოლი | 1,95 | 2,9 | 3,6 |
| 20.00 | 105 | ვალიადოლიდი-სელტა | 1,95 | 2,9 | 3,6 |
| 20.00 | 106 | მალაგა-სარაგოსა | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 20.00 | 107 | რასინგი-ლას პალმასი | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| 20.00 | 108 | რეალი-სოსიედადი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 109 | რეალი-სოსიედადი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.00 | 110 | ბარსელონა-მალიორკა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 111 | ბარსელონა-მალიორკა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 28-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **10 მარტი** | | | |
| 20.00 | 112 | ატლეტიკო-ბადახოსი | 1,65 | 2,9 | 6,0 |
| 21.00 | 113 | სევილია-სპორტინგი | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| | | **11 მარტი** | | | |
| 15.00 | 114 | მურსია-ლევანტე | 2,1 | 2,7 | 3,6 |
| 15.00 | 115 | ლეგანესი-ელჩე | 1,95 | 2,7 | 4,0 |
| 16.00 | 116 | უნივერსიდადი-ბეტისი | 3,6 | 2,9 | 2,0 |
| 20.00 | 117 | კორდობა-ფეროლი | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 20.00 | 118 | ესტრემადურა-ხაენი | 1,7 | 2,9 | 5,5 |
| 20.00 | 119 | ეიბარი-უელვა | 2,4 | 2,6 | 2,9 |
| 20.00 | 120 | სალამანკა-ხეტაფე | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 121 | სალამანკა-ხეტაფე 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 20.00 | 122 | ლეიდა-ალბასეტე | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 21.00 | 123 | ტენერიფე-კომპოსტელა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 124 | ტენერიფე-კომპოსტელა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### პორტუგალია. I ლიგა. 24-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **9 მარტი** | | | |
| 01.00 | 125 | ფერეირა-ბოავიშტა | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | | **10 მარტი** | | | |
| 00.30 | 126 | ბელენენსეში-ბენფიკა | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | | **11 მარტი** | | | |
| 20.00 | 127 | კამპომაიორენსე-ამადორა | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 20.00 | 128 | მარიტიმუ-ლეირია | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 20.00 | 129 | ფარენსე-ბეირა მარი | 1,85 | 2,9 | 4,0 |
| 20.00 | 130 | ალვერკა-სალგეირუში | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 20.00 | 131 | ჟილ ვისენტე-ბრაგა | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| 22.30 | 132 | სპორტინგი-ავეში | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 133 | სპორტინგი-ავეში 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | | **12 მარტი** | | | |
| 01.00 | 134 | გიმარაეში-პორტუ | 4,7 | 3,1 | 1,7 |

### პორტუგალია. II ლიგა. 24-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **11 მარტი** | | | |
| 19.00 | 135 | ვარზიმი-მარკუ | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 136 | ვარზიმი-მარკუ 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 19.30 | 137 | ფელგეირაში-მაია | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 20.00 | 138 | ნასიონალი-შავე | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 20.00 | 139 | ოვარენსე-ნავალი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 20.00 | 140 | ლეცა-ესპინიუ | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 20.00 | 141 | იმორტალი-პენაფიელი | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 20.00 | 142 | ფრეამუნდე-ლამაში | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 143 | აკადემიკა-სეტუბალი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 21.00 | 144 | სანტა კლარა-რიუ ავე | 1,65 | 3,2 | 5,0 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. 24-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **9 მარტი** | | | |
| 23.00 | 145 | როდა-ბრედა | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.00 | 146 | გრააფსხაპი-ჰერენვენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **10 მარტი** | | | |
| 22.30 | 147 | სიტარდი-როზენდალი | 1,8 | 3,4 | 3,3 |
| 22.30 | 148 | ტვენტე-ნაიმეგენი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.00 | 149 | ალკმაარი-ვალვაიკი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| | | **11 მარტი** | | | |
| 17.30 | 150 | ტილბურგი-ფეიენოორდი | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| 17.30 | 151 | უტრეხტი-ვიტესი | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| 20.15 | 152 | გრონინგენი-აიაქსი | 4,0 | 3,2 | 1,75 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. 24-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **10 მარტი** | | | |
| 22.00 | 153 | იგლსი-ექსელსიორი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 22.00 | 154 | დენ ბოსხი-ემენი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 155 | დენ ბოსხი-ემენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 22.00 | 156 | ჰაარლემი-მაასტრიხტი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 22.00 | 157 | დორდრეხტი-ტელსტარი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 22.00 | 158 | ჰელმონდი-ვენლო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 159 | ჰელმონდი-ვენლო 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 22.00 | 160 | ეინდჰოვენი-ზვოლე | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 22.00 | 161 | ოსი-ვოლენდამი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 22.00 | 162 | კამბური-დენ ჰაგი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 22.00 | 163 | ჰერაკლესი-ვეენდამი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

### ბელგია. I დივიზიონი. 25-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **9 მარტი** | | | |
| 23.00 | 164 | ვესტერლო-სტანდარდი | 2,4 | 3,0 | 2,5 |
| | | **10 მარტი** | | | |
| 23.00 | 165 | ანდერლეხტი-გენკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 166 | ანდერლეხტი-გენკი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 167 | შარლერუა-მუსკრონი | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| 23.00 | 168 | ბევერენი-ლოკერენი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 23.00 | 169 | მეხელენი-ბრიუგე | 5,6 | 3,6 | 1,5 |
| | | **11 მარტი** | | | |
| 17.00 | 170 | ანტვერპენი-გენტი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 18.00 | 171 | სენტ ტრუიდენი-ლუვიე | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 18.00 | 172 | აალსტი-ბეერსხოტი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 18.00 | 173 | ჰარელბეკე-ლიერსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### ბელგია. II დივიზიონი. 27-ე ტური
**10 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 174 | მონსი-ტინენი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.00 | 175 | ლიეჟი-ჰეკელგემი | 1,4 | 3,5 | 6,0 |
| 23.00 | 176 | ლომელი-დესელი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 23.00 | 177 | დაინცე-ტურნჰაუტი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 23.00 | 178 | მაასლანდი-მოლენბეკი | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 23.00 | 179 | ჰეუსდენი-სტრომბეკი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 23.00 | 180 | ინგელმუნსტერი-გეელი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 23.00 | 181 | სერკლი-ოსტენდე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | **11 მარტი** | | | |
| 18.00 | 182 | რუზელარე-დენდერლეუ | 1,85 | 2,9 | 4,2 |

### საბერძნეთი. 22-ე ტური
**10 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 183 | პანათინაიკოსი-პაოკ | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| | | **11 მარტი** | | | |
| 18.00 | 184 | პანილიაკოსი-ქსანთი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 18.00 | 185 | იონიკოსი-იანინა | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 18.00 | 186 | ოფი-ირაკლისი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 18.00 | 187 | ეთნიკოსი-პანიონიოსი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 18.00 | 188 | ათინაიკოსი-არისი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 21.00 | 189 | პანაჰაიკი-ოლიმპიაკოსი | 6,5 | 3,4 | 1,5 |
| | | **12 მარტი** | | | |
| 17.00 | 190 | აეკ-კალამატა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 191 | აეკ-კალამატა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### ჩეხეთი. მე-20 ტური
**9 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 192 | ბუდეიოვიცე-სპარტა | 6,5 | 3,4 | 1,55 |
| | | **11 მარტი** | | | |
| 13.15 | 193 | ჟიჟკოვი-სპარტა | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 17.30 | 194 | ბლშანი-პლზენი | 1,5 | 3,5 | 5,3 |
| 17.30 | 195 | სინოტი-ბოჰემიანსი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 17.30 | 196 | იაბლონეცი-ტეპლიცე | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 17.30 | 197 | ბრნო-პრჟიბრამი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.30 | 198 | დრნოვიცე-ლიბერეცი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| | | **12 მარტი** | | | |
| 22.00 | 199 | სლავია-ბანიკი | 1,35 | 3,8 | 7,0 |

### პოლონეთი. მე-16 ტური
**10 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 200 | პოლონია-ამიცა | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 18.00 | 201 | რაძიონკოვი-ვისლა | 4,2 | 3,0 | 1,8 |
| 18.00 | 202 | ოდრა-სტომილი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 18.00 | 203 | პოგონი-აკტოვიცე | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 18.00 | 204 | გროცლინი-პლოცკი | 1,65 | 3,0 | 5,0 |
| 19.00 | 205 | ვიძევი-რუხი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 20.15 | 206 | გურნიკი-შლიონსკი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| | | **11 მარტი** | | | |
| 17.30 | 207 | ზაგლებე-ლეგია | 2,5 | 2,9 | 2,6 |

### თურქეთი. 24-ე ტური
**9 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 208 | გაზიანთეფი-ბეშიქთაში | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | | **10 მარტი** | | | |
| 16.00 | 209 | ერზურუმი-ისთანბული | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 16.00 | 210 | ბურსა-ქოჯაელი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 16.00 | 211 | სამსუნი-დენიზლი | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 21.00 | 212 | გალათასარაი-გენჩლერბირლ. | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | | **11 მარტი** | | | |
| 16.00 | 213 | რიზე-ადანა | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 16.00 | 214 | ტრაბზონი-იეთფა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 215 | ტრაბზონი-იეთფა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 16.00 | 216 | ანკარაგიუჯიუ-იოზგათი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 21.00 | 217 | ფენერბაჰჩე-ანთალია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 218 | ფენერბაჰჩე-ანთალია 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

### ავსტრია. 24-ე ტური
**9 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 219 | რაპიდი-ადმირა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 220 | რაპიდი-ადმირა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | | **10 მარტი** | | | |
| 18.30 | 221 | რიდი-ზალცბურგი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 18.30 | 222 | ბრეგენცი-აუსტრია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 18.30 | 223 | ტიროლი-ლინცერი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 224 | ტიროლი-ლინცერი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 19.30 | 225 | გრაცერი-შტურმი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

### შვეიცარია. "ა" ჯგუფი. მე-3 ტური
**10 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 226 | ლოზანა-სიონი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 22.30 | 227 | სერვეტი-სენტ გალენი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| | | **11 მარტი** | | | |
| 17.30 | 228 | ლუგანო-ციურიხი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 19.15 | 229 | გრასჰოპერი-ბაზელი | 1,65 | 3,1 | 4,7 |

### შვეიცარია. "ა/ბ" ჯგუფი. მე-3 ტური
**10 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 230 | არაუ-ივერდონი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| | | **11 მარტი** | | | |
| 17.30 | 231 | ქსამაქსი-ბელინცონა | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 17.30 | 232 | ვილი-ლუცერნი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 17.30 | 233 | ვინტერთური-იანგ ბოისი | 2,5 | 2,9 | 2,6 |

### შვეიცარია. "ბ" ჯგუფი. მე-3 ტური
**10 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 234 | დელემონი-ვანგენი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| | | **11 მარტი** | | | |
| 17.30 | 235 | კრინსი-სოლოთურნი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 17.30 | 236 | ლოკარნო-კარუჟი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 17.30 | 237 | თუნი-ბადენი | 1,5 | 3,4 | 6,5 |

### დანია. მე-19 ტური
**11 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 238 | ბრიონდბიუ-ოდენსე | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 18.00 | 239 | ჰედერსლევი-ლიუნგბიუ | 4,4 | 3,4 | 1,65 |
| 18.00 | 240 | სილკებორგი-მიდტიულანდი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 18.00 | 241 | ვიბორგი-ჰერფიოლგე | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 20.05 | 242 | კოპენჰაგენი-ოლბორგი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| | | **12 მარტი** | | | |
| 22.00 | 243 | აკადემისკი-ორჰუსი | 1,8 | 3,2 | 3,8 |

### რუსეთი. 1-ლი ტური
**10 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 244 | ჩერნომორეცი-ცსკა | 2,4 | 2,9 | |
| 17.00 | 245 | სპარტაკი-სოკოლი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 17.00 | 246 | როტორი-ზენიტი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 17.00 | 247 | როსტსელმაში-ლოკომოტივი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 17.00 | 248 | ზილ-ანჟი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 17.00 | 249 | სატურნი-ალანია | 1,85 | 2,9 | 4,0 |
| 17.00 | 250 | ფაკელი-ტორპედო | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| | | **11 მარტი** | | | |
| 17.00 | 251 | დინამო-კრილია სოვეტოვი | 1,2 | 5,0 | 9,0 |

### ინგლისი. თასის 1/4 ფინალი
**10 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 252 | არსენალი-ბლექბერნი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 19.00 | 253 | ლესტერი-უიკომბი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | | **11 მარტი** | | | |
| 18.00 | 254 | ტრანმერი-ლივერპული | 5,0 | 3,4 | 1,55 |
| 20.00 | 255 | ვესტ ჰემი-ტოტენჰემი | 2,1 | 3,0 | 3,1 |

### საფრანგეთი. თასის 1/8 ფინალი
**9 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 256 | ვალანსი-სტრასბური | 3,2 | 3,1 | 2,0 |
| | | **10 მარტი** | | | |
| 20.00 | 257 | რეიმსი-ბასტია | 4,4 | 3,2 | 1,7 |
| 23.00 | 258 | შატორუ-გრენობლი | 1,35 | 3,6 | 6,5 |
| 23.00 | 259 | ტრუა-ვასკეალი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 23.00 | 260 | კარკასონი-ნანტი | 7,5 | 4,0 | 1,25 |
| 23.00 | 261 | ფონტენი-ლიონი | 7,0 | 3,8 | 1,3 |
| 23.00 | 262 | ამიენი-ლე მანი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 23.00 | 263 | ვანე-ოსერი | 7,0 | 3,5 | 1,4 |

### შოტლანდია. თასის 1/4 ფინალი
**10 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 264 | კილმაროკი-ჰიბერნიანი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 265 | ლივინგსტონი-პეტერჰედი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | **11 მარტი** | | | |
| 18.35 | 266 | სელტიკი-ჰართსი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 22.05 | 267 | დანდი იუნაიტედი-რეინჯერსი | 6,5 | 3,6 | 1,4 |

### მჩ შესარჩევი მატჩები
**10 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 501 | ზიმბაბვე-მალავი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 18.00 | 502 | ზამბია-ლიბია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 18.00 | 503 | სენეგალი-ნამიბია | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 18.30 | 504 | სიერა ლეონე-სუდანი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.30 | 505 | დრ კონგო-კოტ დივუარი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| | | **11 მარტი** | | | |
| 18.00 | 506 | ტოგო-ანგოლა | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.00 | 507 | განა-ნიგერია | 2,5 | 3,0 | 2,4 |
| 22.00 | 508 | ეგვიპტე-ალჟირი | 1,6 | 3,2 | 5,6 |

### კალათბურთი
**9 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 801 | ინდიანა-კლივლენდი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 04.00 | 802 | ფილადელფია-ატლანტა | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 04.30 | 803 | ბოსტონი-ვაშინგტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 04.30 | 804 | მაიამი-მინესოტა | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 04.30 | 805 | ნიუ ჯერსი-ნიუ იორკი | 2,5 | 12,0 | 1,3 |
| 05.00 | 806 | დეტროიტი-ჩიკაგო | 1,2 | 12,0 | 3,1 |
| 05.30 | 807 | დალასი-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 06.00 | 808 | იუტა-ფინიქსი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 07.00 | 809 | სიეტლი-ტორონტო | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 07.00 | 810 | ვანკუვერი-პორტლენდი | 3,5 | 12,0 | 1,2 |
| 07.30 | 811 | ლეიკერსი-სან ანტონიო | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 07.30 | 812 | საკრამენტო-დენვერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| | | **10 მარტი** | | | |
| 04.00 | 813 | ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.30 | 814 | ატლანტა-ჩიკაგო | 1,2 | 12,0 | 3,1 |
| 04.30 | 815 | შარლოტი-მილუოკი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 04.30 | 816 | ორლანდო-მინესოტა | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 05.30 | 817 | ჰიუსტონი-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 5,0 |
| | | **11 მარტი** | | | |
| 21.30 | 818 | ნიუ იორკი-მაიამი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 24.00 | 819 | ბოსტონი-ფილადელფია | 2,3 | 12,0 | 1,35 |
| 00.30 | 820 | ვანკუვერი-ტორონტო | 2,5 | 12,0 | 1,3 |
| 02.30 | 821 | საკრამენტო-იუტა | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 04.00 | 822 | დეტროიტი-ინდიანა | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 04.30 | 823 | კლივლენდი-მილუოკი | 2,1 | 12,0 | 1,4 |
| 05.00 | 824 | ფინიქსი-ჰიუსტონი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 05.30 | 825 | დალასი-კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 06.30 | 826 | ლეიკერსი-სიეტლი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| | | **12 მარტი** | | | |
| 04.00 | 827 | შარლოტი-ჩიკაგო | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 05.00 | 828 | მინესოტა-მაიამი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 05.30 | 829 | სან ანტონიო-კლიპერსი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 07.30 | 830 | გოლდენ სტეიტი-დენვერი | 1,9 | 12,0 | 1,5 |

### ჰოკეი
**9 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 901 | ბუფალო-ედმონტონი | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 04.00 | 902 | ვაშინგტონი-რეინჯერსი | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 04.30 | 903 | აილენდერსი-მინესოტა | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 04.30 | 904 | ფლორიდა-კოლუმბუსი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 07.30 | 905 | ანაჰაიმი-ჩიკაგო | 2,2 | 4,0 | 2,0 |
| | | **10 მარტი** | | | |
| 21.00 | 906 | ბოსტონი-ატლანტა | 1,45 | 4,0 | 3,6 |
| 24.00 | 907 | ფილადელფია-ნიუ ჯერსი | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 24.00 | 908 | სენტ ლუისი-დეტროიტი | 1,85 | 4,0 | 2,4 |
| 24.00 | 909 | დალასი-კოლორადო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 910 | ოტავა-რეინჯერსი | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 04.00 | 911 | ფინიქსი-მონრეალი | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 04.30 | 912 | პიტსბურგი-კალგარი | 1,55 | 4,0 | 3,2 |
| 04.30 | 913 | ტამპა ბეი-კოლუმბუსი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 07.00 | 914 | ვანკუვერი-ტორონტო | 1,75 | 4,0 | 2,6 |
| 07.30 | 915 | ლოს ანჯელესი-ჩიკაგო | 1,75 | 4,0 | 2,6 |
| 07.30 | 916 | სან ხოსე-ნეშვილი | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| | | **11 მარტი** | | | |
| 22.00 | 917 | აილენდერსი-ფლორიდა | 1,85 | 4,0 | 2,4 |
| 22.30 | 918 | კაროლინა-ედმონტონი | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 23.00 | 919 | მინესოტა-დეტროიტი | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 02.00 | 920 | ვაშინგტონი-ოტავა | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 04.00 | 921 | ატლანტა-კალგარი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 05.00 | 922 | კოლორადო-დალასი | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 05.00 | 923 | ანაჰაიმი-ნეშვილი | 2,2 | 4,0 | 2,0 |
| | | **12 მარტი** | | | |
| 04.30 | 924 | რეინჯერსი-პიტსბურგი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 07.30 | 925 | სან ხოსე-მონრეალი | 1,4 | 4,0 | 4,2 |

*ფეხბურთის "I ტაიმ/ძირითადი დრო" კოეფიციენტებს გაეცნობით ადგილზე*

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# წყვილად გაგორებულნი



ენდრიუ ილი პიტ სამპრასის დამარცხებას ზეიმობს

### სკოტსდეილი (აშშ) FRANKLIN TEMPLETON CLASSIC
**ჰარდი. საპრიზო 400 ათასი $**

როდესაც ანდრე აგასიმ და პიტ სამპრასმა ერთი და იმავე ტურნირის პირველ წრეში უკანასკნელად წააგეს, აშშ-ის პრეზიდენტი უფროსი ჯორჯ ბუში გახლდათ და საბჭოთა კავშირი ჯერაც 15 რესპუბლიკას ითვლიდა (თუ ზუსტად გნებავთ, ეს 1989 წელს კი ბისკეინში მოხდა, 17 წლის სამპრასი კრისტიან ბერგსტრომთან დამარცხდა, 18 წლის აგასი — კარლ-უვე შტეებთან).

მას შემდეგ ამერიკელმა ტიტანებმა ერთად 20 დიდი სლემის ტურნირი მოიგეს და ხშირად კლასიფიკაციაში პირველობისთვის ეპაექრებოდნენ ერთიმეორეს. პირველ წრეში წაგებები დავიწყებას მიეცა, სანამ სკოტსდეილის ტურნირის საწყის ეტაპზე ისტორიის განმეორებაზე ფრანსისკო კლავეტმა და ენდრიუ ილიმ არ იზრუნეს.

რუმინული წარმოშობის ილი თავის კერპ სამპრასთან შეხვედრაზე დიდი ხანია, ოცნებობდა. „მოუთმენლად ველოდი პიტთან თამაშს, ველოდი წლების მანძილზე. როცა ბოლოს და ბოლოს ეს შანსი მომეცა, ძალიან არ მსურდა, საკუთარი თავისთვის იმედი გამეცრუებინა“.

მართლაც, ილიმ იმედი მხოლოდ მრისხანე მეტოქესა და მასპინძელ გულშემატკივრებს გაუცრუა. „პისტოლ პიტის“ უშუალო დახმარებით, რომელიც უჩვეულოდ ხშირად სცოდავდა, ავსტრალიელი მეორე სეტიდან მყარად დაეუფლა უპირატესობას. ტაი-ბრეიკზე მან ზედიზედ ექვსი ქულა მიითვალა, ანგარიში გაათანაბრა და მოუხერხებელი, მაგრამ საოცრად ეფექტური დარტყმებით სამპრასი უკანა ხაზს მიაჯაჭვა.

უდიდესი ზეწოლის ქვეშ მოქცეულმა ამერიკელმა ყელი საკუთარი ხელით გამოიჭრა — გადამწყვეტი ხელის მეათე გეიმში ორი მატჩ-პოინტი კი გადაარჩინა, მაგრამ მესამეზე ორმაგი შეცდომა დაუშვა და 6:3, 6:7 (2:7), 4:6 დამარცხდა.

„დღეს მოგების არაერთი შანსი მქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენე. ვფიქრობ, ურიგოდ არ მითამაშია, იქნებ ცოტა სუსტი მეტოქე დამემარცხებინა კიდეც, მაგრამ მას დამსახურებას ვერ დაუკარგავ, შესანიშნავი ბურთები ჩააგდო“ — თავი იმართლა პიტმა, რომლის ძმა გასიც სკოტსდეილის ტურნირის ერთ-ერთი ორგანიზატორია.

საერთოდ წლევანდელი სეზონი უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონისთვის მეტად წარუმატებლად დაიწყო. ავსტრალიის ღია პირველობის მერვედფინალში გასვლის შემდეგ სამპრასმა უკვე ზედიზედ მესამედ წააგო: „კარგი იქნებოდა, მასტერსის სერიის ტურნირების დაწყებამდე გამარჯვების გამო გამეხსენებინა, მაგრამ რას იზამ. არა მგონია, მაინდამაინც საშინელ ფორმაში ვიყო, უბრალოდ, სათამაშო პრაქტიკა და თავდაჯერება მაკლია. ისღა დამრჩენია, კორტს დავუბრუნდე და კიდევ უფრო მეტი ვივარჯიშო“.

ანდრე აგასის წლეულს, პიტისგან განსხვავებით, საწუწუნო არაფერი ჰქონდა: ხოტორა ლასვეგასელმა მელბურნში ტრიუმფს გასულ კვირაში სან ხოსეს დარბაზის პირველობაზე ფინალისტობაც დაუმატა. ანდრეს ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ კენჭისყრით მეტად უხერხული მეტოქე, ესპანელი ფრანსისკო კლავეტი ერგო.

ცაცია მადრიდელმა შარშან ასევე სკოტს დეილში, ოღონდ მეორე წრეში აგასის კარიერის ერთ-ერთი უმწარესი მარცხი აგემა (ამერიკელმა მაშინ სულ 3 გეიმი მოიგო). ამჯერად მატჩი გაცილებით დაძაბული გამოდგა, თუმცა შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ შეცვლილა.

კატასტროფული სტარტის შემდეგ (1:6, 2:4) აგასიმ მდგომარეობის გამოსწორება შეძლო, დისციპლინირებულად, სწორხაზოვნად ათამაშდა, შეცდომებს უკლო და შურისძიებამდე სულ ერთი ნაბიჯი დააკლდა — მესამე სეტში 5:4 დაწინაურდა. მაგრამ კლავეტი არ დანებდა, მეტოქეს მაშინვე აართვა მოწოდება და თითქმის ორსაათიან მატჩს ზუსტი ბექჰენდით დაუსვა წერტილი — 6:1, 6:7 (2:7), 7:5.

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა მარცხი იმით ახსნა, არიზონას უდაბნოს განსხვავებულ კლიმატურ პირობებს ვერ შევეჩვიე, ადაპტაციისთვის ერთი დღე არ მეყოო, თუმცა გარჯა მეტოქესაც შეუქო: „ის კარგი ჩოგბურთელია, სწრაფად მოძრაობს და იცის, სად უნდა ჩააგდოს კორტზე ბურთი. კარგი მატჩი იყო, დაძაბული და თვალსასეირო. საჭირო მომენტში ცოტა მეტი ფხა რომ გამომეჩინა და ნაკრებად გავნერვიულებულიყავი, შედეგი სულ სხვა იქნებოდა“.

ორი თვის შემდეგ ასპარეზობას აქ დაუბრუნდა შვედი ტომას ენკვისტიც (5). სკანდინავიელმა დეკემბერში ერთბაშად ორი — მხრისა და ფეხის ოპერაცია გაიკეთა და იძულებითი შესვენების შემდეგ პირველივე შეხვედრაში მაროკოელ იუნეს ელ აინაუის აჯობა — 4:6, 6:3, 6:2

„ბუნებრივია, კარგად არ მითამაშია, მაგრამ ამას არც ველოდი. იმითაც ბედნიერი ვარ, რომ ისევ კორტზე ვარ, ჩოგბურთი ძალიან მომენატრა. ჯერჯერობით ვერც კი ვიტყვი, რამდენი დრო დამჭირდა ძველებური ფორმის აღსადგენად, თუმცა იმედია, ეს მალე მოხდება, მსგავს შესვენებებს ხომ უკვე დაჩვეული ვარ“ — აღნიშნა ენკვისტმა, რომელმაც 1994 წელს აქეთ უკვე ექვსი ოპერაცია გაიკეთა.

**პირველი წრე: მაგნუს ნორმანი (3, შვედეთი) — ჯანლუკა პოცი (იტალია) 7:6 (7:3), 6:3; ლეიტონ ჰიუიტი (4, ავსტრალია) — დევიდ სანჩესი (ესპანეთი) 6:1, 6:3; მარსელო რიოსი (7, ჩილე) — ადრიან ვოინეა (რუმინეთი) 7:6 (7:4), 6:2; ანდრეა გაუდენცი (იტალია) — სხენგ შალკენი (8, ჰოლანდია) 6:4, 7:5; რაინერ შუტლერი (გერმანია) — არნო დი პასკუალი (საფრანგეთი) 6:2, 6:3; რიჩარდ ფრომბერგი (ავსტრალია) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 5:7, 6:3, 6:4; ტიმ ჰენმანი (6, ინგლისი) — ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 6:1, 6:2**

### დელრეი ბიჩი (აშშ) CITRIX-ის პირველობა.
**ჰარდი. საპრიზო 350 ათასი $**

მზიან ფლორიდაში ამ დღეებში უჩვეულოდ ცივა, თუმცა ერთადერთი პრობლემა ეს არ არის: ჩოგბურთის სათამაშოდ შეუფერებლად დაბალი ტემპერატურის გარდა დელრეი ბიჩში მოთამაშეებსა და მაყურებლებს ყინულოვანი ქარიც უქრობს ყველაფრის ხალისს. პირველი წრის ერთ-ერთი მატჩის დროს ერთი ისეთი დაუბერა, ტრიბუნიდან პლასტმასის სკამი ააფრიალა და შუა გათამაშებაში პირდაპირ კორტზე დაანარცხა.

„ასეთ პირობებში თამაშს სასიამოვნო ნამდვილად ვერ უწოდებ. ქარი ბურთს იქით დააფრენს, საითაც მოესურვება, ზოგჯერ ჩოგნის დახვედრებაც კი ჭირს. კიდევ კარგი, შინ, ავსტრალიაში ასეთ ამინდში ასპარეზობას ბავშვობიდან დავეჩვიე“ — ეს სიტყვები ტურნირზე პირველად განთესილ პატრიკ რაფტერს ეკუთვნის.

რაფტერი პირველ წრეში 34 წლის ვეტერან მაგნუს გუსტაფსონთან მარცხს რის ვაი-ვაგლახით დაუსხლტა. აშშ-ის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონი გადამწყვეტ ხელში 0:3-ს აგებდა, სანამ ბადესთან ოსტატური გარჯის წყალობით ჭარმაგ მეტოქეს 5:7, 6:3, 7:5 არ აჯობა.

**პირველ წრე. ნიკოლას ლაპენტი (2, ეკვადორი) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 6:1, 6:4; კარლოს მოია (3, ესპანეთი) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:4, 6:4; გრეგ რუზედსკი (ინგლისი) — ტეილორ დენტი (აშშ) 6:2, 6:2. მარკუს ჰიფმაი (გერმანია) — გასტონ გაუდიო (5, არგენტინა) 2:7, 7:5, 6:4; ალექს კალატრავა (6, ესპანეთი) — ანდრე სტოლიაროვი (რუსეთი) 6:4, 7:6 (7:3); ჟან-მაიკლ გემბლი (4, აშშ) — სერხი ბრუგერა (ესპანეთი) 6:3, 6:4.**

**ავთანდილ სვანიძე**



# პრივალოსანი



დავიდ ტუა

მძიმეწონოსანი დავიდ ტუა 23 მარტს, ჩრდილოეთ ლას ვეგასში, „ტექსას სტეიშენ კაზინოში“ დენიელ ნიკოლსონს უნდა ეჩხუბოს.

„ერთი სული მაქვს, რინგზე როდის დავბრუნდები. ყველა ღონეს ვიხმარ, ისევ საჩემპიონო ბრძოლა რომ გავმართო. ნიკოლსონი ერთიხანობა სცენიდან გაქრა, მაგრამ ის მოკრივე გახლავთ, რომელსაც უამრავი ლამაზი გამარჯვება უმშვენებს კარიერას“ — თქვა ტუამ, შემდეგ კი დასძინა — „ამ წელიწადს ზოგადი და განსაკუთრებული გეგმები არ მაქვს, უბრალოდ, ყოველ კონკრეტულ ბრძოლაში გამარჯვებას შევეცდები.

* * *

**მაიკ ტაისონმა განაცხადა, რომ კარიერის დასრულების წინ საზოგადოებას თავს დიდი ხმაურით შეახსენებს. ყოფილმა უპირობო ჩემპიონმა ლას ვეგასის დარბაზში ერთობ სერიოზული ვარჯიშიც ჩაატარა.**

**ტაისონი ჯერ გახურდა, შემდეგ კი ნახევარი საათის განმავლობაში კომბინაციები დაამუშავა. ამ დროს „რკინის მაიკს“ მწვრთნელი ტომი ბრუკსი და ასისტენტი ჯეი ბრაითი ხელმძღვანელობდნენ.**

**გამოცდილთა დაკვირვებით ტაისონი საბრძოლო ფორმასთან ახლოსაა. მსოფლიო კრივის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონმა საკმაოდ დასვენებულის, მძაფრის და ღონიერის შთაბეჭდილება დატოვა.**

**„როდესაც ვარჯიშობს, მაიკი უბედნიერესი ადამიანია“ — განაცხადა ტომი ბრუკსმა — „დილით დარბის, შემდეგ რინგზე მუშაობს, საღამოობით კი სხვა დარბაზში ფიზიკურ კონდიციებს იუმჯობესებს“.**

* * *

WBA-ს ახალმა მძიმეწონოსანმა ჩემპიონმა, ჯონ რუისმა პრომოუტერ დონ კინგს შეუთვალა, თავი დამანებე, ევანდერ ჰოლიფილდთან ჩხუბი აღარ მინდაო, მაგრამ...

„მგონი, ჰოლიფილდი ორჯერ უკვე დავამარცხე, ხომ მართალია?“ — იკითხა რუისმა — „ნუთუ დონ კინგი ფიქრობს, რომ ჩემი და ჰოლიფილდის კიდევ ერთხელ დაპირისპირება კარგი იდეაა? ისე კი, ვნახოთ, კრივი ისეთი რამაა, არასდროს იცი, რა გელის. მე ნებისმიერი მეტოქისთვის მზად ვარ, ტაისონისა და ლუისის ჩათვლით. ამბობენ, რომ დონ კინგი ჩემი და ჰოლიფილდის მორიგ დაჯახებას პეკინში ფიქრობს. თუ სხვა არაფერი გამომიჩნდა, მაშინ კი ბატონო“.

შემდეგ ჰკითხეს დავიდ ტუასთან რემატჩზე რა აზრისა ხარო. რუისმა უპასუხა:

„იცით, დღეს, ერთადერთი, რასაც ვაკეთებ, იმის გააზრებაა, რომ ჩემპიონი გავხდი. ახლა, სახლში, ერთხანს შვილებთან ერთად უბრალოდ ვიჯდები, ხოლო ტუასთან ჩხუბი გონებაში მექნება. ფაქტია, რომ ეს ბრძოლა უნდა გაიმართოს“.

შემდეგ: „ძალიან ვამაყობ, რომ მძიმე წონის პირველი ლათინოსი ჩემპიონი ვარ. ჰოლიფილდთან ჩხუბის დროს ყველაზე მეტად საწყის რაუნდებში გამიჭირდა, რადგან იმ პერიოდში ბევრი დარტყმის გაძლება მომიხდა. ხშირი იყო იდაყვების ქნევა და თავში ბიძგები“.

ახლა რუისიც ჩემპიონია და, ლოგიკურად, ლუისს უნდა გაეჯიბროს.

„ლუისს ნათქვამი აქვს, რომ ჩემთან ცხოვრებაში არ იჩხუბებს. იქნებ, შეიცვალოს რამე და მოვილაპარაკოთ“ — დასძინა ჩემპიონმა.

* * *

**პირველ ქვესაშუალო წონაში WBC-ს ჩემპიონმა შეინ მოსლიმ (მეტსახელად „შაქარი“) და მისმა გამომწვევმა შენან ტეილორმა (მეტსახელად „დამანგრეველი“) პრესკონფერენციაზე ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს. საზოგადოებრიობის წინაშე ორივე თავდაჯერებულად იქცეოდა და, უნდა ითქვას, მეტოქისთვის ქების სიტყვებიც არ დაუშურებიათ.**

**„დიდი მადლობა მოსლის ბანაკს, ამ ჩხუბის საშუალება რომ მომცა. შეინი დიდი ჩემპიონია და ნამდვილი პროფესიონალი, როგორც რინგზე, ასევე ცხოვრებაში. მასთან რომ ჩხუბობ, იცი, რომ საუკეთესოთა შორის საუკეთესოს ეჯიბრები“ — განაცხადა ტეილორმა, რომელიც პრომოუტერმა სედრიკ კუშნერმა კენგურუსთან ერთად წარუდგინა დამსწრეთ.**

**„დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ორიდან რინგზე მარტო შენანი ამოვა“ — თქვა მოსლიმ და თითი ტეილორისა და კენგურუს წყვილისკენ გაიშვირა.**

**„აი, შეხედე ამ კენგურუს. მეც ასევე ვიხტუნავებ“ — მიუგო ტეილორმა.**

**„ოჰო, რა თავდაჯერებული ხარ. მე ეს მომწონს“ — უპასუხა მოზლიმ.**

* * *

მავანი ელვირ მურიკი და მისი ოჯახი ამერიკაში 1996 წელს გადაბარგდა, მას მერე, რაც კოსოვოში ომი ატყდა. შემდეგ, ელვირის მამა და და შინ დაბრუნდნენ, სამშობლოსთვის უნდა ვიბრძოლოთო, ხოლო თავად ელვირი ნიუ იორკში დარჩა და მოკრივის კარიერას შეუდგა.

დღეს, მურიკი 21 წლისაა და მანჰეტენზე, ტედი ატლასის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. მას მეტსახელად „კოსოვო კიდს“ ანუ კოსოველ ბავშვს ეძახიან. კოსოველი ბავშვი კარიერაში უკვე 20 ბრძოლას ითვლის, 19-ს მოგებულს და ერთს წაგებულს.

„მაგრამ მე თუ მკითხავთ, ჩემი შედეგია 20:0. იმ ერთს, მეტოქის მოგებულად ვერ აღვიქვამ. მაშინ მე თვითონ გავლახე საკუთარი თავი“ — ამბობს ახალგაზრდა მოკრივე, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით გამოჩენისთვის მზადაა და აქა-იქ საკრივო გამოცემებში უკვე ხვდება.

„იქნებ ჯერ ეჭვიც გაგიჩნდეთ, ვინ არისო, მაგრამ ნამდვილ ელვირ მურიკის მალე ნახავთ, როდესაც ცნობილ მოწინააღმდეგეებს დავამარცხებ“ — იქადნება კოსოველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონატი. ლისაბონი (პორტუგალია). 9-11 მარტი

# სამი დღე ლისაბონში

**დღეს**, ლისაბონის დროით 15 საათზე, პორტუგალიის დედაქალაქის სამძლეოსნო სარბიელზე საზეიმო ვითარება დამყარდება. მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონატი უნდა გაიხსნას, თუმცა იქამდე რამდენიმე შეჯიბრი უკვე ჩაივლის. თითქმის სისხამ დილით საკვალიფიკაციო რბოლას დაიწყებდნენ 3000 მეტრზე მორბენალი ქალები და ორი დღის მანძილზე ქალთა და ვაჟთა 27 დისციპლინაში გაირკვევა გამარჯვებული. რეკორდები დამხობას ელიან. მათგან უძველესი ჩეხი იარმილა კრატოხვილოვასია, 1983 წლის 7 მარტს, მილანში, 400 მეტრზე რბენისას დამყარებული, ხოლო უახლესები სტეისი დრაგილასა და გაბრიელა საბოს ეკუთვნით. ამერიკელმა მეჭოკე ქალბატონმა წლევანდელ 17 თებერვალს ამერიკულ პოკატელოში 4,70 მეტრის დაძლევით გაითქვა სახელი, რუმინელმა მორბენალმა კი ერთი დღის შემდეგ გენტში დაამხო 3000 მეტრზე საუკეთესო მიღწევა. ორივე ეს რეკორდი ჯერ კიდევ არაოფიციალურია და კომპეტენტური ორგანოებისდან დამტკიცებას ელის.

საბო ლისაბონშიც ირბენს. იგი უჭოჭმანოდ შეიყვანეს რუმინეთის ნაკრებში და 3000 მეტრზე პირველი ფავორიტია, რადგან ბოლო წლებში შეჯიბრებ შეჯიბრებას იგებს. ბოლო სამი ჭერქვეშა მსოფლიოს პირველობა მას დარჩა და ევროპისაც — ორი, ღია ცისქვეშ წარმატებებზე რომ არაფერი ვთქვათ. თუმცა არიან ირლანდიელი სონია ოსალივანი და კენიელი ლეა მალოტი. პირველმა ერთხელ უკვე დაამარცხა საბო სამი წლის წინათ, ოღონდ 5000-მეტრიან დისტანციაზე (ეს ამბავი ბუდაპეშტის ევროპირველობაზე მოხდა), ხოლო კენიელმა ცქვიტ რუმინელს ბერლინში, რიგით ტურნირზე იგივე დისტანცია 2000 წელს მოუგო. თან ახლა ოსალივანი მშვენიერ ფორმაშია, ორი ტურნირი ოკლენდსა და მელბურნში ეფექტურად მოიგო, ამიტომ საბო ლისაბონში ვერ გაისეირნებს, თუმცა სხვა უხერხული მეტოქე, ეთიოპელი გეტე ვამი ხელს ვერ შეუშლის. მან ჩემპიონატი გამოტოვა.

ვაჟთა 3000 მეტრსაც უპირობო ფავორიტი ჰყავს ჯიგარი მაროკოელის, ჰიშამ ელ გურუჯის სახით, რომელიც დარბაზების ორგზის მსოფლიოს ჩემპიონია 1500 მეტრზე რბენაში. საერთოდ, გურუჯი სწორედ ამ საშუალო დისტანციაზე მორბენალად ითვლება და ტიტულების მეტი წილი კილომეტრნახევარზე დაუმსახურებია. გრძელ დისტანციებს იგი მხოლოდ წლევანდელ ზამთარს გაუშინაურდა, გენტის ტურნირზე 2 მილი (ეს 3000 მეტრზე მეტია) მსოფლიოს მეორე უსწრაფესი შედეგით მოიგო, მაგრამ საბოსი არ იყოს, ლისაბონში არც არაბს ექნება უღრუბლო ცხოვრება, რადგან გვერდით ეყოლება 3 კილომეტრის ასები ეთიოპიიდან — მილიონ ვოლდე და ჰაილუ მეკონენი. ისინი თავიანთ დისტანციაზე შემოჭრილი თავხედის დასჯას გულმოდგინედ შეეცდებიან და საინტერესო ქიშპი უნდა გამოვიდეს.

რაც შეეხება გურუჯის რბენას თავის საფირმო კილომეტრნახევარზე, საკითხი ჯერ ღიად რჩება. მაყურებლის თვალსაზრისით ეს ამბავი დიახაც სასურველია, რადგან ლისაბონში კენიელი ოლიმპიური ჩემპიონი ნოა ნგენიც ირბენს. ხალხს ჯერაც ახსოვს სიდნეის დრამა (უფრო კი ტრაგედია), სადაც შარშან ყველაფრის მომგებმა არაბმა 1500-ის ზედ ბოლო მეტრებზე ნგენი წინ გაუშვა და ყველაზე ფასეული ოქროს მედალი დაკარგა. მაშინ ათობით კამერამ ასახა ჩაკეცილი გურუჯი, გაოგნებისგან ენა რომ ჩავარდნოდა. შემდეგ აფრიკელები არსად გადაყრილან, თუმცა საერთო ტურნირებზე ორჯერ გამოვიდნენ: გენტში ნგენიმ კილომეტრი მოიგო, გურუჯმა — 2 მილი, ლიუინში შესაბამისად 2000 და 1500 მეტრი დაინარჩუნეს. ყოველ შემთხვევაში, თუ გურუჯმა 1500 მეტრზე არ ირბინა, იმ დისტანციას, ცხადია, ნგენი მოიგებს. მხოლოდ შინაური კედლების ხათრით ახსენებენ რუი სილვას. იგი ელიტარული მორბენალია, მაგრამ არა კენიელის დონის.



ნოა ნგენი (ცენტრში) და ჰიშამ ელ გურუჯი (მარჯვნივ) სიდნეის ოლიმპიადაზე. ისინი შეიძლება ლისაბონშიც შეხვდნენ

ყურადღებას 800-მეტრიანი გარბენებიც იპყრობს. ვაჟთა ამ დისტანციაზე იქნებ უილსონ კიპკეტერმა ირბინოს. დანიელი ზანგი 800 და 1000 მეტრებზე მსოფლიოს რეკორდსმენია, ხოლო მის გვერდით ძლიერი რუსის, იური ბორზაკოვსკისა და შვეიცარიელი ანდრე ბუხერის დადგომას ელიან.

800 მეტრზე ქალთა ჭერქვეშა მსოფლიოს რეკორდი კარგა ხნიერია. იგი 1988 წლის 13 თებერვალს ვენაში დამყარდა, პატრონი კი გახლავთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკელი კრისტინ ვახტელი. ქებული მოზამბიკელი მარია მუტოლა და ავსტრიელი ევროპის ჭერქვეშა ჩემპიონი, შტეფანი გრაფი ლისაბონში გერმანელის რეკორდის გაუმჯობესებას ეცდებიან.

**დავით გულუა**

წყალბურთი

***„მართვე" 1983-84 წლებში დაბადებულ ჭაბუკ წყალბურთელთა კლუბია. მისი თავკაცები საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ბორის მეგედი, ვაჟა ჩერტკოევი და კახა კინწურაშვილი არიან. ასეთი სოლიდური მწვრთნელთა შტაბით დღეს ბევრი ვერ დაიკვეხნის. ცოტა ხნის წინ ხარკოვში უკრაინის ღია პირველობა დაიწყო, რომელშიც ქართველმა წყალბურთელებმაც იასპარეზეს. საქართველოს სწორედ „მართვე" წარმოადგენდა. ჩვენმა წყალბურთელებმა ტურნირის პირველი წრე წარმატებით დაასრულეს და სამშობლოში დაბრუნდნენ. ტურნირის შესახებ „მართვეს" ერთ-ერთ მწვრთნელს, კახა კინწურაშვილს გავესაუბრეთ.***

# მართვე უკრაინაში და ლაგუნა ვერეზე იზამთრებს

— უკრაინის ღია პირველობა საერთაშორისო ტურნირია და სამ წრედ ტარდება, ამის შემდეგ ოთხი საუკეთესო გუნდი პლეი-ოფში გაარკვევს ურთიერთობას. პირველი წრე ხარკოვში გაიმართა. მონაწილეობდა ცხრა გუნდი: ჩვენს გარდა, ხარკოვის ორი კლუბი, მარიუპოლის, სევასტოპოლის, ლვოვის, მოლდავეთის, უჟგოროდისა და დნეპროპეტროვსკის გუნდები. პირველ მატჩში დავმარცხდით მასპინძელ „ხარკოვ 1"-თან, მეორეში კი ფრედ ვითამაშეთ დნეპროპეტროვსკის გუნდთან და ჯერჯერობით მეორე ადგილზე ვართ. მეორე წრე სევასტოპოლში ჩატარდება.

ხარკოვში გამგზავრებამდე მარიუპოლის საერთაშორისო ტურნირზე ვითამაშეთ, რომელშიც რუსეთის, რუმინეთისა და უკრაინის ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრებები ცდიდნენ ძალას. ეს ჩვენი საერთაშორისო დებიუტი იყო და გამოუცდელობის გამო სამივე მეტოქესთან დავმარცხდით. ამის შემდეგ დნეპროპეტროვსკს მივაშურეთ კიდევ ერთ ტურნირში სათამაშოდ. იქ ადგილობრივ გუნდს და ორ ხარკოვურ კლუბს გავეჯიბრეთ, საბოლოოდ კი პირველი ადგილი დავიკავეთ.

**— ჩვენებიდან ვინმეს ხომ არ გამოარჩევდით?**

— არავის გამოყოფა არ მინდა, ყველამ გაამართლა იმედები. გუნდში რამდენიმე წყალბურთელია, რომლებიც საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრები არიან. უსახსრობისა და ავადმყოფობის გამო ძირითადის ორი წყალბურთელი უკრაინაში ვერ წავიყვანეთ. მათ მაგივრად 1986 წელს დაბადებული სარსანია და თორდია ვათამაშეთ. ასაკის მიუხედავად, ორივემ ნორმალურად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. განსაკუთრებით კი მეკარეებმა — ვოვა ჩიხლაძემ და ზურა სიხელაშვილმა მოგვაწონეს თავი.

**— ფინანსურად ვინ გეხმარებათ?**

— არავინ. ტურნირებზე მშობლების შემწეობით მივემგზავრებით. დახმარებისთვის განათლების სამინისტროსა და სპორტის დეპარტამენტს მივმართეთ, ვნახოთ, რა გამოვა. რადგან „მართვეს" სპორტული სკოლის აუზი ზამთარში დროებით არ ფუნქციონირებს, წყალთა სახეობების ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ გოიაშვილმა ყოველდღიურად „ლაგუნა ვერეს" საცურაო აუზი დაგვითმო და ბურთებითაც გვამარაგებს.

უკრაინაში ავტობუსით გავემგზავრეთ. ვლადიკავკაზში ორი დღით შევყოვნდით, გზაზე თოვლი იდო და ავტობუსით მოძრაობა აგვიკრძალეს. როგორც იქნა, ჩავაღწიეთ ადგილზე, მაგრამ უკან მობრუნებულებს უარესი გველოდა. უამინდობის გამო ულელტეხილი ჩაკეტილი დაგვხვდა და საქართველო — რუსეთის საზღვარზე სამი დღე უქმად მოგვიწია ყოფნამ. ისევ მშობლებმა იაქტიურეს და თვითმფრინავით გადმოგვაფრინეს. ზაფხულში პორტუგალიაში, საერთაშორისო ტურნირზე ვართ მიწვეულები. თუ შესაბამისი ხელშეწყობა გვექნება, თავს არ შევირცხვენთ.

**ბაჩო სვანიძე**

მთის თხილამურობა

მსოფლიოს თასი

# სწრაფდაშვების მეფე-დედოფალი

**გუშინ** შვედეთის ქალაქ არეში სამთო თხილამურობის მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპები გაიმართა. ქალებმა და ვაჟებმა სწრაფდაშვებაში იასპარეზეს. ამ დისციპლინაში ეს სეზონის დასკვნითი ეტაპები გახლდათ.

ვაჟთა შორის ავსტრიელმა ჰერმან მაიერმა იმარჯვა და სწრაფდაშვების მცირე მსოფლიოს თასის მფლობელი შეიქნა. მანამდე ჰერმინატორმა ანალოგიურ წარმატებას სუპერგიგანტში მიაღწია, ხოლო საერთო ჩათვლაში დიდი მსოფლიოს თასი დაისაკუთრა.

ქალებში საუკეთესო გერმანელი ჰილდე გერგი იყო. მეორე ადგილზე იტალიელი იზოლდე კოსტნერი გავიდა, მაგრამ სწრაფდაშვების მცირე მსოფლიოს თასის მოსაპოვებლად ესეც ეყო.



იზოლდე კოსტნერი

AP არქივიდან


ჰერმან მაიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიგიჟე ახლოვდება

ამერიკის სტუდენტურ კალათბურთში გადამწყვეტი დღეები ახლოვდება. კარსაა მომდგარი დიდი ოთხეულის, „მარტის სიგიჟის“ დღეები. მაგრამ „მარტის სიგიჟემდე“ უნდა მიაღწიო, ამიტომაც ბობოქრობს ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენი“, სადაც აღმოსავლეთის დიდი შეჯიბრი, დიდი ოთხეულის ორი წევრის გამრკვევი ტურნირი მიმდინარეობს. ცხადია: კონექტიკუტელი სულეიმან ვეინი ჯარიმის ფასად არ აჩერებს სირაკუზელ დეიმონ ბრაუნს.



REUTERS ნიუ იორკიდან





REUTERS ლას ვეგასიდან

# მოსლი იცავს

ამ შაბათს ლას ვეგასის „სიზორზ პალასში“ საბჭოს (ვბკ) ველთერის წონის კალიფორნიელი ჩემპიონი შეინ მოსლი ტიტულის დასაცავად იბრძოლებს. პრეტენდენტი მავანი ავსტრალიელი შენენ ტეილორი იქნება, რომელიც ერთობლივ პრესკონფერენციაზე მთქნარებით მომკვდარა. შეინ მოსლი, ოცდათექვსმეტ ბრძოლაში დაუმარცხებელი მებრძოლი, რა თქმა უნდა, ფავორიტია და თუკი ვინმე ჰყავს მოცილე თავის წონაში, მისგანვე ძლეული განთქმული ოსკარ დე ლა ჰოია.

# ბუტია ბერები

კანდიში, ასგირიას მინდორზე, მასპინძელ შრი-ლანკელთა და ინგლისელთა სამტესტა კრიკეტია გახურებული. პირველი ტესტი ლანკელებს მოუგიათ, მაგრამ საინტერესო აი, რა არის: საქმე ისე წასულა, რომ თამაშის პირველი დღე ერთ რელიგიურ უქმეს დამთხვევია, რაიც არ მოსწონებიათ ბუდისტ ბერებს, ამ უქმობას თამაში არ შეიძლება. თამაში არ შეწყვეტილა, ბერები კი სტადიონზე არ მისულან, საყვარელ სანახაობისთვის ახლომდებარე ბორცვებიდან უცქერიათ.



REUTERS კანდიდან

# ბიაჯი ემზადება

იტალიელი მოტომრბოლი, 500 კუბურსანტიმეტრიან ძრავათა მეუფე მაქს ბიაჯი თანაგუნდელებთან ერთად ახალი სეზონისთვის ემზადება. ბარსელონას ახლო, მონტმელოს ტრასაზე რკინის ჰუნეთა შემოწმება-ტესტირებაა გახურებული.



REUTERS ბარსელონიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge